



160650
10034

35

საქართველოს მემკვიდრეობა



საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1974



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ



სერია: „მატიერიალური კულტურის ძეგლები“



ქ ე გ ლ ი ს ქ ე ო ლ ქ ე ო ბ ა რ ი

კრიტიკული ოცდამეათეუთეობა

სერიის რედაქტორი — ოთარ თაქთაქიშვილი
Редактор серии — ОТАР ТАКТАКИШВИЛИ

რედაქტორი — გიორგი ჩუბინაშვილი
Редактор номера — ГЕОРГИЯ ЧУБИНАШВИЛИ

გ ა მ მ ღ ი ს ს ა ზ ო გ ა ღ ო ე ბ რ ი ბ ს ა წ ე ი ს ე ა ზ ა

სარედაქციო კოლეჯი: ირაკლი აბაშიძე, შალვა ამირანაშვილი, ანდრია ავაშიძე, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი გოლჭავაძე (პ/მე. მდივანი), ლადო გუდიაშვილი, ოთარ თაქთაქიშვილი, თეიმურაზ კანდელაკი, ირაკლი ჯაჭარიაშვილი, ნიკო კაცხოველი, ლევან მატარაძე, ოთარ სანთელიძე, გიორგი ჩიტაია, ვახტანგ ცინცაძე.

**წარმატებით შეხვედით საქართველოს კულტურის ძეგლთა
დაცვის საზოგადოების V ყრილობას**

ქართველმა ხალხმა მრავალათასწლიანი ისტორიის გზა გამოიარა. საუკუნეების მანძილზე იგი შემოქმედებით ცხოვრებას ეწეოდა, ქმნიდა სულიერი და მატერიალური კულტურის მნიშვნელოვან ძეგლებს, რომელთაც საპატიო ადგილი ეკუთვნით მსოფლიო კულტურის საგანძურში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ-მა მდივანმა, ანს. ლ. ი. ბრეჟნევმა თავის სიტყვაში საბჭოთა საქართველოს შექმნის 50 წლისთავის გამო გამართულ საზეიმო სხდომაზე აღნიშნა:

„ძნელი და ნარეკლიანი იყო საქართველოს გზა საუკუნეთა და ათასწლეულთა განმავლობაში. მაგნიტივით იზიდავდა ამიერკავკასია დამპყრობთა ყურადღებას, ვის არ დაუღაშქრავს ეს მიწა, მაგრამ ჭირ-ვარამმა, რომელიც წილად ზედა ქართველ ხალხს, ვერ მოდრიკა იგი, ვერ ჩააქრო მისი შემოქმედებითი ენერგია, ეს ენერგია ისევ და ისევ აღადგენდა საქართველოს ნანგრევებიდან და ფერფლიდან“.

მხოლოდ ჩვენ დროში გახდა შესაძლებელი ჩვენი დიდი კულტურა ჩამდგარიყო მისი ნამდვილი შემოქმედის, მშრომელი ხალხის სამსახურში, მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გახდა იგი საერთო სახალხო ზრუნვის საგანი.

უკანასკნელ წლებში გაფართოვდა მატერიალური კულტურის ძეგლებზე ზრუნვა, ისტორიულ-რევოლუციური ადგილების დაცვა, შრომითი და საბრძოლო დიდების რელიკვიების პოპულარიზაცია, რომლებიც ჩვენი მშრომელების, ახალგაზრდობის ესაუფლებური და პატრიოტული აღზრდის, საბჭოთა სამშობლოსადმი სიყვარულის ჩანერგვის ინტერნაციონალური სულისკვეთებით წრთობის კერებად იქცნენ.

მშობლიური კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს ბრძნული ლენინური მითითებებით, რომ სოციალისტური კულტურის შესაქმნელად საჭიროა წარსულის სულიერი მემკვიდრეობის მსოფლიო კულტურის მთელ ფასეულობათა ათვისება და კრიტიკული გადამუშავება, ექსპლოატატორული კლასების რეაქციული იდეოლოგიის, წარსულის გადმონაშთებისა და ცრუ რწმენების გადაჭრით დაძლევა, მეცნიერული კომუნიზმის იდეების ღრმა დანერგვა მშრომელთა შგნებაში.

აღნიშნული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებისათვის სხვა ორგანიზაციებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება, რომელიც საბჭოთა კავშირში უძველესია და მიმდინარე 1974 წელს თავისი არსებობის მეთხუთმეტე წელს ითვლის.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ თავისი არსებობის მანძილზე რამდენიმე ათეული ძეგლი აღადგინა თავდაპირველი სახით, ბევრი ხუროთმოძღვრული ანსამბლი მეცნიერულადაა შესწავლილი და მიზანშეწონილად გამოყენებული.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება გარემოსილია რა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური ზრუნვით, დიდ მუშაობას ეწევა კულტურის ძეგლთა მეცნიერული პროპაგანდის მიზნით. მრავ-



ვალ ენაზე მასობრივი ტორაჟით გამოიცა მეცნიერული შრომათა კრებულები ფოტო-ილუსტრირებული ალბომები, ფოტო კრებულები, ბუკლეტები და სხვა. თავის გარშემო შემოიკრიბა მრავალათასიანი აქტივი, მოწინავე პირველადი ორგანიზაციები შეფობას უწევნ ცალკეულ ძეგლებს, უელიან, ასუფთავებენ, იცავენ მას.

მიმდინარე 1974 წელს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა ანგარიშგება არჩევნების ჩატარება პირველად, რაიონულ, საქალაქო და საოლქო ორგანიზაციებში, ოქტომბრის თვეში კი საზოგადოების V ყრილობის ჩატარება.

აღნიშნული ღონისძიება ჩვენი ცხოვრების ღირსმნიშვნელოვან მოვლენებს დაემთხვა, ამჟამად ისე, როგორც მთელი ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა რესპუბლიკის მშრომელები, ქართველი მშრომელებიც იბრძვიან რათა 1974 წელს ამრავლონ შრომითი ღონისძიებანი სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ საგვემო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება ლოზუნგით — მოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით. მეცხრე ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წელი ახალ ახალი შრომითი გმირობის წელიწადია.

აღნიშნული გარემოება ავალებს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის რაიონულ, საქალაქო, საოლქო ორგანიზაციათა მესვეურებს, მის აქტივს მეტი ორგანიზებულობა და პრინციპულობა გამოიჩინონ ჩვენი ხალხის მიერ შექმნილი მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების გამოვლინების, მეცნიერული შესწავლისა და პროპაგანდის საქმეში. ამ საქმეში უნდა ჩაერიოთ ყველა, ვისთვისაც კი ძვირფასია ჩვენი წინაპრების ნაკვალევი, ჩვენი ხალხის შრომითი და საბრძოლო დიდების რელიკვიები, უნდა ვამრავლოთ ძეგლთა დაცვის საზოგადოების რიგები ახალი წევრებით, საზოგადოებრივ საწყისებზე ვაკონტროლებდეთ თითოეული ძეგლის, ნაქალაქარის, ნასოფლარის, საკულტო და სამხედრო-საფორტიფიკაციო ძეგლთა, შრომითი და ისტორიულ-რევოლუციური რელიკვიების მოვლა დაცვის საქმეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. საქართველოს ბევრ რაიონში მატერიალური კულტურის ძეგლი ჯერ კიდევ ელის ენთუზიასტის მზრუნველ ხელს. არის შემთხვევები, როდესაც მატერიალური კულტურის ძეგლი ჯერ კიდევ მიზანდასახულად არ არის გამოყენებული, რაც საფრთხეს უქმნის მას.

ყველაათვის ცნობილია, თუ რაოდენ მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით საგარეჯოს, თეთრი წყაროს, გარდაბნის და სხვა რაიონები. მაგრამ ძეგლთა დაცვის საზოგადოების ორგანიზაციები აღნიშნულ რაიონებში ნაკლებ მომქმედუნარიალები აღმოჩნდნენ პირველ ხარისხოვანი მატერიალური კულტურის ძეგლებისადმი.

გარდაბნის რაიონის ტერიტორიაზეა განლაგებული VI საუკუნის ღირსშესანიშნავი მატერიალური კულტურის ძეგლი გარეჯის მრავალ მთის კომპლექსი, რომელსაც თავისი მნიშვნელობით, როგორც ხუროთმოძღვრების, ფერწერის და სამეცნიერო წარსულის ძეგლს, ერთ-ერთი უპირველესი ადგილი ენიჭება ქართული კულტურის ძეგლთა შორის. ძეგლი კი სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. ძეგლთა დაცვის რაიონულმა საბჭომ ვერ შესძლო მასზე მიემავრებინა საშეფოდ მოწინავე პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც პერიოდულ მეთვალყურეობას დააწესებდნენ აღნიშნულ კომპლექსში შემავალ ძეგლებზე.

ამჟამად საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით, მთელ რიგ მნიშვნელოვან ღონისძიებებს ანზორციელებს და ვითარების კომპლექსურ სარესტავრაციო გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებისათვის.

ძველთა დაცვის გარდაბნის რაისაბჭო ამ საშვილიშვილო საქმეს აქტიურად უნდა გამოეხმაროს და თავისი წვლილიც შეიტანოს.

ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში საყოველთაოდ ცნობილია ის მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებიც მდებარეობენ თეთრიწყაროს რაიონის ტერიტორიაზე, სამშვილდე, ფიტარეთი, გუდარეხის კომპლექსი, ნადარბაზევი და სხვა. თეთრი წყაროს ძეგლთა დაცვის საზოგადოებას მართებს მეტი კონტროლი დააწესოს აღნიშნული ძეგლების მოვლა-დაცვისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სამშვილდის ნაქალაქარის ტერიტორიას ყავს მცველი კომპლექსის უპატრონობის ხელი ატყვია, ძეგლის ეზო-მიდამო დანაგვიანებულია, უდიერი დამთვალეიერებელი აზიანებს და აბინძურებს ნაქალაქარის ტერიტორიაზე განლაგებულ ძეგლებს.

ანალოგიურ ფაქტებს ადგილი აქვთ სხვა რაიონებშიც. მრავალ რაიონში გაძნელდა ძეგლის ზონის დაცვის საკითხიც. პირველხარისხოვან ძეგლებთან მიმდებარე ტერიტორიაზე გახშირდა მიცვალებულთა დაკრძალვა.

მაგალითად, წალენჯიხის პირველხარისხოვანი ძეგლის ტერიტორია იმდენად გაივსო უგემონოდ აგებული სასაფლაოებით, რომ ძეგლთან მისვლაც ჭირს და თავის ემოციურ ძალასაც კარგავს, ასეთივე მდგომარეობაა აჭის შუასაუკუნეების ეკლესიაზე, ნოქალაქევის ტერიტორიაზე და სხვ.

არც თუ იშვიათი შემთხვევაა, როდესაც მატერიალური კულტურის ძეგლი გამოყენებულია არა დანიშნულებისამებრ. ან არადა ორგანიზაცია, რომელიც მოთავსებულია ძეგლში არ უვლის და აზიანებს კიდევაც მას.

ასე მაგალითად, ქალაქ თბილისში XIV საუკუნის ბეთლემის ღვთისმშობლის ეკლესიაში წლების განმავლობაში მოთავსებულია საგუნდო-ქორეოგრაფიული საზოგადოების საამქრო. მათ დატიხრეს ეკლესიის შიდა ინტერიერი, დადგეს მძლავრი დარტყმის დანადგარები, რომლებიც აზიანებენ კედლებს, ხოლო შიდა სიერყის მთლიანობაში აღქმა თითქმის შეუძლებელია. მათვე დააზიანეს ფეთხანის ცნობილი სამრეკლო. პირველი სართული ამოაშენეს კაპიტალური კედლებით და სახე უცვალეს ძეგლს. უდიერად მოეკიდნენ ფირმა „მელოდიის“ მესვეურები ქ. თბილისში მდებარე წმინდა ნიკოლოზის ეკლესიას, აქციეს რა საწყობად ძეგლი, დააზიანეს ცნობილი თვითანსწავლი მხატვრის გიგო ზაზიაშვილის მხატვრობა. ეკლესიას გაუკეთდა მინაშენები.

ძეგლების საწყობებად გამოყენების ფაქტები იშვიათი როდია. რა თქმა უნდა ძეგლის გამოყენების წინააღმდეგი არავენ არის, მაგრამ მიზანშეწონილად, მოფიქრებულად.

ამავე დროს ორგანიზაციას რომელსაც უკავია ძეგლი, ვეალება შეინარჩუნოს იგი თავდაპირველი სახით და იზრუნოს მის მოვლა-პატრონობაზე.

ძეგლის მოხერხებულად გამოყენებამ კი შეიძლება კარგი სამსახური გაუწიოს გარკვეულ დაწესებულებებს, ორგანიზაციებს. მათ უნდა მიეცეს გარკვეული ფუნქცია და ვაქციონ ისინი კულტურის პროპაგანდის კერებად. ამის თვალსაჩინო მაგალითია X III საუკუნის ძეგლი — ლურჯი მონასტერი თბილისში, სადაც მოთავსებულია ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი, გრემში მოწყობილი გამოფენა, ბიჭვინტის მუზეუმი და სხვ.



იქ, სადაც აქტიურად მოღვაწეობენ პირველადი რაიონული, საქალაქო, ორგანიზაციები ამ მხრივ მდგომარეობაც უკეთესადაა დაყენებული, მაგრამ არის მთელი რიგი პირველადი ორგანიზაციებისა, რომელთა საქმიანობაც მხოლოდ საწევრო ანარცხების აკრებით და ორიოდვე ექსკურსიის მოწყობით განისაზღვრება.

საჭიროა პროპაგანდის ისეთი ქმედითი ღონისძიებების გამოყენება, როგორცაა ლექცია-საუბრები, კონფერენციები, კინო-ფერენციების მოწყობა, რომელშიც ღონისძიება უნდა მიიღონ ჩვენი რესპუბლიკის ცნობილმა მეცნიერმა სპეციალისტებმა.

მიმდინარე საანგარიშო წელს საზოგადოების რაიონული, საქალაქო, საოლქო, ორგანიზაციების მოვალეობაა ფართო აქტივზე დაყრდნობით გამოავლინოს ნაკლოვანებები და ქმედითი დახმარება გაუწიოს პირველად ორგანიზაციებს მუშაობის უკეთ წარმართვისათვის.

მატერიალური კულტურის უმნიშვნელოვანესი ნიშნუები, ისტორიულ-რევოლუციური ადგილები, შრომითი და საბრძოლო დიდების რელიკვიები, ის წმინდათა წმინდა ძეგლები, რომლებიც მეტყველებენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების დიდ საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე, ვაქციით პროპაგანდის კერებად, ჩვენი ახალგაზრდობის, ჩვენი მოსახლეობის პატრიოტული, ინტერნაციონალური სულისკვეთების აღზრდის კერებად. ახალი ადამიანის ფორმირების საშუალებად კომუნისტურ მშენებლობაში.

ორგანიზებულად, მაღალ იდეურად ჩატარებულ ანგარიშგება არჩვენებს თან უნდა ერთვოდეს მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების პროპაგანდა, ამ საქმეში აქტიურად უნდა გამოვიყენოთ რადიო, ტელეგადაცემები და პრესა.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმი მიმდინარე წლის სამუშაო გეგმაში ითვალისწინებს რამდენიმე პირველხარისხოვან ძეგლზე საკონსერვაციო სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებას, მასობრივი ტირაჟით გამოიცემა ფოტო ილუსტრირებული ალბომები და მონოგრაფიები, რომლებიც ეძღვნება საქართველოს სხვადასხვა კუთხის შრომითი და საბრძოლო დიდების ცალკეულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს.

გაფართოვდება ლექციური პროპაგანდა, მოეწყობა სამეცნიერო სესიები და სხვა. ანგარიშგება არჩვენების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით მოეწყობა თათბირ-სემინარები.

აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს საქართველოს კულტურის ძეგლით დაცვის საზოგადოების მუშაობის გაფართოებასა და გაუმჯობესებას, რათა წარმატებით შევხედეთ V რესპუბლიკურ ყრილობას, საზოგადოების მე-15 წლისთავს.

თბილისის ძველი უბნების რეკონსტრუქციის საკითხისათვის

1970 წელს დამტკიცდა ქალაქ თბილისის განვითარების გენერალური გეგმა. 1970-დან 2000 წლამდე ამჟამად მიმდინარეობს პროექტის რეალიზაცია, მთავრდება ქალაქის ცენტრის რეკონსტრუქციის პროექტი, ბუნებრივია, უნდა გადაწყდეს ქალაქის ძველი, ისტორიულად ჩამოყალიბებული რაიონების ბედიც.

ქალაქის ან მისი ძველი რაიონების რეკონსტრუქცია, მათი შეგუება ცხოვრების ახალი პირობებისადმი, ამჟამად ქალაქთმშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ურთულეს საკითხს შეადგენს. ცხადია რეკონსტრუქცია თანამედროვე გაგებით როდინიშნავს ცალკეულ, წყობილებიდან გამოსული სახლების ნგრევასა და მათ შეცვლას ახალი შენობებით. იგულისხმება ქალაქის განახლების მუდმივი, უწყვეტი პროცესი, რაც დაკავშირებულია სოციალურ, ჰიგიენურ, ტექნიკურ, სატრანსპორტო თუ აღმინისტრაციულ პრობლემებთან. მოღვაწეობის ყველა ეს დარგები მოითხოვენ სათანადო მომზადებასა და დაგეგმვას, გამომდინარე ქალაქის მოსახლეობის ინტერესებიდან და გულისხმობენ ისეთი ერთიანი ქალაქთმშენებლობითი კონცეპციის არსებობას, რომელიც მოიცავს მთელ ქალაქს და ითვალისწინებს მუდმივ ცვლილებებს, დამახასიათებელს თანამედროვე ცხოვრებისათვის. ეს კი ნიშნავს, რომ უნდა იყოს გათვალისწინებული, როგორც კეთილმოწყობილი ბინები და კვარტალები, ისე მათი მარჯვე დაკავშირება სამუშაო ადგილთან, დასასვენებელ ზონებთან, სულიერსა და კულტურულ ცხოვრებაში ხალხის მზარდი მონაწილეობის მხედველობაში მიღებით, აგრეთვე კომუნიკაციებისა და ტრანსპორტის სისტემები და სხვა. ამასთანავე ეს ქალაქთმშენებლობითი კონცეპცია უნდა იყოს პერსპექტიული და განჭვრიტოს ქალაქის ცხოვრებაში მოსალოდნელი შემდგომი ცვლილებანი. ქალაქთმშენებლები ვალდებული არიან დაიცვან ქალაქის, როგორც ხელოვნების ნაწარმოებისა ყველაზე მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თვისებები, შთაბერონ სიცოცხლე იდეაში და მიაღწიონ იმას, რომ რეკონსტრუქციის ყველა მხარე, ნაწილი შერწყმული იქნას ერთიან პარმონიულ მთლიანობაში.

ბუნებრივია, რომ ეს საკითხები განსაკუთრებით რთული გადასაწყვეტია ისეთ ქალაქებში, სადაც შემონახულია ძველი ისტორიული უბნები. სწორედ ასეთ ქალაქებს მიეკუთვნება თბილისი. ეჭვს არ იწვევს, რომ ქალაქის ძველი უბნები — თანამედროვე კიროვის სახელობის, 26 კომისრის, ოქტომბრის და ნაწილობრივ კალინინის სახ. რაიონები მოითხოვენ რეკონსტრუქციას. აქ შემორჩენილი მოძველებული სამრეწველო საწარმოები და საცხოვრებელი სახლები იზოფება როგორც ფიზიკური, ასევე მორალური ამორტიზაციის უკანასკნელ საფეხურებზე. მოსახლეობის სიმჭიდროვე, ბინების მცირე ფართი, გამწვანების სიმცირე, ბინების მოძველებული მიუღებელი მომსახურება და კეთილმოწყობა, ყოველივე ეს ქმნის პირობებს, რომლებიც ეწინააღმდეგება თანამედროვე სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს ადამიანის ცხოვრების თანამედროვე ცნებას.

მეორე მხრივ, ამჟამად, როდესაც წარსული ეპოქების მხატვრულმა კულტურამ, მემკვიდრეობამ კვლავ მიიპყრო საყოველთაო ყურადღება, აუცილებელია, რომ თბი-



თბილისის ძველი უბანი
ფოტო ბარტიშევსკისა

Старый квартал г. Тбилиси
Фото Бартишевского

ლისის ძველი უბნები, რომელთაც აქვთ დიდი კულტურულ-ისტორიული ღირებულება, უნდა იყოს დაცული და მათი განადგურება იქნებოდა მიუტევებელი შეცდომა, უფრო მეტიც, ბოროტმოქმედება.

არქიტექტურა, მისი მრავალი პრაქტიკული, ფუნქციური მიზნების გარდა, მოწოდებულია დააკმაყოფილოს ხალხის ესთეტიკური მოთხოვნები. ხალხი არა-



სოდეს არ კმაყოფილდება მხოლოდ უტილიტარული ნაგებობით, მას მუდამ აქვს სილამაზის მოთხოვნილება. ეს სილამაზე, მშვენიერება, ქმნის მყუდროებას, სიხალისის სიხარულს, ამაღლებს სისიცოცხლისუნარიანობას, შრომისუნარიანობას, იწვევს ერთგულებას თავისი სახლისადმი, ქუჩისადმი, ქალაქისადმი, სახელმწიფოსადმი. სილამაზი ქალაქი იწვევს სიამაყისა და პატიოტიზმის გრძნობას. არქიტექტურა თანამშობს მნიშვნელოვან როლს ხალხის მხატვრული გემოვნების განვითარებაში, იგი მუდამ სახელმწიფოს ძლიერების, კულტურის, ღირსების საუკეთესო გამოხატველია. ჩვენს ეპოქაში, როდესაც ქალაქების განვითარება ტარდება უჩვეულო მასშტაბით, ამასთანავე მშენებლობის ინდუსტრიის და სტანდარტიზაციის პირობებში (რაც თავისთავად აუცილებელია და გამართლებული სწორედ მშენებლობის მასშტაბის გამო), გაჩნდა მსოფლიოს ყველა ქალაქის ნიველირებისა და მათთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური და ეროვნული სახის მოშლის რეალური საშიშროება. უკვე ახლა ქალაქის ახალი კვარტალები და რაიონები მეტად დაემსგავსა ერთმანეთს. ჩვენ გვესმის, რომ ქალაქის ახალი ფუნქციები, ახალი შინაარსი განასხვავებენ ახალ ესთეტიკას, მაგრამ ყოველი მოდა, კონიუქტურა გარდამავალია და საშიში. მცდარ მეთოდზე დაფუძნებულმა სახლების ტიპობრივმა პროექტირებამ უკვე გამოიღო თავისი ნაყოფი. ქალაქი, რომელსაც არა აქვს წარსული, ბიოგრაფია, ბუნებრივი განვითარება საუკუნეთა მანძილზე, როდესაც მასში არაა ახალი განაშენიანების პარამონული შერწყმა ძველთან, ყოველთვის უსიცოცხლოა, იგი არ იწვევს ემოციებს და სიყვარულს. განა არაა ცხადი, რომ რუსთაველის პროსპექტისა და ძველი ქუჩების გარეშე თბილისი დაკარგავს თავისებურებას, მისთვის დამახასიათებელ განუყოფელ სახეს.

როგორც ჩანს სახელმწიფოთა უმრავლესი ნაწილი ამას ითვალისწინებს და რაოდენ არალოგიკურადაც არ უნდა მოგგვიჩვენოს ღონისძიებანი, ჩატარებული ომის პერიოდში დანგრეულ ქალაქებში, რთული და ძვირი სამუშაო ქალაქთა აღდგენის მხრივ განსაზღვრა მოსახლეობის ერთგულებამ წარსულისადმი. პოლონეთში ომის შედეგად დაზიანებული თუ განადგურებული ქალაქები: ვარშავა, გადანსკი, ვროცლავი აღდგენილ იქნა პირვანდელი სახით აზომებითი ნახაზების საფუძველზე. მეტად საინტერესო სამუშაო ტარდება იუგოსლავიაში, კერძოდ დუბროვნიკისა და ლიუბლიანას დაცვასა და რეკონსტრუქციის მხრივ. ძველი იერისა და ხასიათის შენარჩუნებით აღადგინეს საფრანგეთში ომის დროს დაზიანებული ქალაქები — სენ-მალო, ტიენი და სხვ. ინგლისში, პოლანდიაში, დანიასა და შვეიცარიაში კანონმდებლობა ითვალისწინებს ტრადიციული განვითარების დაცვას და ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელია, მიმართავენ რესტავრაციას — ნაგებობათა ძველი სახის აღდგენას.

1972-1973 წლებში მე მქონდა შესაძლებლობა საფუძვლიანად გავცნობოდი აღდგენითი სამუშაოს პრაქტიკას ჩეხოსლოვაკიაში. აღტაცებას იწვევს რომ აქ მრავალი ძველი შუასაუკუნეობრივი ქალაქი და უამრავი არქიტექტურული ძეგლი — ციხე-დარბაზები, სასახლეები, ტაძრები, საცხოვრებელი სახლები ერთიანად ზარაჩობშია. ყველგან მიმდინარეობს დიდი მასშტაბის სარესტავრაციო სამუშაოები. საყურადღებოა ძველ ნაგებობათა მარჯვე გამოყენება თანამედროვე მიზნებისათვის. აქ, ძველ სარდაფებში დიდი გემოვნებით ეწყობა კაფეები და რესტორნები. კომპლექსი — კლუბები და შემოქმედებითი სახლები, სასახლეებში თავსდება საბავშვო ბაღები თუ სამეცნიერო დაწესებულებანი. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა სლოვაკიის ძველი ქალაქების ბანსკა სტაენიციას და კრემნიცას რეკონსტრუქციის პროექტები, სადაც ძველ



ქართული
ენციკლოპედია



თბილისის ძველი უბანი.

ფოტო ი. გილგენდორფისა.

Старый квартал г. Тбилиси

Фото И. Гильгендорфа



თბილისის ძველი უბანი.

ფოტო ი. გილგენდორფსა.

Старый квартал г. Тбилиси

Фото И. Гильгендорфа

განაშენიანებასა და ძველთა დაცვასთან ერთად წარმოდგენილია ძველი ნაგებობების გამოყენების წინადადებები. კარგადაა დაყენებული ძველთა დაცვის და რეკონსტრუქციის საქმე ტალინში, ვილინუსში და ბალტიისპირეთის სხვა ქალაქებში, სადაც შესძლებს შემოენახათ ქალაქების ცენტრალური შუასაუკუნეობრივი უბნები და მოახერხეს მათი შერწყმა თანამედროვე განაშენიანებასთან. უკანასკნელ პერიოდში ბაქოში საფუძვლიანად აღადგინეს ძველი სასახლის ანსამბლი, ციხის გალანები და ირგანულად ჩართეს ეს ძეგლები თანამედროვე განაშენიანებაში.

მოსკოვის ძველი უბნები — კრემლის მიმდებარე — კიტაიგოროდი, რაზინის, კუიბიშევის, 25 ოქტომბრის, კროპოტკინის ქუჩები მიმდებარე კვარტალებით, გერცენის და ვოროსიის ქუჩების ანსამბლები, პეტროვკა, ზამოსკვარეჩი, გაშობხადებულია ნაკრძალ ზონებად და ყველა ცხრა ზონისათვის მუშავდება რეკონსტრუქციის საგანგებო პროექტები.

სამაგიეროდ თბილისში 1968 წელს „თბილქალაქპროექტმა“ წამოაყენა პროექტი, ძველი ქალაქის ყველაზე მნიშვნელოვანი უბნის ადგილას თანამედროვე მიკრო რაიონის შექმნა 20 სართულიანი საცხოვრებელი სახლებით. ამ პროექტის საფუძველზე დაიწყო კიდევ პუშკინის ქუჩაზე სახლების ნგრევა. ეს წამოწყება ჩვენი აქტიური ჩარევის შედეგად იყო შეჩერებული და 1969 წელს თბილისის საქალაქო



საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ქალაქის ძველი რაიონების რეკონსტრუქციის დეტალური პროექტის დამუშავების შესახებ. სამწუხაროდ, დაწყებული ნაქმე მიწიწივებულ იქნა და ამ მხრივ თითქმის არაფერი გაკეთებულა.

ცნობილია, რომ თბილისის ძველი უბნების განაშენიანება ძირითადად მიეკუთვნება XIX საუკუნეს, მაგრამ, როგორც გამოირკვა განაშენიანების ხასიათი, თვით ქუჩების ქსელი გაცილებით ძველია და დაცულია იმ სახით, რომელიც მათ კქონდათ ადრე. ისინი ასახავენ ბატონიშვილ ვახუშტის — 1735 წელს შედგენილ გეგმას და შესაძლებელია უფრო ადრინდელ განაშენიანებასაც. ყოველი ახალი დარბევის შემდეგ ქალაქი აღდგებოდა ძველი სისტემით და ახალი ტიპის სახლები შენდებოდა არსებულ ქუჩებზე. ძველი ქალაქის საზღვრებში იმყოფება მონუმენტური ხუროთმოძღვრების ყველა მნიშვნელოვანი ძეგლი: ანჩისხატის ბაზილიკა, სიონის ტაძარი, ფეთხანის ეკლესია, ჯვარის-მამა, მეტეხი, ნარიყალა, ზარაფხანა და სხვ. აქვეა ძირითადად შენახული უნიკალური ე. წ. „თბილისური საცხოვრებელი სახლები“ აგებული XIX ს. 30-იან წლებში, მაგრამ რაც მთავარია, ეს რაიონი წარმოადგენს არქიტექტურის ბუნებასთან შერწყმის ბრწყინვალე ნიმუშს. ნარიყალას ციხის და ეკლესიების შესანიშნავი მდებარეობა, თვით განაშენიანება საცხოვრებელი სახლებისა, რომელიც უპასუხებს რელიეფს, მეტად მეტყველი განაშენიანება მტკვრის მარცხენა კლდოვანი ნაპირისა, ყოველივე ეს ქმნის შეუდარებელ ანსამბლს განუმეორებელი სილუეტითა და ხედების გახსნით. ამიტომ, ბუნებრივია, რომ რეკონსტრუქცია უნდა შეეხოს არა ცალკეულ შენობებს, არამედ გულისხმობდეს მთელ განაშენიანებას, ძველი ქალაქის ხასიათისა და სილუეტის დაცვას.

აქვე უნდა ითქვას, ისიც, რომ თუმცა ქალაქის ძველი რაიონები განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის, ისინი წარმოადგენენ ქალაქის განვითარების ცოცხალ მატთანეს, ანვითარებენ დროთა კავშირს და ხელს უწყობენ არქიტექტურაში ტრადიციების ღრმა გააზრებას. მაგრამ ძეგლები და მით უმეტეს მთელი რაიონები ვერ გადაიქცევა რელიკვიებად, და ჩვენ არა გვაქვს უფლება შევხედოთ ძველ ქალაქს სამუხეუმო თვალსაზრისით. ეს რაიონები უნდა იყოს დაცული, მაგრამ აქტიურად ჩართული თანამედროვე ქალაქში. ძველ რაიონებს უკავიათ საკმაოდ დიდი ტერიტორია (დაახლოებით 120 ჰექტარი) მრავალი საცხოვრებელი სახლით, სადაც ცხოვრობს რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი. ამიტომ საჭიროა ამ რაიონების გონიერი რეკონსტრუქცია, მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება და ამავე დროს ძველი ქალაქის მხატვრული მთლიანობის დაცვა პირვანდელი კომპოზიციის, სივრცითი და არქიტექტურული მასშტაბის შენარჩუნება. როდესაც ლაპარაკია თბილისის ძველ უბნებზე პირველ რიგში გვულისხმობთ: მონაკვეთს მტკვრის მარჯვენა მხარეზე ბარათაშვილის, პუშკინის, დადიანისა და ლესელიძის ქუჩათა საზღვრებში, ქედის კალთებს ნარიყალასა და თაბორის უბანში გორგასალის ქუჩის გასწვრივ 300 არაგველთა ძეგლამდე; მარცხენა ნაპირის განაშენიანებას კობალაძის ხევის გასწვრივ, ბარათაშვილის აღმართს, განაშენიანებას მტკვრის კლდოვან ნაპირას, დარეჯანის სასახლის უბანს. ეს საკმაოდ დიდი რაიონია და პირველ რიგში საჭიროა იყოს განსაზღვრული მისი დანიშნულება, მისი გამოყენების პრობლემა. სრულიად ცხადია, რომ არსებული ქუჩების ქსელი, ვიწრო შესახვევები და ჩიხები არ გამოდგება თანამედროვე ტრანსპორტისათვის. ამიტომ, მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ზოგ უბნებზე, როგორცაა მაგალითად, უბანი ბარათაშვილის და ლესელიძის ქუჩებს შორის, გამოითიშოს გამჭოლი ტრანს-



პორტი და დასაშვები იყოს მხოლოდ ჩიხური გასვლა. ყველაზე სწორია სატრანსპორტო ხაზების გატანა ძველი უბნების საზღვრებს გარეთ, ძირითადი მაგისტრალის განშტოებათა დატოვებით. თვით უბნებში კი გავითვალისწინოთ მხოლოდ ფეხით მისასვლელი გზები, ხედების, შიგა უზოებისა და გადასასვლელების გახსნით. ასეთი მიდგომა ცნობილია ქალაქთმშენებლობის პრაქტიკაში. ასე მაგ; იტალიის ქალაქ ვერონაში, მთელი საქმიანი ცენტრი გადატანილია ქალაქის სამხრეთ ნაწილში. ძველი ცენტრი კი განტვირთულია აქტიური მოძრაობისაგან. ლაიფციგის ძველი რაიონი გარშემორტყმულია 150-200 მეტრის სიგანის მწვანე ზოლით, რომლის გარეთაა გადატანილი ტრანსპორტი. ასეთი მაგალითები მრავალია.

ასევე, გამწვანებაც ძველ უბნებში მოითხოვს დიდ ტაქტს და სიფრთხილეს. აქ საერთოდ ცოტაა მწვანე ნარგავები და ამიტომ ფრთხილად უნდა მოვეპყრათ თითოეულ ხეს. განთავისუფლებულ ტერიტორიაზე უპირატესობა უნდა მიენიჭოს პარკურულ გამწვანებას, კოინდარსა და ხეიარა მცენარეებს. ყოველ შემთხვევაში, მწვანე ნარგავებმა არ უნდა დაჩრდილონ ხედები და ანსამბლები. ალბათ ყველაზე მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ძველი რაიონები როგორც ტურისტული ზონა, მოვათავსოთ აქ სასტუმროები, პანსიონატები, მუზეუმები, სამხატვრო გალერეები, სუვენირების დამამზადებელი სახელოსნოები, მღაზიები, სადაც გაიყიდება ეროვნული ხელოვნებისა და ხელოსნობის ნაწარმოებები. შეიძლება მიზანშეწონილი იყოს ამ რაიონში მოეწყოს მხატვრების, მოქანდაკეების, არქიტექტორების სახელოსნოები.

ფინეთის ძველ დედაქალაქ ტურკუში დიდი ხანძრისაგან გადარჩენილ უბანზე ლუსატერმიაკის ბორცვზე მოეწყო მუზეუმი ღია ცის ქვეშ. აქ ვიწრო ქუჩებსა და ჩიხებში განლაგებულია ლითონის მხატვრული ჭედურობის სახელოსნოები. პრალაში — ერთ-ერთი ძველი ქუჩა „ზლატა ულიჩკა“ აღდგენილია მისი პირვანდელი უძველესი სახით და ამჟამად წარმოადგენს ტურისტთა საყვარელ ადგილს.

ცხადია ეს ვერ გადაწყვეტს პრობლემებს მთლიანად, ძველი რაიონები საკმაოდ ვრცელია და განკუთვნილია საცხოვრებლად. აქ ბევრი კაპიტალური სახლია, რომელიც უნდა იყოს დაცული. ჩვენი ამოცანაა მათი მოდერნიზაცია თანამედროვეობის მოთხოვნილებათა შესაბამისად, ზოგჯერ შიდა დაგეგმარების შეცვლა, კეთილმოწყობა. ალბათ საჭიროა ამ უბნების განტვირთვა შემდგომი მიზანშენებისაგან და იმ შენობათა მოშლა, რომლებიც ამახინჯებენ მთლიან ანსამბლს. ყველა შემთხვევაში საჭიროა ამ საქმის დაწყება, ვინაიდან დაყოვნება საზიანოა და დროთა ვითარებაში აღდგენაც უფრო ძნელი გახდება.

ჩვენ ვფიქრობთ თბილისის ისტორიული რაიონების რეკონსტრუქციის რთული საკითხის გადასაწყვეტად „თბილქალაქპროექტში“ უნდა შეიქმნას ერთი მცირე, მაგრამ საგანგებო სახელოსნო, რომელიც გაუძღვება ამ საქმეს. უნდა შეიქმნას ძველი რაიონების ყველა ნაგებობათა ინვენტარიზაცია, დამუშავდეს რეკონსტრუქციის დეტალური პროექტი შენობათა გამოყენების წინადადებით. ამ სახელოსნოში უნდა დაამყაროს მჭიდრო კონტაქტი ერთის მხრივ ხელოვნებათმცოდნეებთან, ისტორიკოსებთან და სხვა მეცნიერ-სპეციალისტებთან, მეორეს მხრივ ინტურისტთან, ვაჭრობის სამინისტროსთან და სხვა ორგანიზაციებთან რომლებიც დანტერესებულნი უნდა იყვნენ ამ წამოწყებით.

ქალაქის საბჭომ უნდა გაიღოს წელიწადში ათეული ახა-



ლი ბინა ძველი უბნების მოსახლეობის ნაწილის განსახლება
სათვის, სხვანაირად ეს კეთილი საქმე ადგილი და
ძვრება. დროა რომ ჩვენი ქალაქის მოსახლეობა აზიარონ დიდი ქალაქმშენ-
ებლობის ღონისძიებებთან. ქალაქის საბჭო და არქიტექტორთა კავშირი ვალდებუ-
ლია საჯარო განხილვაზე გამოიტანონ ასეთი ღონისძიებანი. ეს არქიტექტურის სპე-
ციალური საკითხები კი არა, არამედ ჩვენი ქალაქის გარეგანი სახის, მისი ბედის გა-
ნხილვა იქნებოდა. ჩვენ დღეს ვლაპარაკობთ ქალაქის ემოციურ მზარეობზე, რაც მო-
ქმედებს როგორც სპეციალისტებზე, ასევე რიგით მოქალაქეებზე.

ქალაქმშენებლობა რთული დარგია, შედეგი მრავალი ელემენტისა, ფაქტორე-
ბისა, რომლებიც შეერწყმიან ერთ მთლიანობაში და თუ ეს შემოქმედებითი პროცესი
მოგვეცემს შედეგს, რომელიც გასაგები და მისაღები იქნება ყველასათვის, ყველა ნო-
ქალაქისათვის, მაშინ მივალწვეთ მიზანს. რა თქმა უნდა შემოქმედისათვის საჭიროა
არა დოქტრინები და აზრები, არამედ პრაქტიკული მოღვაწეობა და შემოქმედებითი
გადაწყვეტილებანი. თუმცა აზრთა გაცვლა-გამოცვლაც შეიძლება სასარგებლო იყოს
და სწორედ ამას გთავაზობთ ეს წერილი.

არქიტექტორ-რესტავრატორთა მომზადება

ჩვენს რესპუბლიკაში მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვისა და რესტავრაციის საქმის გაუმჯობესების მიზნით, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით, 1969 წელს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურის ფაკულტეტზე დაიწყო მიღება რესტავრაციის განყოფილებაზე. (ამავე წელს გაიხსნა რესტავრაციის განყოფილება მოსკოვის არქიტექტურულ ინსტიტუტში).

ამრიგად, არქიტექტურის ფაკულტეტის წინაშე კიდევ ერთი მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანა დაისვა: მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციისა და პროფესიული კულტურის მქონე არქიტექტორ-რესტავრატორები, რომელთაც უნარი ექნებათ მეცნიერულ დონეზე ჩაატარონ სამუშაოები ხუროთმოძღვრული ძეგლების აღდგენა-გამაგრებისას.

სწავლების ვადა არქიტექტორ-რესტავრატორთა მომზადებისათვის განსაზღვრულია ხუთი წელი და ექვსი თვე.

სტუდენტი სწავლების პერიოდში ღებულობს საინჟინრო-ტექნიკურ განათლებას. ხდება მისი შემოქმედებითი მსოფლმხედველობის ფორმირება, არქიტექტორ-რესტავრატორის პროფესიონალური მეთოდების ათვისება: პროფესიონალური ცოდნის, გამოცდილებისა და მხატვრულ-კომპოზიციური ჩვევების გამოუმუშავება.

არქიტექტორ-რესტავრატორთა მომზადება პირველ სამ კურსზე მიმდინარეობს არქიტექტორთა მომზადების საერთო სასწავლო გეგმით და პროგრამებით. IV კურსიდან იწყება სპეციალიზაცია, სამხატვრო აკადემიის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმის მიხედვით.

სპეციალურ დისციპლინებში არქიტექტურის კათედრის მიერ შემუშავებულია სასწავლო პროგრამები. ეს პროგრამები წარმოადგენს პირველ ცდას და ადვილი შესაძლებელია გააჩნდეს ნაკლოვანებებიც, რაც გათვალისწინებული იქნება მომავალში. მით უმეტეს, რომ სასწავლო პროგრამები რესტავრატორთათვის საბჭოთა კავშირის უმაღლეს სკოლებს ჯერ კიდევ არა აქვთ შედგენილი.

IV კურსის I სემესტრში სარესტავრაციო დაგეგმარებაში კურსი ასრულებს, პრაქტიკის პერიოდში აზომილი ხუროთმოძღვრული ძეგლის სუფთა ნახაზებს. II სემესტრში სტუდენტს ეძლევა რომელიმე ანტიკური ძეგლის მოცემულობა აღდგენის პროექტის შედგენის მიზნით. სტუდენტი ლიტერატურული წყაროების დახმარებით აღგენს რეკონსტრუქციის პროექტს მოცემულ მასშტაბში; სუფთა ნახაზები დაიტუშება და შესრულდება ამორცხვით. ამ მოცემულობის შესრულებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტის მუშაობას სპეციალურ ლიტერატურაზე.

V კურსის I სემესტრში არსებული ანაზომების მიხედვით (პრაქტიკის ობიექტებიდან) სტუდენტი ასრულებს რესტავრაციის პროექტს. ძეგლს სწავლობს ლიტერატურული წყაროებით, ანაზომის ასლებით გადააქვს დაკარგული ნაწილები და პროექტს ასრულებს გრაფიკულად, პირობითი აღნიშვნების დატანებით. გარდა ამისა აღგენს პროექტის მეცნიერულ დასაბუთებას.

V კურსის II სემესტრში გათვალისწინებულია ისტორიული მნიშვნელობის ქა-



ლაქის ან სოფლის (ან მისი რაიონის) გენერალური გეგმის რეკონსტრუქციის პროექტის შედგენა.

VI კურსი. დ ი პ ლ ო მ ი. სტუდენტი ირჩევს სადიპლომო თემად რომელიმე დაზიანებულ ძეგლს. V კურსის პრაქტიკის პერიოდში სტუდენტი სწავლობს სუროთმოდვრულ ძეგლს ლიტერატურული წყაროების მიხედვით და აწარმოებს კვლევას ნატურაში. I ოქტომბრიდან პრაქტიკის მონაცემების მიხედვით, ნ თვის განმავლობაში მუშაობს რესტავრაციის პროექტის შედგენაზე.

გარდა სარესტავრაციო დაგეგმარებისა, არქიტექტორ-რესტავრატორები შეისწავლიან შემდეგ სპეცდისციპლინებს: სუროთმოდვრული ძეგლების რესტავრაციის მეთოდიკას, საქართველოს ისტორიას, ქართული არქიტექტურისა და ხელოვნების ისტორიას, არქიტექტურის ხელოვნებას ძველ საქართველოში, პალეოგრაფიას, არქეოლოგიას, თანამედროვე მასალებს ძეგლების რესტავრაციისათვის, სამუზეუმო საქმეს, ტურიზმს, ფოტო საქმესა და სხვ.

1975 წელს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი გამოუშვებს ქართველ არქიტექტორ-რესტავრატორთა პირველ ნაკადს, რომლებიც წარიგზავნებიან სამუშაოდ კულტურის სამინისტროს სისტემაში, სპეციალურ სანეციერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოში და თავიანთი კეთილსინდისიერი მუშაობით შეასრულებენ ძეგლთა მეცნიერულ დაცვით სამუშაოებს.

გუდალეთის ტაძარი

შუა ქართლში, მდ. გუდალურას თვალწარმტაც ხეობაში (ქასპის რაიონი), მდებარეობს სოფ. გუდალეთი, სადაც მატერიალური კულტურის რამდენიმე ძეგლის ნაშთია დაცული. ეს ძეგლები ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან ამ სოფლის კულტურულ ცხოვრებაზე ისტორიულ წარსულში. ამ ძეგლთა შორის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანია ღვთისმშობლის სახელზე აგებული გუმბათოვანი ტაძარი, რომელიც ე. წ. მოდრეკილანთ უბანში ციხე-გალავანით შემოზღუდულ, ამაღლებულ ადგილზე დგას.

გუდალეთში ტაძრის აგების შესახებ ქართულ მატრიანებს არავითარი ცნობა არ შემოუნახავთ. ძეგლი სამეცნიერო ლიტერატურაშიაც თითქმის უცნობია. სოფ. გუდალეთი და ღვთისმშობლის ტაძარი საერთოდ არა აქვს მოხსენებული ვახუშტის თავის გეოგრაფიაში. მხოლოდ ორიოდ ისტორიულ დოკუმენტშია აღნიშნული, რომ XIV ს. სოფელი სვეტიცხოვლის კუთვნილი ყოფილა; XVII ს. ეს ადგილები სახასო იყო. ცნობილია, რომ გიორგი სააკაძის შთამომავალნი — თარხნიშვილები — კავთისხევის მურავები იყვნენ და გუდალეთიც მათ საბატონოში შედიოდა (თ. ფორდანია, ქრონიკები, II თბ. 1897, გვ. 195, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წ. 1, გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, თბ., 1964, გვ. 65, ს. მაკალათია, კავთურას ხეობა, თბ., 1960).

სოფ. გუდალეთი გორაკებზეა გაშენებული და მშვენიერი მდებარეობა აქვს. გზიდანვე იქცევს ყურადღებას კოშკიანი გალავანი და მის შიგნით ტაძრის დანგრეული კედლების სილუეტი. გზა ჩრდილო-დასავლეთიდან უდგება გალავანს, რომლის სამხრეთით კოშკის პირველ სართულზე, ჭიშკარია გამართული. იმავე მხარეს, გარედან, კედელზე ამჟამად სოფლის სკოლის ერთსართულიანი შენობაა მიდგმული.

ტაძარმა ჩვენამდე ძლიერ დაზიანებული სახით მოაღწია. გუმბათი და კამარები ერთიანად ჩაქცეულია, გრძივი კედლები მცირე სიმაღლეზეა შემორჩენილი. დანგრეულია აღმოსავლეთის პასტოფორიის მეორე სართული. ამჟამად გუმბათქვეშა ბოძების კვალიც გამჭრალია, თუმცა ამ 25-30 წლის წინ ჯერ კიდევ მდგარა სამხრეთ-დასავლეთის ბოძი და მისგან გადაყვანილი თალი. დასავლეთის კარიბჭისაგან მხოლოდ სამხრეთის კედლის მცირე მონაკვეთი შემორჩენილია. ტაძრის ინტერიერში, გალავანის ეზოში და მის გარეთ მრავლად გვხვდება ორნამენტით მორთული თუ პროფილირებული თლილი ქვის ფრაგმენტები.

ტაძარი ძირითადად თლილი ქვით ნაშენი გუმბათოვანი ნაგებობაა, დასავლეთის მხრივ მიშენებული კარიბჭით. მისი გეგმა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს. გუმბათი ემყარებოდა საკურთხეველის კედლებსა და დასავლეთის ორ თავისუფლად მდგარ ოქტოგონურ ბოძს. აღმოსავლეთით საკურთხეველის ნახევარწრიული აფსიდიდა ბემით, საკურთხეველის ორსავე მხარეს აფსიდებიანი სამკვეთლო და სადიაკვნეა (სამკვეთლო თაღოვანი გასასვლელით უშუალოდ უკავშირდებოდა ბემას; იგი ამჟამად სანახევროდ ამოქოლილია. სადიაკვნეცა და სამკვეთლოც გასასვლელებით უკავშირდება მთავარ სივრცეს). პასტოფორიების თავზე ყოფილა თითო სადგომი, სადაც მხოლოდ მისადგმელი კიბით შეიძლებოდა ასვლა, აქე-



გუდალეთი, საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან


Гудалети. Общий вид с юго-запада

დან კი კონქზე გამართულ სამალავში მოხვედრა. გრძივი კედლების დაქვევის შედეგად კარგად მოჩანს სამალავში ასახვლელი სწორკუთხა კარები და გვირაბი ვიწრო კიბით. კონქის ჩამოქცევის შედეგად ჩანს ჭერზე გამავალი კარის ხერელობი, რომელიც ცენტრიდან ოდნავ ჩრდილოეთითაა გაჭრილი; კონქსზედა კედლები მთლიანად აგურითაა ამოყვანილი.

გარედან ტაძარს სამი შესასვლელი აქვს. ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ ორი დიდი სარკმელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადებზე. მცირე ზომის თითო მრგვალი სარკმელი აშუქებდა სამკვეთლოს, სადიაკვნეს და მათ ზემოთ განთავსებულ სადგომებს. გარდა ამისა, თითქმის შეუმჩნეველი ორი ვიწრო ხერელია გაჭრილი საკურთხევლის ზემოთ ასახვლელი გვირაბის გასაშუქებლად. ცხადია, სარკმლები იქნებოდა გრძივ ფასადებზე და გუმბათის ყელზე.

ინტერიერში საკურთხევლის სარკმლის ქვეშ ვიწრო სწორკუთხა ნიშია, მის ორსავე მხარეს უფრო ღრმა, უსწორო ნახევარწრიული ფორმის ნიშებია მოწყობილი.

ტაძრის კედელ-კამარა თავის დროზე შელესილი და მოხატული ყოფილა. ნაღესობის ჩამოშლის შედეგად კარგად ჩანს კედლების შიგაპირის საშენი მასალა. აქაც, ფასადების მსგავსად, ვხვდებით სხვადასხვა ზომის და ფორმის თლილ, ნატეხ და რიყის ქვებს. კარგად თლილი ქვიშაქვის კვადრებითაა გამოყვანილი სარკმელთა და შესასვლელთა საპირეები, კაპიტლები და კარნიზი. ასეთი ქვებით ყოფილა ნაგები გუმბათქვეშა ბოძები, მათზე დამყარებული თაღები და გუმბათის ყელის სარკმლები.



გუდალეთი. ღვთისმშობლის ტაძრის
გეგმა

Гудалети. Генипан церкви
Богоматери

გარედან ეკლესიის ფასადებზე წყობა ნარგავია. სხვადასხვა ფორმის ქვები ერთმანეთისაგან მცირე ინტერვალებითაა დაცილებული და ეს არე პატარა ქვებითა და ნაღესობითაა შევსებული. ფასადთა კუთხეები მჭიდროდ დალაგებული თლილი კვადრებითაა ამოყვანილი. საერთოდ ფასადები ფერთა სიჭრელით ხასიათდება.

ტაძრის ფასადების საერთო კომპოზიციაზე შედარებით სრულ წარმოდგენას მხოლოდ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადები გვიქმნის.

აღმოსავლეთის ფასადი ფართოდ გაშლილ სიბრტყეს წარმოადგენს, რომლის შუა ღერძზე მოთავსებულია საკურთხეველის თაღოვანი სარკმელი (იგი ორი გლუვი ლილვითაა მოჩარჩოებული, საპირდაც ორი ლილვი ევლება. ლილვები რამდენსამე ადგილას ერთმანეთს ნასკვებით ებმებიან. თაღის ქუსლებთან და ქვემო კუთხეებში ორნამენტური იმპოსტები და ბაზისები სარტყლიანი ბურთულებით, რომელიც მთლიანად კედლის სიბრტყეში ზის). ფასადის კუთხეებთან ორიგად განთავსებულია მცირე ზომის მრგვალი სარკმლები. ამათაც საგანგებო მოჩარჩოება აქვთ. ფასადის ფრონტონს აგვირგვინებს მარტივ პროფილიანი კარნიზი, რომლის თაროს ფესტონებიანი არშია გახდევს.

დასავლეთის ფასადი — შუა ღერძზე მოთავსებულია თაღოვანი შესასვლელი და სარკმელი მის ზემოთ. შესასვლელის ტიშანიანი თაღი გარედან ორი გლუვი ლილვი-



თაა მოჩარჩოებული. ლილეები ორგან ნასკვებით ებმიან ერთმანეთს. თაღის ქუსლებში⁽¹⁾ თან სარტყლიანი ბურთულებია ჩასმული (შესასვლელის ქვედა ნაწილში⁽²⁾ შიშითა და ფარული). თაღის ქუსლებთან კედლიდან ამოზიდული პიროფილირებული კრონშტიენებია კედელში ჩასმული. თაღს ვერტიკალურად დაწყობილი ნატეხი ქვების ერთი რიგი შემოუყვება.

შესასვლელს ზემოთ მდებარე სარკმელს, სადა ლილვებს შორის მოქცეული, თავიდან ბოლომდე ორნამენტით მორთული საპირე ევლება. გარედან სარკმელს აჩარჩოებს ორი ლილევი, რომლის თაღის ქუსლებთან და ქვემოთ კუთხვებთან ორნამენტით მორთული იმპოსტები და ბაზისებია სარტყლებიანი ბურთულებით. სარკმლის პორიზონტალურ ჩარჩოდან ჩამოშვებულია სამმაგი ლილევი, რომელიც ქვემოთ სარტყლიანი ბურთულებითაა გაფორმებული და ორნამენტთან ბაზისს ეწყარება. ლილევა კონა პორტალის თაღამდე არ აღწევს, შუა გზაზე წყდება.

ტაძრის სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადები თითქმის დაქვევლია (ჩრდილოეთის კედელი ოთხიოდ მეტრის სიმაღლემდეა შემორჩენილი). შედარებით მთელი დგას შესასვლელები; თაღებს თითო ლილევი ევლება ჩარჩოდ. ცალმაგი ლილევი ევლება წირთხლებსა და წიბოებს. ლილვები ბურთულებითაა გაფორმებული. გარედან ლილვების ორივე მხარე ფესტონებიანი არშიითაა შემკული. თაღის ქუსლებთან, აქაც ამოზიდული კრონშტიენებია ჩასმული მონგრეული ძირით.

ტაძრის სამშენებლო წარწერა არ გააჩნია, არც ისტორიულ დოკუმენტებშია აღნიშნული მისი აგების დრო და ვითარება. მიუხედავად ამისა, ძეგლის სურათმოდერულ-სტილისტური ანალიზი შესაძლებლობას იძლევა იგი XIII—XIV სს. მიჯნის ნაგებობად მივიჩნიოთ.

ძეგლის ანალიზი გარკვევით გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი მომენტით მისი არქიტექტურა აგრძელებს XII—XIII სს. გუმბათოვან ნაგებობათა ტრადიციებს; იმავე დროს, მასში ვხვდავთ იმ ახალ თვისებრივ ცვლილებებს, რომლებიც XIII—XIV სს მიჯნის ძეგლებს ახასიათებთ. ამ მომენტების შეყურება უფლებას გვაძლევს გუდალეთის ტაძარი ჩავაყენოთ იმ ძეგლთა რიგში, რომლებიც ქართულ არქიტექტურაში გარკვეული გარდატეხის პროცესს გვიჩვენებენ.

ტაძრის გეგმა საესებით ემთხვევა განვითარებულ შუა საუკუნეებში მიღებულ ნორმებს. როგორც ცნობილია, ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრის ეს ტრადიციული ტიპი საუკუნეების მანძილზე კანონიკურად იყო ქცეული. ამ ტიპის ტაძართა დასავლეთის მკლავი XI—XIII სს აღმოსავლეთისაზე გრძელია. XII—XIII სს. მიჯნის ძეგლებში თავს იჩენს სიგრძის შემცირების ტენდენცია, რაც შემდგომი კიდევ უფრო მცირდება. ეს შემცირება სწორხაზოვანი და უგამონაკლისო არ არის. თუ საფარა, ცაივი, ჭულე, ზარზმა, თისელი, გერგეტის სამება ამ ტენდენციას მეტ-ნაკლებად გვიჩვენებენ, გუდალეთი და XIV საუკუნის მიწურულის ბიეთი განცალკევებით დგანან და, ამ მხრივ, ისინი მეტ სიახლოვეს ამჟღავნებენ XI—XIII სს. ძეგლებთან. მაგრამ, როგორც გუდალეთში, ისე ბიეთში (რომელიც იმ დროსაა აგებული, როცა სტილის ევოლუციის ახალი საფეხური სავსებით ჩამოყალიბებულია), სიგრძივობის შთაბეჭდილება მისი გეგმის შინაგანი განლაგებით და ცალკეულ ნაწილთა ურთიერთშეყარდებით სრულიად შენელებულია (ვ. ბერიძე, სამცხის სურათმოდერება, თბ., 1955).

ტაძრის შიგა სივრცე (რა თქმა უნდა, სივრცის მხატვრული მთლიანობა, დღეს სრულიად დარღვეულია და ჩვენ მხოლოდ წარმოსახვით შეგვიძლია მისი აღდგენა) არ უნდა ყოფილიყო მოკლებული აზიდულობას და სიმსუბუქეს, რაც ძირითადად შუა



გუდალეთი. აღმოსავლეთის ფასადი

Гудалети. Восточный фасад

„ნავის“ დავიწროებით და ამალღებულ ყოფილა მიღწეული. მაგრამ ეს ამალღება ისეთი მახვილი და დაძაბული კი არაა, როგორც XII—XIII სს. ძეგლებშია, არამედ უფრო ზომიერია. აფსიდის ზემოთ მისწრაფების შთაბეჭდილებას მნიშვნელოვნად ანელებს ქვემოთ მოთავსებული სარკმელი და ნიში.

ამჟამად, ძნელია იმის თქმა, თუ როგორი იყო ძირითადი შეფარდება გუმბათის სიმაღლისა შენობის კორპუსის სიმაღლესთან და სიგანესთან (სწორედ ეს შეფარდება განსაზღვრავს გუმბათოვანი ნაგებობის პროპორციებს როგორც შიგნით, ისე გარეთ), მაგრამ გუმბათქვეშა კვადრატის ზომებით უნდა ვივარაუდოთ, რომ გუმბათიც ზომიერი სიმაღლისა უნდა ყოფილიყო. ინტერიერში თვალს ხედება ძლიერ დამოკლებული განივი მკლავები, რითაც მკლავებშირისმა ნაწილებმა სრულიად დაკარგა დამოუკიდებელი მნიშვნელობა (მათი სიგანე ერთ მეტრსაც კი ვერ აღწევს), რაც ასევე XIII—XIV სს. ძეგლთათვისაა დამახასიათებელი. წინა ეპოქის ტენდენციას უკავშირდება ტაძრის შესასვლელთა მდებარეობაც. სამი შესასვლელი იშვიათად გვხვდება. ჩრდილოეთით მესამე კარის არსებობა ტაძრის ადგილმდებარეობით აიხსნება: მისასვლელი სწორედ აქედანაა (დღეს გალავანში შესასვლელი სამხრეთიდანაა, მაგრამ გალავანი გვიანდელია).



გუდალეთი. დასავლეთის ფასადი

Гудалети. Западный фасад

ტაძრის საკურთხეველი უშუალოდ გასასვლელით მხოლოდ სამკვეთლოს უკავშირდება, სადიაკვნე კი მისგან გათიშულია. ამგვარი დიფერენცირება წინათ იშვიათი იყო, „საფარის ეპოქაში“ კი უვამონაკლისო წესად იქცევა. (ზარზმა, ქულე, ბიეთი, გერგეტის სამება და სხვ.).

საკურთხეველს მხოლოდ ერთი სარკმელი აშუქებს (წინა ეპოქის სამის ნაცვლად). რაც შეეხება გრძივ კედლებზე და გუმბათის ყელზე სარკმელთა რაოდენობას და მათს კომპოზიციურ გადაწყვეტას, დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით. ამდენად, ტაძრის განათების რეალურ სისტემაზე საუბარი შეუძლებელია.

საკურთხეველის სარკმლის ქვეშ და მის ორსავე მხარეს ნიშების არსებობა (ვგულისხმობთ ნიშს უშუალოდ სარკმლის ქვეშ) ახალი არ არის, ასეთი ნიშები V ს. გვხვდება (ალავერდი, სამთავრო და სხვ.), უფრო ხშირია იგი XII-XIII სს. ძეგლებში (ბეთანია, იკორთა, ყინწყისი, ლურჯი მონასტერი), მაგრამ XIII-XIV სს. ძეგლებზე ეს მოტივი აღარ მეორდება; საფარის მსგავსად გუდალეთში მისი არსებობა, რა თქმა უნდა, ადრეული ნიმუშების გახსენებით აიხსნება.



ამგვარად, ტაძრის ინტერიერის მთელი რიგი მომენტები, ცალკეული კედლები, კონსტრუქციები და მოტივები გვიჩვენებენ, როგორც წინა საუკუნეთა, ისე XIII-XIV სს. შიდა-სამხრეთის ძველათვის დამახასიათებელ თვისებებს. აქ უკვე ჩანს ცვლილებათა გარკვეული ნიშნები, დამახასიათებელი ე. წ. გარდატეხის დროინდელი ძეგლებისათვის.

ტაძრის გარეგნული სახე უფრო მკაფიოდ ავლენს მისი ეპოქის სამშენებლო პრინციპებსა და მხატვრული აზროვნების თავისებურებებს. გარედან ეკლესიის ყოველი ფასადი ადვილად მისადგომი და ასევე ადვილად აღსაქმელია. ფასადების ნახვისას თვალში გეცემათ კედლების წყობის ხასიათი. ამ მხრივ იგი აშკარად გამოირჩევა როგორც წინა დროის, ისე „საფარის ეპოქის“ ძეგლებისაგან და მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს გვიანი შუა საუკუნეების ძეგლებთან. ფასადების ნახვისას ისეთი ნოაბეჭდილება გრძობათ, თითქოს კარგად თლილი და ასევე ნაწყობი კვადრებით გამოყვანილი კარსარკმლები შემდეგაა ჩასმული. უნდა ვიფიქროთ, რომ მშენებლები ქვის ნაკლებობას განიცდიდნენ და ეს არცაა გასაკვირი, რადგან იმ დროს „არა იყო მათ ქვითა შინა თესვა და არცა შენება ყოვლადვე“, განსაკუთრებით შუა ქართლში.

ფასადთა კომპოზიციური გადაწყვეტით გუდალეთი მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს „საფარის ეპოქის“ ძეგლებთან: კედლები მოცემულია ყოველგვარი დანაწევრების გარეშე, უარყოფილია წინა დროის შეწყვილებული სარკმლები მათ შუა დიდი ჯვრით, სამკუთხა ნიშები აღმოსავლეთის ფასადზე, პორიზონტალური სარტყლები და სხვ.

ტაძრის ფასადების მორთულობის სისტემაზე საუბარი ძნელია, ვინაიდან თავდაპირველი სახე მხოლოდ ორ ფასადს შერჩა, თუმცა თარიღისათვის სხვა ელემენტებთან ერთად ეს ორი ფასადიც ბევრ რასზე ამბობს.

აღმოსავლეთის სარკმელი თავისი პროფილით და გაფორმებით XII-XIII სს. ნამდვილად ვერ შეიქმნებოდა. სარკმლის კომპოზიციური გადაწყვეტა ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ უგულებელყოფს ოსტატი სარკმლის ტრადიციულ საპირეს; ლილვებს, რომლებსაც იგი საპირის ნაცვლად სვანს, მხოლოდ ფორმალურ-დეკორატიულ ელემენტად აქცევს. ნასკვებიანი ლილვების მქონე სარკმლები ძალზე იშვიათად ვხვდებით. რამდენადმე შესაგეს რეპლიკას ვხედავთ XII ს. ბეთანიის მცირე ეკლესიაზე, უფრო მეტია იგი XIII ს. (სხალთა, ახტალა, გავეთი, ქარზამეთი). გუდალეთის აღმოსავლეთის სარკმელი თავისი პროფილით, ლილვებით, კუთხის იმპოსტებისა და ბაზისების მორთულობით უეჭველს ხდის მის ნიკუთვნებას „საფარის ეპოქისათვის“. კუთხის სარკმლები — ქვევით ოთხკუთხა, ზევით მრგვალი, ჩარჩოებით მთლიანად კედლის სიბრტყეშია „ჩაძირული“. სიმშრალის შთაბეჭდილება, რომელსაც აღმოსავლეთის ფასადი ტოვებს, ამგვარი პროფილების გამოყენებითაც აიხსნება.

ნიშანდობლივია ტაძრის კარნიზის გადაწყვეტა (მისი პროფილი ტრადიციულია). ეს არ არის „საფარის ეპოქის“ ძეგლებისათვის დამახასიათებელი მრავალნაწევრიანი პროფილები. მაშინ, როცა XI-XIII სს. ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ტაძრის კარნიზი აუცილებლად ირთვება ჩუქურთმიანი არშიით, გუდალეთში მხოლოდ ზედა ვიწრო თაროს გასდევს ფესტონებიანი მოტივი, რომელიც თავისი ხასიათით ძალზე მშრალი და სქემატურია. მისი მოთავსება ასეთ სიმაღლეზე, ისიც ამ ზომისა, სრულიად გამართლებული და გაუგებარია.

დასავლეთის ფასადი მარტივადაა გადაწყვეტილი, მას რამდენადმე ამდიდრებდა კარიბჭე. ტაძრის შესასვლელები ძალზე უბრალოდაა გაფორმებული. ოსტატი იოლად შეელია ფართო მოჩუქურთმებულ საპირეს. გლუვი ლილვები, საკმაოდ უსახური იმპოსტები, სარტყლიანი ბურთულები, ლილვთა ორსავე მხარეს ფესტონებიანი არშია,



გუდალეთი. დასავლეთის სარკმელი

Гудалети. Окно на восточном
фасаде

ვერაფერს მატებს საერთო სიმშრალისა და სიხინჯის შთაბეჭდილებას.

ტაძრის დასავლეთის სარკმლის კომპოზიცია გარკვევით ემხრობა XII-XIII სს. მიჯნის ძველთა ტრადიციას და იმეორებს იმდროინდელი სარკმლის ტიპს (თაღოვანი ორმაგლილვიანი ჩარჩო ორნამენტებიანი საპირის გარშემო, გამოყოფილი იმპოსტები და



ბაზისები თაღოვანი ნაწილის ქუსლებში და ქვემო კუთხეებში, სარტყელშემოკლებული ბურთულები, ქორიზონტალური ლილვიდან ჩამოშვებული საწმაგი ლილვის კონსტრუქციით ბურთულებითა და ჩუქურთმიანი კვადრატით დამთავრებული). ლილვები სიბრტყეზეა „დადებული“ და ადვილად შესამჩნევ რელიეფს ქმნის. აღმოსავლეთის სარკმლის მსგავსად, თაღის ქუსლებთან, ორ ლილვთან სამ-სამი ბურთულის ჩასმა სრული ელოგიკობის მაჩვენებელია.

დასავლეთის ფასადის სარკმლის ტიპი ფართოდაა გავრცელებული XII-XIII საუკუნეებში (ბეთანია-ქვათახევის ჯგუფის ძეგლები), მოგვიანებით გვაქვს მეტეხში, ხობში, ცაიშში; მთელი რიგი ნიშნებით გუდალეთის ეს სარკმელი მოგვიანო ხანის ძეგლებს უახლოვდება.

დასავლეთის კარიბჭის არქიტექტურულ კომპოზიციაზე საუბარი დღეს ძალზე ჭირს. მთელი რიგი ნიშნებით, მისი აგება თითქოს თავიდანვე უნდა ყოფილიყო განზრახული (კრონშტეინები შესასვლელის თაღთან, სარკმლიდან ჩამოშვებული ლილვთა კონის შუა გზაზე შეწყვეტა), მაგრამ გადარჩენილი სამხრეთის კედლის მცირე მონაკვეთის წყობის ხასიათი აშკარად განსხვავდება ეკლესიის წყობისაგან. როგორც ჩანს, კარიბჭე მოგვიანებით არის აგებული. რაც შეეხება ჩრდილოეთის და სამხრეთის შესასვლელებთან ჩასმულ ამოზიდულ კრონშტეინებს, მათ რაიმე კონსტრუქციული დანიშნულება არ გააჩნიათ, ისინი უბრალოდ დეკორატიული ელემენტებია. ფასადებზე თავისუფალი კრონშტეინები ადრე იშვიათად გვხვდება (აბელა, წულურულაშენი), ხოლო „საფარის ეპოქაში“ იგი ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანთვისებას წარმოადგენს (საფარა, გავეთი, ბეთი, ქარხამეთი, გერგეტის სამება და სხვ.).

ტაძრის მორთულობიდან ჩვენამდე მოაღწია აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარკმლების, შესასვლელებისა და კარიზის მორთულობამ. ტაძრის ინტერიერში, გალანის ეზოში და მის გარეთ მრავლად ვხვდებით ორნამენტირებულ ფრაგმენტებს და ცალკეულ პროფილირებულ ქვებს. როგორც ირკვევა, შემორჩენილი ფრაგმენტები გრძივი ფასადებისა და გუმბათის ყელის სარკმლებს მიეკუთვნებოდა.

ტაძრის ორნამენტაცია თავის ხასიათით აშკარად ემხრობა XIII--XIV სს. მიჯნის ძეგლთა შემკულობის ჯგუფს. ამ დროის ორნამენტები კარგადაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, ამიტომ აღარ შევედგებით მათ მიმოხილვას. გუდალეთში ტრადიციულია როგორც ორნამენტის კვეთის ტექნიკა, ისე მოტივების შესრულების ხერხი; ორნამენტის ტექნიკური შესრულება ძირითადად პროფიხიულ დონეზეა, მაგრამ ცალკეულ დეტალებში, კომპოზიციურ აგება-განაწილებაში უკვე ჩანს სტილის გვიანი ფაზისათვის დამახასიათებელი ნიშნები: დაუდევრობა, დაწვრილმანება, სიმშრალე.

ეკლესიის ორნამენტული რეპერტუარი ძირითადად, გარკვევით ემხრობა XII-XIII სს. ტრადიციას, მაგრამ ჩუქურთმის საერთო ხასიათი, მათი შესრულებით მანერა განსხვავებულ სურათს გვაძლევს. იქ სადაც ოსტატი საკუთარ ფანტაზიას ენდობა (აღმ. სარკმელი, შესასვლელები), უფრო მკვეთრად ჩანს სიხისტე, აქედან შესრულების ხარისხიცა და შთაბეჭდილებაც ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ ორნამენტში რაოდენობრივად მცენარეული სახეების ხვედრითი წონა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია; ეს პომენტით მით უფრო აღსანიშნავია, რომ ამ დროის ძეგლთა შემკულობის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანთვისებას გეომეტრიული ორნამენტის სიჭარბე წარმოადგენს. გუდალეთში ფოთლი ჯერ კიდევ არ არის „შთანთქმული“ ლენტოვანი წნულის მიერ (სარკმელთა საპირების ფრაგმენტები).

ტაძრის ჩვენამდე მოღწეული ორნამენტის შესრულება სრულიად ერთგვაროვან



სურათს გადაღევს, მსგავსია მათი აგების ხერხები, კომპოზიციური აღნაგობა ერთ შექმნილი ეფექტი. როგორც ჩანს, მოტივების რაოდენობით გუმბათის კულობა სჭარბობდა საკუთრივ ტაძრისას. ორნამენტის რეპერტუარი VI-XIII სს. ტრადიციას ემხრობა, მაგრამ შესრულების ხასიათით იგი XIII-XIV სს. მიჯნის ძეგლებს უახლოვდება.

ამგვარია გუდალეთის ღვთისმშობლის ტაძარი; მისა გვემის, შინაგანი სივრცისა, ფასადთა გადაწყვეტისა და გაფორმების განხილვა ნათლად გვიჩვენებს მის ადგილს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა შორის. ისევე როგორც ამ დროის ძეგლებზე, აქაც ნათლად მოჩანს ცვლილებათა ის ნიშნები, რომლებიც განასხვავებს ამ პერიოდის ძეგლებს წინა ეპოქის ძეგლებისაგან.

ტაძრის არქიტექტურისა და შემკულობის ანალიზი საფუძველს გვაძლევს მივაკუთვნოთ გუდალეთის ეკლესია ძეგლთა იმ ჯგუფს, რომლებიც ქართულ ხუროთმოძღვრების ისტორიაში სტილისტურ ცვლილებათა გარკვეული მიმართულების მარჯვენა ბელნი არიან და ცნობილია „საფარის ეპოქის“ ძეგლთა სახელით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძეგლი ნიშნულგონადაა დაზიანებული. იგი დიდი ხანია უპატრონოდაა მიტოვებული და თანდათანობით ჩვენს თვალწინ ინგრევა ის, რასაც აქამდე მოუღწევია. ცხადია, ძეგლის აღდგენა ძალზე დიდ სახსრებს მოითხოვს, მაგრამ მისი გამაგრება-კონსერვაცია მაინც შესაძლებელია. აუცილებლად მიგვაჩნია კონქის თავზე ასაძრომი ხვრელობის ამოქოლვა, ვინაიდან გალავნის ეზოში თამაშობენ იქვე ნდებარე სკოლის მოსწავლეები, რომლებიც ხშირად ადიან სანალავში და შეიძლება ამას მარცხიც მოჰყვეს. კარგი იქნება, თუ უფროსკლასელები გამოიჩინენ ინიციატივას და ეზოში და მის გარეთ მიმოფანტულ ორნამენტთან თუ პროფილირებულ ქვებს თავს მოუყრიან და ტაძრის ინტერიორში დაალაგებენ.

საჭიროა მეტი ყურადღებით მოვეპყრათ ჩვენი წარსულის კულტურულ ძეგლებს, რათა შემოვუნახოთ ისინი მომავალ თაობებს.





ჭულე, სამხრეთის ფასადი

Чуле. Южный фасад

ნუკრი ალბაზაშვილი

ჭულე


XIII საუკუნის უკანასკნელი მესამედის მიჯნაზე, როცა მონღოლ დამპყრობელთა წინაშე უკვე მტკიცედ ქონდათ მოცილებული ფეხი, სამცხის მფლობელი სარგის ჯაყელი საქართველოს მეფეს გამოეთიშა (1266 წ.) და უშუალოდ მონღოლთა ხელისუფლებას დაექვემდებარა. ამიტომ, როცა საქართველოს სხვა კუთხეებში XIII საუკუნის დასასრულისა და XIV საუკუნის ძველთა მხოლოდ ცალკეული ნიმუშები გვხვდება, სამცხეში, თავისებური პოლიტიკური და ეკონომიური ვითარების წყალობით, მნიშვნელოვან ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა მთელი რიგია შექმნილი.

სწორედ ამ ეპოქას მიეკუთვნება ჭულეს ან ჭულევის წმინდა გიორგის გუმბათოვანი ტაძარი, რომელიც საფარის წმინდა საბასა და ზარზმასთან ერთად მჭიდრო ჯგუფს ქმნის. ამდენად მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა უდავოა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ჭულე მრავალჯერაა მოხსენებული: ბროსეს, დიმ. ბაქრაძის, პ. უვაროვას, ე. თაყაიშვილის, გ. გორდევების და ტოლმაჩეცკაიას შრომებში. ვ. ბერიძის გამოკვლევაში „სამცხის ხუროთმოძღვრება“, ჭულეს ცალკე თავი ეძღვნება.



ქართული
ენციკლოპედია



ქულა. დასავლეთის ფასადი

Чуле. Западный фасад



ჭულე. სამხრეთ-დასავლეთის თაღი

Чуле. Юго-западная арка

1973 წლის ივლის-აგვისტოში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები, ნ. ჩუბინაშვილი და ნ. ალხაზაშვილი, ვმოგზაურობდით სამცხეში ხუროთმოძღვრული ძეგლების შესასწავლად. სხვა მნიშვნელოვან ძეგლებთან ერთად, კიდევ ერთხელ მოვინახულეთ ჭულეს ტაძარი.

ტაძარი მდებარეობს ადიგენის მახლობლად, (ხუთიოდე კილომეტრის დაშორებით), მდინარე ქვაბლიანის ხეობაში, კლდეების ძირში. რაიონის ცენტრიდან ადიგე-



ჭულე. გუმბათის ჩრდილო-დასავლეთის
საყრდენი სვეტი

Чуле. Северо-западный
подкупольный устой

ნამდე გზა, ჩრდილოეთით, ჯერ აღმართს მიუყვება, შემდეგ კი ფართოდ გაშლილ ვაკეს ჭრის, მარჯვნივ ზანავეის ციხე და ოქროს ციხის სილუეტი ჩანს, ხოლო, წინ — კლდოვანი ქედი. ტაძრიდან დაახლოებით ერთი კილომეტრის დაშორებით გზა წიწვიანი ტყით დაფარულ ვიწრო ხეობაში შედის. მცირე კლდეკარის გავლის შემდეგ



ხეობა კვლავ იშლება და თვალწინ წარმოვიდგებთ ტაძარი, რომელიც მთის ქვეყნიდან
ზღინარის მარჯვენა ნაპირზე დგას და წიწვიანი ტყით დაფარული კლდეების ფონზე
დიდებულ სანახობას წარმოადგენს.

სამწუხაროდ, ახლოს მისვლისას თვალწინ საშინელი სურათი გადაგვეჩაღა: ტა-
ძარი, მის სამხრეთ-დასავლეთის კუთხესთან აგებული მცირე დარბაზული ეკლესია
(საცოდავი ნარჩენებილია) და გალაკანი დარბეულებს გვანან. 1917 წელს არსებული
სამრეკლოს კვალიც კი წაშლილა. მაგრამ ამ ნგრევას არა ნაკლებ სამწუხაროა, ის
რომ ოცდაათიან წლებში ტაძარი უმსგავსოდ შეუკეთებიათ — ქვის, ან კრამიტის გა-
დახურვა შეუცვლიათ ყაერით, რომელიც დიდი ხანია დაღპა და, ცხადია, წვიმასა და
თოვლს ვერ აკავებს. ჩრდილოეთისა და დასავლეთის ფასადების ზედა ნაწილები,
რომლებსაც, შეკეთების მიზნით, საპირის ქვები შენოაცალეს, დაუმთავრებელია, ხოლო
დასავლეთის ფასადის ჩრდილოეთ ნაწილში დიდი ხვრელია გამონგრეული. ასევე და-
უმთავრებელია: დასავლეთის მკლავს ცრუ პატრონიკენის სამხრეთი ქვედა თალი და
ორმაგი ღიობი; სამკვეთლოში შესასვლელი კარის ზედა ნაწილი; დასავლეთის მკლავ-
ის ცრუ პატრონიკენის ჩრდილოეთის თალი; გუმბათქვეშა ჩრდილო-აღმოსავლეთის
სვეტი; საკურთხევისა და სამკვეთლოს კუთხე. გადაზდილია სამხრეთის მკლავის კა-
მარისა და გადახურვის შემცველი ყაერის სახურავი.

სამწუხაროდ, დაიღუპა (წვიმამ ჩამორეცხა) კედლის მხატვრობა სამცხის მთავ-
რების პორტრეტული გამოსახულებებითა და ისტორიული წარწერებით.

ტაძარში, მის გარეთ და გალაკენის მშრალ წყობაში უამრავი, თავდაპირველი,
პერანგის ქვა და ორნამენტირებული დეტალია. შიგნით ყრია ბევრი, რესტავრაციი-
სათვის დამზადებული, გათლილი ქვა, რომელთაგანაც ნაწილი უკვე პროფილირე-
ბულია.


ძეგლს აღარა აქვს არც ერთი კარი, ამიტომ საქონლისაგან ყველაფერი გაპარტა-
ხებულია.

დღეს ჭულე მეტყველი ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეიძლება დავლუპოთ ძეგლი
ჩვენი უთაურობითა და უზრუნველობით.

თბილისში ჩამოსვლისთანავე გაეარკვიე, რომ 1935-36 წლებში ჭულეს შეკეთება
უწარმოებია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ძეგლთა დაცვის გან-
ყოფილებას, ხოლო წინასწარი აღწერა ძეგლისა, (სადეფაქტო აქტიც) შეუდგენია ნ.
ჩუბინაშვილს.

დღეს, როცა შედარებით დიდი ყურადღება ექცევა ქართული ხუროთმოძღვრე-
ბის ძეგლთა შესწავლისა და, რაც მთავარია, მათი აღდგენა-დაცვის საქმეს, აუცილე-
ბელია ხელმოკრედ დავუბრუნდეთ ჭულეს წმინდა გიორგის ტაძარს და იგი გადავარ-
ჩინოთ სრულ დაღუპვას.





ართვინის ქველი ქვის ხიდი

Артвинский каменный мост

ნიკო კვიციანი-კობახიძე

ართვინის ქველი ქვის ხიდის გამოსახულება

ჩემს მიერ გამოცემულ მონოგრაფიაში — „საქართველოს ქველი ხიდები“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1972 წ.) დაწერილებით აღწერილ მრავალ ხიდთა შორის დასახელებული იყო აგრეთვე ართვინის ქველი თაღოვანი ქვის ხიდი მდინარე ჭოროხზე (გვ. 132—137).

წიგნში მოყვანილი იყო ამ შესანიშნავი უნიკალური ქველი ნაგებობის თვითმხილველთა მრავალი საინტერესო დაწერილებითი აღწერა. ხიდი უაზროდ იქნა მოსპობილი რუსი ინჟინრის ნ. ბ. პასეკის მიერ 1893 წელს, მის ადგილზე სხვა უფრო ფართო, თანამედროვე ნაგებობის ასაგებად. (თითქოს არ შეიძლებოდა ამ ქველი ხიდის დატოვება და ახლის აგება მის გვერდით). ამ გაუმართლებელმა, უბედურმა მოქმედებამ დიდი აღშფოთება და საყვედური გამოიწვია იმ დროის ქართულ საზოგადოებასა და პრესაში.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ამ ხიდის აღწერა ცნობილი რუსი მოხელის, კავკასიისმცოდნე ვეგ. ვეიდენბაუმის მიერ, რომელმაც, მისი სიტყვებით, ეს „კოხტა“ ხიდი ნახა და ასახა მოსპობა-აფეთქებამდე. იგი აღნიშნავდა — „დაყოვნებამ საშუალება მომცა დამეხატა ართვინის ხიდი, რომელიც გადებულია ჭოროხზე ერთი თალით კლდიდან — კლდეზე. ნაგებია უბეზად თლილი ქვით და მოკირწყულია ფილაქნით. მისი სიგანე გათვალისწინებულია მხოლოდ ქვეითების და ცხენოსნებისათვის. ხიდის შუა ნაწილს აქვს მოაჯირები, ქალაქის მხრიდან, ხიდის დასაწყისში კი დგას პატარა კოშკის ნანგრევები“. Е. Г. Вейденбаум. Кавказские этюды, Тифлис, 1901, стр. 138.

ჩვენ გვინდოდა ამ იშვიათი ნაგებობის გამოსახულების პოვნა და აღბეჭდვა შემოსვენებულ წიგნში, მაგრამ მიუხედავად დიდი ცდისა, ეს განზრახვა უშედეგო გამოდგა.



წიგნის გამოსვლის შემდეგ მაინც შევძელით ამ ჩანახაზის პოვნა საქ. ტყე მეცნიერებათა აკადემიის კ. ჯეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულ ე. ვეიდენბაუმის არქივში.

ჩვენ აქ ვათავსებთ ამ ხიდის ჩანახატს. მართალია მას არა აქვს პრეტენზია დიდი მხატვრული ნაწარმოებისა, მაგრამ მასში სწორადაა აღნიშნული ხიდი და საერთო სახე, აგრეთვე მისი დამახასიათებელი შტრიხები, რომელნიც გვაძლევენ მთლიან წარმოდგენას ამ იშვიათ სახიდე ნაგებობაზე და მის მდებარეობაზე.

უღუმის ქაღის შესავლისათვის

უღუმის მონასტერი მდებარეობს ისტორიულ შიდა ქართლში, ამჟამად ბაშურის რაიონის ტერიტორიაზე, მდ. ჭერათხეულას ერთ-ერთი მარჯვენა შენაკადის ცხოველხატულ ხეობაში. მონასტრიდან დღეს უღუმის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაღა დაარჩენილი. ეკლესიის უზო წინათ ქვის გალავნით ყოფილა შემოზღუდული, ახლა აქა იქლა ჩანს გალავნის კვალი. აქვეა ჩვენთვის გაურკვეველი დანიშნულების შენობათა ნაშთებიც. ღვთისმშობლის ეკლესიიდან სამხრეთ-დასავლეთით ოთხასიოდე ნაბიჯის დაშორებით, ტყეში, ერთ ადგილას მიმოფანტულია ქვიშაქვის გათლილი კვადრები, სარკმლის საპირეები, კარნიზის ქვები და სხვ.

უღუმის ღვთისმშობლის ეკლესია XIX საუკუნის 60-იან წლებში დაშლილი ყოფილა. ეკლესიის სამხრეთის კარის ზღუდარის წარწერა გვამცნობს, 1871 წელს მღვდელთმსახურების განაბლების მიზნით იგი აღუდგენიათ, ფაქტიურად კი დაშლილი შენობის კედლებზე ახალი დარბაზული ეკლესია დაუშენებიათ, დაშენება ეკლესიის გეგმის მთელს პერიმეტრზე კი არ უწარმოებიათ, არამედ მხოლოდ აღმოსავლეთის დაახლოებით 2/3 ნაწილზე. უღუმის ეკლესიის დაარსება და შემდგომ სამონასტრო ცხოვრების გაჩაღება ადრეფეოდალურ ხანაში უნდა მომხდარიყო.

მატიანეში არაფერია თქმული მონასტრის დაარსების შესახებ, თუმცა ამ ხარვეზს რამდენადმე ავსებს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა. საფიქრებელია, ბატონიშვილი სარგებლობდა ჩვენთვის უცნობი წყაროებით. მას უღუმის მონასტრის დამაარსებლად მიქაელ უღუმელი, 13 სირიელი მამათაგანი ყავს მოხსენებული. „ჭერათხევის... ქვეს ზეით არს მონასტერი უღუმას, უგუნათო, დიდი, დიდშენი, მიქელ იგ (13) მამათაგანის ქმნული, და დაფლულ არს მიქელ მუნვე, ზის წინამძღვარი“¹.

უღუმის მონასტრის დამაარსებლად მიხ. საბინინსაც მიქაელ უღუმელი მიაჩნია — „წმ. მამა მიხაილ... აღაშენა მონასტერი თვისი მოახლო უღუმისა აღის წყალსა ზედა, რომელსაც შინა დაიდვა მრავალ მოღუაწე გუამი მისი“².

მიქაელ უღუმელის მიერ უღუმის მონასტრის დაარსების უგულებელყოფა არ შეიძლება. მაგრამ, საბოლოო დასკვნის გამოტანა მონასტრის დაარსებასთან დაკავშირებით, მხოლოდ რაიმე დამატებითი ცნობების აღმოჩენის შემდეგ მოხერხდება.


ავთენტური ცნობები უღუმის შესახებ მოცემულია ამირეჯიბთა სიგელში³, რომელიც იძლევა ძველის ისტორიული ცხოვრების სურათს XIII—XIV—XV საუკუნეთა მანძილზე. სიგელის IV პუნქტში XIII საუკუნის ამბავია მოთხრობილი, სახელდობრ, ქართველთა ერთ-ერთი გამარჯვება ჯალალ-უდდინთან. ბრძოლის დროს ამირეჯიბთა ხელთ უგდია მოწინააღმდეგის სეფე დროშა და იგი შეუწირავთ უღუმის ღვთისმშობლის ხატისათვის. მასხადაძამე XIII საუკუნეში უღუმის ეკლესია უკვე არსებობდა და მისთვის საუკეთესო რელიკვიებსაც არ იშურებდნენ.

XIV საუკუნის მიწურულში უღუმმა მჭიდროდაა დაკავშირებული სამეფო სახლთან, მას დიდ სასწაულმოქმედად თვლიდნენ მომდევნო საუკუნეებში, უღუმის ხატის ყოვლისშემძლე ძალას აღექსანდრე პირველი დიდის დაბადებას მიაწერდნენ.



ულუმბა, საფრთხის ბედი სამხრეთით
ფოტო ვ. ჩიკვაძის

ულუმბა, მთის მხრიდან
ფოტო ვ. ჩიკვაძის



ულუმბა. სამხრეთის ფასადის დეტალი

Улумба. Деталь южного фасада

ფოტო ვ. ჩიქოვანიძე

Фото В. Чиковани

ალექსანდრე ბატონიშვილის დაბადებისთანავე (1390 წ.), მეფის სახლს შესაწირავი მიაქვს მონასტერში. ულუმბის ღვთისმშობლის მონასტერს „მოუტანა საქონელი ურიცხვ“ და შესწირა-ო, როგორც ჩანს მონასტერი ამ დროსაც მოქმედებდა.

ალექსანდრე ბატონიშვილის ბავშვობაში ულუმბა საფუძვლიანად დაურბევია ბარბაროსი თემურლენგის ლაშქარს. ივანე ჯავახიშვილი საქართველოში თემურლენგის შემოსევების შედეგს და მაშინდელი ქართველი ერის კულტურის პოტენციურ შესაძლებლობებს ასე გვიხატავს — „თემურლენგის შემოსევების შემდგომ საქართველო გამანადგურებელი მიწისძვრისა და ბორბალქარისაგან დაზიანებულ ქვეყანას მიაგავდა. ჩვენს ურსა და სამშობლოს თავის ხანგრძლივი არსებობის დროს სწირად უნახავს დიდი უბედურება, მაგრამ თემურლენგისაგან ჩადენილი მტარვალობის მსგავსი მას არასოდეს თავს არ დასტყდომია“. მიუხედავად ამისა „საერთო კულტურული დაქვეითების წყალობით ქართული მხატვრული და საისტორიო მწერლობაც დადუმებული იყო. ეს კი არ არის გასაკვირი არამედ, უფრო ის გარემოება, რომ ამ ჯოჯოხეთური პირობებისა და მიუხედავად, ქართველი ხალხი არ დაიღუპა და მაშინაც ცდილობდა დამტყდარი უბედურებისათვის თავი დაეღწია, რომ ქართული ხელოვნების ზოგიერთ დარგებში მაშინაც ყოფილან კიდევ ისეთი წარმომადგენლები, რომელთაც თავიანთი მაღალხარისხოვანი შემოქმედების ნიმუშები დაგიტოვეს. ამის დასარწმუნებლად, თუნდაც, ულუმბის ეკლესიის სარწმუნოებრივი და საერო შინაარსის იმდროინდელი კედლის მხატვრობისა და ალექსანდრე პირველი დიდის ბრძანებით გაკეთებული ნაჭედი სურათებით შემკული დიდი ოქროს ჯვარის დასახელებაც კმარა“.



დიდი მეცნიერი, ულუმბის მახლობლად მდებარე ნაბახტევის ეკლესიის ფრესკულ მხატვრობას ე. წ. ულუმბის ეკლესიის მხატვრობად წარმოგვიდგენს. მიუხედავად ამისა, მის ცნობაში ფაქტიური ამბის რეალური სურათია აღბეჭდილი. ისე როგორც ნაბახტევის ეკლესია, ულუმბის ეკლესიაც შემკული ყოფილა კედლის მხატვრობით.⁵

ძველის ისტორიულ ასპექტში განხილვისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქუცნა ამირეჯიბის განცხადებას „ვიგულისმოდგინე შემართებად ახლად საძირკულის — საფუძულის შთადგებასა“, საყურადღებოა რომ სიგელის შედგენის დროს, ეკლესიის მშენებლობა დამთავრებული არ ჩანს. ამირეჯიბი ევედრება ულუმბის ღვთისმშობელს „მოკცებითა შენითა წარემართოს საქმე ესე ჩემ მიერ კელყოფით“—ო.

ამგვარად, ამირეჯიბთა გვაროვნებითი სიგელის შედგენის პერიოდი ულუმბის ეკლესიის „მეორედ აღშენების“ თარიღად უნდა ჩაითვალოს, (ეს თარიღი 1400—1415 წწ განისაზღვრება). ის მცირე ხუროთმოძღვრული მონაცემები, რაც ჩანს ეკლესიაზე: კედლის კვადრების წყობა, ქვის თლის ტექნიკა, დეკორატიული მორთულობის ფრაგმენტები სწორედ ამ ხანაზე მიგვიჩივებს.

აკად. გ. ჩუბინაშვილი საქართველოს XV საუკუნის ხუროთმოძღვრების შესახებ ასეთ დასკვნას აკეთებს: „XV საუკუნეში ჩვენ ვხედავთ, რომ მთელი გონება მიჰყრობილია (ხუროთმოძღვრების) არა გაგრძელებაზე, არა შემდეგს მხატვრულ შემოქმედებაზე, არამედ მხოლოდ ქვეყნის მთელი განადგურებული კულტურული სიმდიდრის ნამცეცების მოკრეფაზე“. ეს მოსაზრება კიდევ ერთხელ საფასვით მტკიცდება ულუმბის მაგალითით. ქუცნა ამბობს: „ვიგულისმოდგინე... შეკრებად განბნეულისა და უკმარ ქმნილისა“. ე. ი. ეკლესიის განახლება, ფაქტიურად ნანგრევი, ძირითადად ძველი მასალებისაგან მოუბდენიათ. ეს კი ის ეკლესია უნდა იყოს, ვახუშტი, რომ მოიხსენიებს „უკუნბათო, დიდი, დიდშენი“—ო.

ეკლესია მოქმედი ჩანს ბატონიშვილ ვახუშტის დროს. მონასტერში „ზის წინამძღვარი“. ძველი ცხოვრებას განაგრძობს მომდევნო საუკუნეებშიც. ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“—ში იძლევა ქართლის მოქმედი მონასტრების სიას, რომელთა შორის იხსენიებს ულუმბასაც⁶. ულუმბაში მღვდელთმსახურება მიმდინარე საუკუნის ოციან წლებში შეწყდა.

ამრიგად, სხვადასხვა ავტორთა და ამირეჯიბთა სიგელის გათვალისწინებით ვფიქრობთ: ა) ადვილად მოსალოდნელია ულუმბის მონასტერი დააარსა სირიელმა მამამ მიქაელ ულუმბელმა VI საუკუნის შუა წლებში (შესაძლებელია მიქაელი იქვეა დაკრძალული). ბ) ულუმბა საქართველოს ერთ-ერთ მთავარ კულტურულ კერას წარმოადგენდა XIV—XV საუკუნეებში. ძველი ცხოვრებას განაგრძობს მომდევნო საუკუნეებშიც. გ) სიგელის საშუალებით ხერხდება ეკლესიის „მეორედ აღშენების“ თარიღის დადგენა (1400-1415 წწ).

ძველის ხუროთმოძღვრული შესწავლის პირველი ცდების დროს გამოარკვეა, რომ როგორც ვთქვით ულუმბაში 1871 წელს, აუციალ დარბაზული შენობა. ეკლესიას ორი მოქმედი კარი აქვს — სამხრეთით და დასავლეთით. ინტერიერში სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლები ვიწრო და თხელი პილასტრებითა და კედლის საბჯენი თაღებით, სამ — თანაბარ ნაწილად არის დაყოფილი. შიდა სივრცის გადახურვა თაღოვან—კამაროვანია. ისე როგორც კედლის საბჯენი თაღები, კამარის საბჯენი თაღებიც პილასტრების იმპოსტებზეა დაყრდნობილი. ეკლესია ექვსი სარკმლით ნათდება. ორ-ორი სარკმელი სამხრეთის და ჩრდილოეთ კედლებშია დაყოფილი. თითო სარკმელი კი



ულუმბა. სამხრეთის კარის მორთულობა


Улумба. Украшение южной двери

დასაყვლით და აღმოსაყვლით. ამ უკანასკნელით საკურთხეველი ნათდება. ეკლესიაში XIX საუკუნის ხატებიანი, ხის მაღალი კანკელია აღმართული.

XIX საუკუნის განახლების წყალობით, ულუმბის ეკლესიის მხილველზე პირველ შთაბეჭდილებას ახდენს სამხრეთის ფასადზე თლილი ყვითელი ქვით აგებული კარის მეტისმეტად „პარადული“ გაფორმება. ფასადის დანარჩენი ნაწილი გალესილია და შემდეგ შეთეთრებული. კარის ღიობი წარწერიანი არქიტრაჟითაა გადახურული. ღიობი ჩასმულია რთული პროფილისა და კონფიგურაციის „საპირეში“. ამ საპირეს კიდევ გარს უვლის მოჩარჩოება, რომელიც იწყება კარის ზღურბლიდან, ვერტიკალურად მიემარ-




საქართველოს
საქართველოს



ულუმბა, 30გმ

Улумба. План



ულუმბა, აღმოსავლეთის ფასადი

Улумба. Восточный фасад



თება ზევით, სულ მაღლა ქმნის ტეხილ საფეხურებს და ეშვება ისევ ქვემოთ. ზღურძე
 ლამდე პარადული პორტალის აქეთ-იქით მართკუთხა საპირეშემოვლებული სასკმელე
 ბია მოთავსებული. ამ კარის დასავლეთით, ნახევრად მიწაშია ამოქოლილი ძველი თა-
 ლოვანი კარის ღიობი, რომელსაც გასული საუკუნის ნი-იან წლებამდე, ორნამენტული
 საპირე ქქონია შემოვლებული. ამავე კარის ზევით შეინიშნება მსატკრობის ფრაგმენტ-
 ტები.

დასავლეთის ფასადზე დაბალი თალოვანი კარია გაჭრილი. საპირე ქვეები ფასადის
 სიბრტყიდან შეწეულია, მაშინ როცა ფრონტონის არეში მოთავსებული სასკმლის საპირ-
 რე ქვეები ფასადის სიბრტყიდან გარეთ გამოდის.

ჩრდილოეთის ფასადი გალესილი და შეთეთრებული ყოფილა, ახლა აქ ნალესო-
 ბა ჩამოყენილია და იკითხება სხვადასხვა სამშენებლო მასალის მოხმარება. სასკმლის
 ამოსაყვანად გამოყენებულია თლილი ქვა. კედლის ერთი მონაკვეთი აგურით არის ნა-
 შენი, საერთოდ ტარბობს კლდის ფლეთილი ქვა, წყობა დაუდევარია, ერთი სიტყვით ამ
 ფასადზე სამშენებლო მასალა მეტისმეტად ქაოტურადაა ნახმარი.

ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადზე, აშკარად გამოირჩევა ორი სამშენებლო ფენა
 და მათი მიჯნაც. ფასადის შვეულ ღერძზე ორი სასკმელია — ზედა და ქვედა. დღეს ეკ-
 ლესიის საკურთხეველი ზედა სასკმლით ნათდება, იგი ფასადის გალესილი სიბრტყი-
 დან ოდნავ გამოწეულ, ქვის გლუვად გათლილ მართკუთხა საპირეშია ჩასმული,
 სასკმელი შემინულია. ფასადის ეს ელემენტი XIX საუკუნის მშენებლობის შედეგია.
 ქვედა სასკმლის საპირის ჩუქურთმა ჩამოგლეჯილია, ხვრელი ამოქოლილია და შეღესი-
 ლი, როგორც ფასადიდან, აგრეთვე საკურთხეველის აფსიდიდან. ამოქოლილი სასკმელი
 XIX საუკუნის სამშენებლო ფენისაგან განსხვავებულ სამშენებლო ფენაშია. ამ სამშე-
 ნებლო ფენაშია ეპიგრაფიკული ძველი, რომელიც ამავე ფასადის ფუძესთან, სამხრეთ
 მონაკვეთშია.

XIX საუკუნის განახლების მიუხედავად ძველს მაინც შეუნარჩუნებია უწინდელი
 ხუროთმოძღვრების ნიშნები და ირკვევა:

1. ძველად არსებული ეკლესია საკმაოდ დიდი ყოფილა, (სიგრძით დაახლოებით
 24 მ.).

2. სამხრეთის ფასადზე, მიწის ქვეშ აღმოჩნდა, გაუქმებული თალოვანი კარის
 პორტალი, იგი შედგება წერილი, გრეხილი ლილეებისა და მათ შორის მოქცეული ორ-
 ნამენტული წნულისაგან. სინუსოიდალური ზიგზაგი, რომელიც მახვილი კუთხეებით
 ტყდება და ლილეების ორსავე მხარეს სამკუთხოვან არეებს ქმნის. სამკუთხოვან არეებ-
 ში მცენარეული ორნამენტული მოტივი ზის, რომელიც უფრო ვაზის მტევნის ასოცია-
 ციას იწვევს. ერთი მარცხნიდან მარჯვნივაა მიმართული, მეორე მარჯვნიდან მარცხნივ.
 მტევნები ხშირად ვერ ავსებს მისთვის განკუთვნილ არეს, კვეთის ტექნიკაც დაბალია,
 ეს დეკორატიული მოტივი საპატიო ადგილს იჭერდა შუა საუკუნეების ქართულ ტაძარ-
 თა შორთულობაში. მაგ. ბეთანიის გუმბათის ყელის სასკმლის საპირეში, ქვათახვესა და
 პიტარეთში, რუისის ტაძრის შორთულობაში, დმანისის კარიბჭეში და ა. შ. თუ ამ ძვე-
 ლებში ეს ორნამენტული მოტივი დახვეწილი ოსტატობით სრულდება, ულუმბის შემ-
 თხვევაში იგი მკვეთრად ამჟღავნებს ოსტატობის დაცემის ნიშნებს. რაც სწორედ XV
 საუკუნის დასაწყისის საქართველოს ხუროთმოძღვრებისათვის მოულოდნელად არ გვე-
 ჩვენება.

3. სამხრეთის ძველი კარის ღიობის ზემოთ XIX საუკუნის ნალესობის ქვეშ
 გამოჩნდა მსატკრობის ფრაგმენტები. იგი გარკვეული ნახვარწრის არეს იქით აღარ



ვრცელდება. ეს ნახევარწრე მიგვაჩინა ეკლესიის კარიბჭის თაღოვანი კამარის არსებობის დად, რომლის მცირე ნაშთიც დღეობის წერტილების სახით კედელზე ნახვევად ჩანს ალბეკდილი. კარიბჭის არსებობას ადასტურებს იქვე, მიწაში მოქცეული ფრესკებიანი თაღოვანი ქვები, ამდენად ვფიქრობთ რომ ეკლესიის სამხრეთით მიშენებული იყო კედლის მხატვრობით შემკული თაღოვანი კარიბჭე. ეკლესიის ინტერიერი აგრეთვე მოხატული ყოფილა. მხატვრობის ძლიერ მცირე, მაგრამ საყურადღებო ფრაგმენტები შეიმჩნევა ჩრდილოეთის კედელზე.

4. აღმოსავლეთის ფასადზე, XIX საუკუნის სარკმლის ქვემოთ, აღმოჩნდა თაღოვანი სარკმელი. მას ორნამენტული საპირე ჰქონია შემოვლებული. თუმცა საპირე აღარ იკითხება, მაგრამ იგი სამხრეთის კარის საპირის ანალოგიური პროფილის უნდა ყოფილიყო. დაბოლოს უმნიშვნელოვანესი დეტალი რაც ძველზე მუშაობისას შეგვხვდა არის ეპიგრაფიკული ძეგლი. ძეგლს XIX საუკუნის მკვლევარნი არ იცნობენ. დიმიტრი ბაქრაძე წერს.


«Улумбскій монастырь въ Карталинѣи, имѣть-ли онъ какія либо замѣчательная рѣдкости и историческія надписи не извѣстно, так какъ онъ никѣмъ еще не описанъ»⁷.

წარწერის ადგილსამყოფელი გაამქლავნა რამდენიმე მთავრულმა ასო—ნიშანმა, რომელიც საბედნიეროდ მიწაყრილს არ დაეფარა. ასოების შემწიწით აღფრთოვანებულმა სახელდახლოდ 50 სმ-ის სიღრმის შურფი ამოვიღე. გამოჩნდა მშვენიერი ასომთავრულით შესრულებული წარწერა. ქვის ჰერანგის წყობაში წარწერა თავდაპირველად მდებარეობაში როდია, ახლანდელი მდებარეობითაა გამოწვეული ის, რომ სტრიქონები და თვით ტექსტი ჰორიზონტალური მიმართულებით კი არ იკითხება, არამედ შვეულად შემოდან ქვემოთ. ეპიგრაფიკულ ძეგლს თუ ყველა არა, ორი მხარე მაინც ჩამოკვეთილი აქვს, ის მხარე სადაც სტრიქონები უნდა დამთავრებულიყო და ქვაზე დარჩენილი უკანასკნელი სტრიქონი. ეს სტრიქონი გრძივი მიმართულებით შუაზეა გაკვეთილი. ასეთიანირი უგულო მოქმედების შედეგად მერვე და იქნებ სხვა სტრიქონებიც დაღუპულა.

წარწერამ ჩვენამდე შეიდი სტრიქონით მოაღწია. მიუხედავად იმისა, რომ ეპიგრაფიკული ძეგლის ორი ურთიერთგადამკვეთი გვერდი ჩამოკვეთილია წარწერას ასოები აკლია, სტრიქონები ასე თუ ისე მაინც ბოლომდე იკითხება.

პირველ სტრიქონში 4 სიტყვაა, მეორეში 3, მესამეში 1. მეოთხე სტრიქონი ყველა სტრიქონზე უფრო შელახულია და უნდა შედგებოდეს: ერთი მთლიანი და ერთი მეხუთე სტრიქონზე გადატანილი სიტყვის დასაწყისისაგან. მეხუთე სტრიქონში შედის მეოთხე სტრიქონიდან გადმოტანილი სიტყვის დასასრული და სიტყვა „ამაღლე-ბული“, აგრეთვე მეექვსე სტრიქონზე გადატანილი სიტყვის დასაწყისი ოვ დიფთონგი. მეექვსე სტრიქონზე დაწერილია: მეხუთე სტრიქონზე დაწყებული სიტყვის დაბოლოება, და კიდევ ორი სიტყვა. მეშვიდე სტრიქონი როგორც შემოთ აღენიშნეთ, სტრიქონის გრძივი მიმართულებით შუაზეა გაკვეთილი. ვფიქრობთ, მეშვიდე სტრიქონი ორი სიტყვისაგან შედგება. მეორე სიტყვა გადატანილი უნდა ყოფილიყო მომდევნო მერვე სტრიქონზე. პირველი, მეორე, მესამე სტრიქონთა სიმაღლე საშუალოდ 35 მმ-ია. მეოთხე, მეხუთე, და მეექვსე სტრიქონების სიმაღლე უფრო მეტია და 40 მმ-ს აღწევს.

ეპიგრაფიკულ ძეგლში რვა ქარაგმიანი სიტყვაა, „ქრისტე“-ს ქარაგმა არ უზის. წარწერაში იხმარება ქარაგმის ნიშანი, იგი სწორის მონაკვეთია, რომლის ორივე ბოლო ტყაუწვეტითაა დასრულებული. სიტყვები ძირითადად დაქარაგმებულია ხმოვ-



ულუმბა, წარწერაიანი ქვა აღმოსავლეთის
ფასადზე
ფოტო თ. რომელაშვილისა

Улумба. Камень с надписью
на вост. фасаде
Фото Т. Ромелашвили

ნების ამოგდებით. აქა-იქ ხმოვანაკულუიცაა. (ცხადია ქარაგმის გარეშე).


ულუმბის ეპიგრაფიკული ძეგლი, თუმც დღეს ძლიერ შელახულია, თავის დრო-ზე, მშვენიერად გათლილ ქვაზე, კარგი ხელითაა ამოკვეთილი. ასოები ტყუპწვეტო-ვანია, იგი ამოღარვის ტექნიკითაა შესრულებული და ასოების კონტურებში წითელი საღებავი ყოფილა ჩასხმული. ასო-ნიშნების ერთობლიობა სტრიქონებში ქმნის ზემო ჰორიზონტალურ ხაზს, რაც მხატვრულ ღირსებას მატებს ძეგლს.

ულუმბის ეპიგრაფიკული ძეგლი პალეოგრაფიული მეცნიერების შენაძენია, ამა-ვე დროს ავსებს ულუმბის ზურთომოდერული ძეგლის ცხოვრების სურათს. წარწერა გიორგი მეფის ქება-დიდებას გამოხატავს, ქარაგმების გახსნისას იგი ასე იკითხება:



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ქრისტე აღ[ი]დგ მენ მიერ
დამყარ[ე]ბული მენ მიერ/
გოვირგოვინოსანი/ი/
სამოთხველ/ ად ც/ა/
ბდე ამ[ა]ლ[ე]ბ[ე]ლ ი ოვ /d/
ლეველი გიორგი მენფტ
[ო]ვ[ლ] ისავე აღმო...



ფლუმბა. წარწერაჲსი კვა (აღდგესილი)

Улумба. Камень с надписью
(восстановленный)

ფოტო თ. რომელაშვილისა

Фото Т. Ромелашвили

შენიშვნა: მეოთხე სტრიქონის პირველი დაზიანებული სიტყვა აღვადგინე „სამოთხვე-
ლად“. იხ. ილ. ბულაძე, ძვ. ქართული ენის ლექსიკონი, „მეცნიერება“, 1973, გვ. 264-364.



„ქრისტე ადიდე შენ მიერ დამყარებული შენ მიერ გოვირგოვინოსანი სამართ-
ველად ცამდე ამალღებული ოქძღველი გიორგი მეფე ყოველისავე აღმოსავ-
ლისავე...“

ეპიგრაფიკული ძეგლის მხატვრული (ქვის ზედაპირის დამუშავების) პალეო-
გრაფიული და ბგერითი შედგენილობის განხილვის შედეგად შესაძლებლად მიგვა-
ჩნია მისი დათარიღება.

როგორც აკად. გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს წარწერებისათვის წითელი საღება-
ვის გამოყენება ჩანს IX საუკუნიდან, ფრიად გავრცელებულია XI საუკუნეში და
XIV საუკუნის 30-იან წლებამდე აღწევს⁸. ჩვენი ძეგლი ამ ორბიტაში
ტრიალებს. მის უფრო ზუსტ ქრონოლოგიურ საზღვრებს ე. წ. პალეოგრაფიული ნი-
შნები და ბგერითი შედგენილობა განსაზღვრავს.

წარწერაში ყურადღებას იპყრობს მგაფიოდ გამოსახული ტყუპწვეტოვანი ასო-
ები. ასეთი დამწერლობის კლასიკურ ნიმუშებს X-XI საუკუნეების ძეგლებზე ვხვდე-
ბით. ულუმბის წარწერაში Ⴀ ასოს აქვს წრიული მუცელი, დაბალი ყელი და სწორ-
საზოვანი, ტყუპწვეტოვანი ქედი. Ⴀ ასო ოვალური მოხაზულობისაა და კუდი თით-
ქოს ერთი ხელის მოსმითაა დაწერილი ოვალურ ფიგურასთან ერთად. იგი თავმეუ-
კრავია. წარწერის Ⴀ და Ⴀ ასოების აგრეთვე სხვა ასოთა მოხაზულობანი ფრიად
დამახასიათებელია XI საუკუნის ეპიგრაფიკული ძეგლებისათვის. (იხ. სამთავისი,
მანგლისი, ყოლა-ბოინის, სავანის ჯიხუაიძის, შიომღვიმის სვეტის, სვეტიცხოვლის
კარიბჭის წარწერები).

ულუმბის ეპიგრაფიკული ძეგლის თარიღი XI საუკუნეს არ უნდა სცილდებო-
დეს, რადგან მას არ ახასიათებს მანერულობა, რაც ესოდენ დამახასიათებელია XII
საუკუნიდან ქართული ასომთავრულისათვის (იხ. იჩქით გურგენიძის, გიორგი III,
თბილისის ლურჯი მონასტრის და ა. შ. წარწერები).

წარწერას XI საუკუნეში აყენებს აგრეთვე მისი ბგერითი შემადგენლობაც.
Oჲ დფთონგისა და მ (მერვის) შესახებ აკად. აკ. შანიძე გარკვევით აღნიშნავს —
„მე-12 საუკუნიდან მრგლოვან წერაში უნის გამოსახატავად ერთი ნიშანი შემოდის
ორის ნაცვლად. ამისათვის გამოყენებულია ონის ნიშანი, მაგრამ იმ განსხვავებით,
რომ კუდი ზემოთ კი არ აქვს აბრუნებული, არამედ ქვემოთ ჩამობრუნებული“ ასო⁹
(მერვის) შესახებ დასძენს: „XI საუკუნეში, როდესაც პირველად ჩაისახა მხედრული
ასოები, ანბანიდან ავტომატურად გამოვარდა რადგან ენას არ გააჩნდა სათანადო
ბგერები“⁹.

ზემოთ აღნიშნულის გამო, ულუმბის ასომთავრული ეპიგრაფიკული ძეგლის
ქრონოლოგიურ ზღვრებად X საუკუნის დასასრული და XI ს. მიწურულია, უფრო
ზუსტად კი ვფიქრობთ, წარწერა XI საუკუნის პირველ ათეულ წლებში უნდა იყოს
ამოკვეთილი.

წარწერაში რომელი გიორგი მეფეა შევედრებულ-განდიდებული ძნელი სათქმე-
ლია. ჩვენ ზემოთქმულსა და წარწერაში ბიზანტიური ტიტულის არ მოხსენება უფრო
გიორგი I მიგვანიშნებს.

მე-XI საუკუნის წარწერა თემურლენგის მიერ დანგრეულ ეკლესიაზე ხომ არ
მიგვითითებს? ამის დასაზუსტებლად მოძიებული მასალა არ კმარა. XIX საუკუნის



მშენებლობამ ულუმბის ველსიას დაუკარგა ძველი ხუროთმოძღვრული სახე, სამშენებლო ტომმა, რომ ულუმბის ხუროთმოძღვრული ძეგლი უფრო ისტორიულ ინტერესს აღგვიძრავს, ვიდრე მზატერულს. ძეგლის ზედმიწევნითი შესწავლისათვის საჭიროა გაკეთდეს შურფები და ზონდაფი. ამის შემდეგ ძეგლი უნდა გაიხსნას, რაც ვფიქრობთ უეჭველად მრავალ საინტერესო მომენტებს მოაქვს, ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით.

1 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ, 1941 გვ. 81

2 საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურლი, 1882. გვ. 302

3 თ. ეორდანი, ქრონიკები II, ტფილისი, 1897. გვ. 207

4 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III-IV.

5 დადასტურდა ინვა ლორთქიფანიძის ვარაუდი ულუმბაში კედლის მზატერობის არსებობის შესახებ. იხ. ჟურნალი „ციცქარი“ № 1, 1969, გვ. 119.

6 პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ტფ. ფედერაცია, 1936. გვ. 274.

7 Д. Бакрадзе, Кавказ... 1875, стр. 151.

8 ვ. ჩუბინაშვილი, ჟურნ. მოამბე ტ. XVII, ბორჯომის რაიონის სოფ. დაბის მახლობლად მდებარე ტიმპანზე წარწერის თარიღის საკითხისათვის

9 ა. შანიძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ტფილისი, 1935, გვ. 81.

ბრეთის „მამა პიროსი“

ბრეთის სიძველენი კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. აქვდა-ნაა შუა საუკუნეების ოქრომჭედლობის რამდენიმე თვალსაჩინო ნიმუში (საწინამძღვრო ჯვარი, იოანე ნათლისმცემლის სატი და სხვ), რომლებსაც არა ერთი მკვლევარი შეხე-ბია და, რომლებიც ვრცლად აქვს განხილული აკად. გ. ჩუბინაშვილს ნაშრომში „ქარ-თული ოქრომჭედლობა“¹. თვით ბრეთის ეკლესია კი, სადაც ერთ დროს ეს ნივთები ინახებოდა, კვლევის საგნად არავის გაუხდია, უმთავრესად, ალბათ იმიტომ რომ იგი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების რიგით ძეგლთა რიცხვს განეკუთვნება. ამასთანავე, საუკუნეთა განმავლობაში ძველი იმდენჯერ არის დაზიანებული და შეკე-თებული, რომ მასზე დაკვირვება მეტად ჭირს.

I

ეკლესია მდებარეობს სოფლის ცენტრში და წარმოადგენს ჩრდილოეთით, სამხ-რეთით და დასავლეთით მიწაშენების მქონე, ჩვეულებრივ ერთნაგიან ნაგებობას. იგი წმ. გიორგის სახელობისაა, მაგრამ აქვს მეორე სახელწოდებაც — „მამა პიროსი“, რაც მკვლევარის ყურადღებას იმთავითვე გარკვეულ მოვლენებსა და ფაქტებზე ამბ-ვილებს.

ცნობილია, რომ VI საუკუნის შუა წლებში საქართველოში ჩამოვიდნენ „ასურელი მამები“ — იოანე ზედაზნელი და მისი მოწაფეები. იოანემ ისინი დამოძღვრა და წა-რავლინა „რომელნიმე მათგანი კახეთად, და რომელნიმე კუხეთად კერძო, და რომელ-ნიმე ზენა კერძო სოფლით და ერთი ვინმე გარეშეთად, და სხუანი გარემო ქალაქსა ამ-ას ჩუენსა სამეუფოსა ზოლო იგინი წარვიდეს და დაემკვიდრეს რომელნიმე ჭალაკთა და რომელნიმე მათთა, ქუაბთა და ხურელთა ქუეყანისათა“².

მათ ფართო სამისიონერო მოღვაწეობა გააჩაღეს: დააარსეს მონასტრები, ააშენეს ეკლესიები, დაიმოწაფეს უამრავი მორწმუნე და თავიანთი ასკეტური ცხოვრებით რე-ლიგიისათვის თავდადების მაგალითს იძლეოდნენ.

საქართველოში ქრისტიანობის განმტკიცების საქმეში ასურელ მამათა როლი იმ-დენად დიდი იყო, რომ ისინი ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა. მოგვიანე-ბით დაიწერა მათ შორის განსაკუთრებით გამორჩეულ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნები. მათში დაცულია ამ მამების ორი ნუსხა, რომელთაგანაც არც ერთი XII საუკუნის შუა წლებს არ უსწრებს წინ³. ერთი მოცემულია შიო მღვიმელის ცხოვრებაში, ხოლო მეორე დართული აქვს იოანე ზედაზნელის ცხოვრებას. ნუსხები შედგენილობით საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ორივეგან ერთ-ერთ მამათაგანად დასახელე-ბულია პიროსი. ამასთანავე, თუ პირველში იგი მხოლოდ სახელით არის მოხსენებუ-ლი, მეორეში მითითებულია მისი მოღვაწეობის ადგილიც — პიროს ბრეთელი⁴. ამ-დენად, სოფ. ბრეთის ეკლესიის პატრონის — მამა პიროსისა და პიროს ბრეთელის იდენტურობა ეჭვგარეშეა. ვ. ი. იოანე ზედაზნელის მიერ ზენა სოფელში ანუ ქართ-ლში გაგზავნილი ერთ-ერთი მოწაფე პიროსი ყოფილა.

* ძველი ვაზომეს ნ. ჩუბინაშვილმა და თ. სანიკიძემ; გამოაზა გ. მარსაკიშვილმა.



ამასვე ადასტურებს ვახუშტის ცნობა: „დვანის წყლის აღმოსავლეთით მდებარე უდაბნო თის მონასტერი, უგუნბათო, რომელ ქმნა პიროს, იგ (13) მამათაგანმა დასაწყლულ არს იგიცა მუნვე. არს აწ ხუცის ამარ“⁵.

ბრეთი დღეს საკმაოდ მოზრდილი და მჭიდროდ დასახლებული სოფელია (ქარელის რ-ნი), მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ასურელ მამათა მისწრაფებას უდაბური, უკაცრიელი ადგილებისაკენ, საფიქრებელია, რომ ფრონის (დვანის) ხეობის ეს ფართოდ გაშლილი ველიც იმ დროს დაუსახლებელი იყო. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ადგილობრივი ტრადიციაც. გადმოცემის მიხედვით ეკლესიის მიდამოები უწინ ტყით ყოფილა დაფარული, მოსახლეობას კი აღმოსავლეთით მდებარე მთის ფერდობი სჭერია.

როგორც ჩანს, თვით ტოპონიმიც აქ მონასტრის დაარსების შემდგომდროინდელია. ბრეთი ბერეთიდან უნდა იყოს წარმომდგარი. ეს კი, თავისთავად, მონასტრის სიდიდესე, ბერთა სიმრავლესე მიგვანიშნებს. თუმცა ეკლესიის ირგვლივ დღეს სხვა სამონასტრო ნაგებობების ნაშთებიც აღარ არის შემორჩენილი, მაგრამ ის მაინც ვიცით, რომ აქ „სამშო სამარხები“ ყოფილა. რამდენიმე წლის წინ, ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით წყალსადენის მიღებისათვის მიწის თხრის დროს ბევრგან უნახავთ ერთად ჩაყრილი ადამიანთა ძვლები.

მონასტერს, რა თქმა უნდა, იმთავითვე ეკლესია უნდა ჰქონოდა. დღემდე მოღწეული ეკლესია სამშენებლო და სტილისტიკური თავისებურებებით განსხვავდება VI საუკუნის ძეგლებისაგან და VIII—IX საუკუნეებს განეკუთვნება, მაგრამ ნაგებობაზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ იგი ერთდროულად არ არის აშენებული. მისი ჩრდილოეთის მინაშენი თავდაპირველად დამოუკიდებელ ეკლესიას (ეკედერს) წარმოადგენდა.

სანამ ძეგლს უფრო დეტალურად განვიხილავდეთ აღენიშნავთ, რომ სწორედ ეს— აწინდელი ეკლესიის ჩრდილოეთის მინაშენი — უნდა იყოს პიროსის დროინდელი. იგი მცირე ზომის, ერთნაიანი ეკლესია ყოფილა. ადრევე დანგრეულა, მაგრამ მისი ნაშთები მაინც შეუნარჩუნებიათ, შეუკეთებიათ და ორგანულად დაუკავშირებიათ მოგვიანო ნაგებობისათვის.


ძველ ეკლესიასთან დაკავშირებით ბრეთელები კიდევ ერთ საინტერესო ფაქტზე მიგვივითებენ: ნაგებობის შიგნით, საკურთხეველის წინ, ღრმა ხარო არისო. შესაძლოა, ხარო თვით პიროსის სამყოფელს წარმოადგენდა. იოანე ზედაზნელიცა და შიო მღვიმელიც ხომ თავიანთი ასკეტური მრწამსის გამო „ქვაბში“ ისხდნენ. არც ის არის გამორიცხული, რომ პიროსი აქვე იყოს დამარხული. ხაროზე უხეშად დამუშავებული დიდი ზომის ბრტყელი ფილა დევს, რომელიც საფლავის ქვას მოგვაგონებს (თუმცა „განძია“ მაძიებლებს აქ ყველაფერი აუნგრევიათ და ქვაც გადაადგილებული ჩანს). ეს ვარაუდი უფრო დამაჯერებელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ასურელ მამათა უმეტესობა მათსავე დროს ან უშუალოდ მათი გარდაცვალების შემდეგ აშენებულ ეკლესიებში არიან დაკრძალულნი.⁶

ბრეთელებს კი პიროსის საფლავი მთავარი ეკლესიის ცენტრში ეგულებათ. იქ, სადაც ერთ საფეხურად ამაღლებული საკურთხეველის წინ გამართულია დაახლოებით ადამიანის ზომის სოლეა. წმინდანისათვის ეს უფრო საპატიო ადგილია; სოლეაც საფლავის ქვას უფრო გავს, და ამდენად, ხალხის ამგვარი რწმენა ფსიქოლოგიურად გამართლებულია. რა თქმა უნდა, შესაძლოა ასეც ყოფილიყო: ერთ-ერთი სირიელი მამათაგანის, ზენონ იყალთოელის მსგავსად, პიროსიც თავისი სამლოცველოს გარეთ დაეკრძალათ და შემდეგ მის საფლავზეც აღემართათ ეკლესია.⁷ მაგრამ ამ შემთხვე-



ზრეთ. ბაქრაძის აღმოსავლეთი ფასადი

ბრეთი. აღმოსავლური ფასადი



ბრეთო. გეგმა

Брети. План

ვაში ძნელი წარმოსადგენია, რომ VIII—IX ს. მშენებელს ასე მწყობრად მოეხერხებინა არსებული ეკლესიის, წმინდა ადგილის და საკუთარი ნაგებობის ურთიერთდამოკიდებულების გადაწყვეტა. ანალოგიური პრობლემა უფრო დიდ ოსტატებსაც არა აქვთ გადაჭრილი სათანადო სრულყოფილებით. ამასთანავე ეკლესიის იატაკი XIX საუკუნეშია მოგებული; სოლუაც ჩვეულებრივია, ისეთივე, როგორც ბევრგან გვხვდება და არაფერი მიგვიითებებს იმაზე, რომ აქ წმინდა ადგილი (საფლავი) იყოს.

პიროსის საფლავის მდებარეობის საკითხი შეიძლება სათანადო გათხრების ჩატარების შედეგად გაირკვეს, მაგრამ ასე იქნება თუ ისე, ერთი რამ მინც შეგვიძლია ვთქვათ: შიო მღვიმის ძველი ეკლესიისა და ზედაზნის ბაზილიკის ჩრდ. ნავის ანალოგიურად, ბრეთის ეკლესიის ჩრდ. მინაშენი თავდაპირველად დამოუკიდებელი ეკლდერი, პიროსის მემორიალური ნაგებობა (მარტირუმი?) უნდა იყოს.

II

რა საფუძველი გვაქვს იმის დასამტკიცებლად, რომ ეკლესიის ჩრდ. მინაშენი დამოუკიდებელ ნაგებობად მივიჩნიოთ?

ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე ძირითადი ნავისა და ჩრდ. მინაშენის კედლების წყობა გადაუბმელია. მინაშენზე ფრონტონის კვალიც გაირჩევა. ფრონტონი



კი მხოლოდ დამოუკიდებელ ნაგებობას შეიძლება ქქონოდა. ამასთანავე მნიშვნელოვანია იმისა, რომ ორივეზე თითქმის ერთნაირი სამშენებლო მასალა გამოყენებული, მათი კედლების წყობის ზოგადი იერი მაინც განსხვავებულ სურათს გვაძლევს. აშკარაა, რომ ისინი ერთი ოსტატის მიერ არ არის აშენებული. გვიან ეკვდერის კუთხეები აუმაღლებიათ, შენობა ერთქანობიანი სახურავით გადაუზურავთ და ასე დაუკავშირებიათ ძირითადი ნაწილსათვის.

ეკვდერის სხვა ფასადები, რამდენჯერმეა განახლებული. ამიტომ მათზე ძველი ნაწილები მხოლოდ მცირედი ფრაგმენტების სახით არის შემორჩენილი.

საგრძობლად გადაკეთებულია ნაგებობის ინტერიერიც. კამარა ჩამონგრეული ყოფილა და აღუდგენიათ. არც აბსიდის კონქი უნდა იყოს თავდაპირველი. არსებითი ცვლილებები არ განუცდია მხოლოდ ეკვდერის კედლების ქვედა ნაწილებს და რაც ნთავარია აბსიდს. იგი ძლიერ ღრმა და ნალისებური მოხაზულობა აქვს. ნალისებური ელემენტები უმთავრესად შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ადრეული პერიოდისათვის არის დამახასიათებელი; და რომ პიროსის ეკვდერს ასეთი აბსიდი აქვს, სრულიად ბუნებრივია, მაგრამ ამგვარი ფორმები ზოგჯერ განვითარების მომდევნო ეტაპზე გვხვდება. ამდენად, ზემოთ დასმული საკითხის გარკვევისათვის მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ეკლესიის ძირითადი ნაწილა და სამხრეთის მინაშენის აბსიდები ნახევარწრიულია და არა ნალისებური. ე. ი. ძველსა და შემდგომდროინდელ ნაგებობებს შორის განსხვავება ამ შემთხვევაშიც თვალსაჩინოა.

ეკვდერს მხოლოდ ერთი კარი ქქონია სამხრეთის მხარეს. იგი დღესაც არსებობს და მთავარ ნაწილს გასასვლელს წარმოადგენს. საკურთხეველში ვიწრო სარკმელია გაჭრილი. მას გარედანაც და შიგნიდანაც სწორკუთხა მოყვანილობა აქვს, რაც კვლავ ადრეული ძეგლებისათვის არის დამახასიათებელი. ამგვარივე სარკმელი ყოფილა დასავლეთითაც, მაგრამ იგი ამოქოლილია.


ყურადღებას იქცევს ძირითადი ნაწილა და ეკვდერის საერთო კედელი. მისი სიგანე 125 სმ უდრის მაშინ, როცა სხვაგან კედლების სისქე — 75—80 სმ არ აღემატება. ესეც ორი ნაგებობის შერწყმის შედეგია. თუმცა, როგორც ვხედავთ, კედელს ორმაგი სისქე მაინც არა აქვს. უნდა ვიფიქროთ, რომ გვიანდელ მშენებლებს ამ ორი ნაგებობის კედლების უფრო მყარად დაკავშირების მიზნით, ეკვდერის საწმ. ფასადისათვის საპირე ჩამოუშორებიათ.

დაბოლოს, აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი: პიროსის ეკლესიის მინიატურული ზომები, დაბალი, ჩაბნელებული ინტერიერი, მარტივი და პრიმიტიული ფორმები სავსებით შეესატყვისება იმ ასკეტურ მოთხოვნებს, რომელიც ასურელ მამებს ქქონდათ.

III

პიროსის ეკვდერის დამოუკიდებლობის დადგენა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამით გარკვეული ისტორიული ფაქტი დასტურდება. მხატვრული და კომპოზიციური თვალსაზრისით კი იგი ისე ორგანულად არის დაკავშირებული შემდეგ აშენებულ ეკლესიასთან, რომ ამ ნაგებობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და მასთან ერთად უნდა განვიხილოთ.

ეკლესიის ძირითადი ნაწილს შინაგანი სივრცე საკმაოდ ფართოა. თვით დარბაზი ორ აბზაცად არის გაყოფილი ორსაფეხურიანი პილასტრებით. მათ შუა საფეხურზე ეყრდნობა კამარის საბჯენი თალი, ხოლო გვერდითებზე კედლების დეკორაციული თაღ-



ბრეთი. განაკვეთი

Брети. Разрез

ბი. აღმოსავლეთით, ნახევარწრიული აბსიდის ორსავე მხარეს, სიმეტრიულად, ღრმა თახჩებია მოწყობილი. საკურთხეველის ცენტრში გაჭრილია ფართო ფანჯარა. ნაგებობას კიდევ სამი ფანჯარა აქვს — ერთი დასავლეთით და ორი სამხრეთით. კარები გარდა ჩრდილოეთისა, არის აგრეთვე დასავლეთითაც და სამხრეთითაც. ნაეის კედლები მთლიანად დაფარულია XIX საუკუნის ნალესობის სქელი ფენით. რამდენიმე ადგილას მოხერხდა ბათქაშის ჩამოთლა და გაირკვა, რომ სამშენებლო მასალად გამოყენებული ყოფილა ფლეთილი ქვები.

ნაგებობის სამხრეთისა და დასავლეთის მინაშენები უწყვეტად არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ფაქტიურად გარშემოსავლელს წარმოადგენს. ორივე კირხსნარით ბეტონირებული, ნახევარწრიული კამარით არის გადახურული. კედლები აქაც შელესილი ყოფილა, მაგრამ ნალესობა მთლიანად ჩამოცვენილია. სამხ. მინაშენს აქვს ნახევარწრიული (დეფორმირებული) აბსიდი, რომლის კონქს კონსოლებზე დაყრდნობილი სატრიუმფო თალი შემოუყვება. აქვე, სამხ. კედლის ცენტრში, ძირითადი ნაეის კარის საპირისპიროდ, გაჭრილია ერთადერთი შეასვლელი. საიდანაც შეიძლება ეკლესიაში მოხვედრა.

გარეთ, ეკლესიის ირგვლივ, ნიადაგი თავდაპირველ დონესთან შედარებით, დაახლოებით, ერთი მეტრით არის ანაღლებული და შენობაში კიბით ჩავდივართ (საუეხურებად წარწერიანი საფლავის ქვებია გამოყენებული).

ეკლესიის ფასადებზე უფრო გარკვევით ჩანს, რომ იგი ბევრჯერ ყოფილა შეკეთებული, მაგრამ ძეგლის ძირითადი სტრუქტურა შეცვლილი არ არის. თავდაპირველია ნაგებობის გეგმა, მასები, ცალკეული ფორმები. დამატებულია მხოლოდ სამრეკლო, რომელიც გარშემოსავლელის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეზეა აღმართული.

თავდაპირველია აგრეთვე ფასადების საკმაოდ მოზრდილი მონაკვეთებიც (განსაკუთრებით აღმოსავლეთ ფასადზე). ისინი ნაგებია ფლეთილი, პირმოსწორებული ქვებით. კედლების ქვედა ნაწილებში დიდი ზომის ლოდებია დატანებული.



საინტერესოა აღინიშნოს, რომ კედლების წყობის ხასიათით ბრეთის ეკლესიის ბევრი რამ აქვს საერთო ახლომდებარე ისეთ ძეგლებთან, როგორცაა სვეტიცხოვლის არადეთის წმ. გიორგის, დირბის ზედა ჯერისა და სხვა ეკლესიები. მშენებლობის ანალოგიური სისტემა განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს მთიანეთში და საზოგადოდ ხალხურ სამშენებლო ტრადიციებს უკავშირდება.

გიან შუა საუკუნეებში ეკლესია საფუძვლიანად შეუკეთებიათ. ამ დროისაა ნაგებობის შუა ნაწილები, რომლებიც რიყის ქვითა და აგურით არის ამოყვანილი. ძლიერ დაზიანებული ყოფილა მინაშენები. მათი ზოგერთი მონაკვეთი თითქმის მთლიანად ხელახლა ასაშენებელი გამხდარა. ამ დროისაა, აგრეთვე, სამრეკლოც. იგი აგურით ნაგებ ექვსთაღიან მცირე ზომის ფანჩატურს წარმოადგენს; საფუძველი მრგვალი აქვს და მახვილკუთხიანი პირამიდული სახურავით გვირგვინდება. ფანჩატურის ყოველი წახნაგი გაფორმებულია თითო ლილვით, რომლებიც ღიადებს ზევით ისრული ფორმის თალებად იკვრება.

ეკლესია შეუკეთებიათ XIX საუკუნეშიც. შეუესიათ ნაკლული ადგილები და გარედან მთლიანად გაუღესიათ (ნაღესობა მთავარი ნაწიის კედლებზე შემორჩენილი აქა იქ). ფანჯრებისა და კარის საპირებად თლილი ქვები ჩაუსვამთ. დღეს ყველა ფანჯარას გარედან სწორკუთხა მოყვანილობა აქვს, მაგრამ ძნელია თქმა, მათ ასეთივე ფორმა ქონდათ თუ არა თავდაპირველად. XIX საუკუნისაა ძირითადი ნაწიის კარნიზიც. მისი პროფილი — თარო წრეთარგი და ლილვი, შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში კარგად ცნობილი კარნიზის მიბაძვით გამოუყვანიათ.

უკანასკნელად ნაგებობა რამდენიმე წლის წინ არის შეკეთებული. სამუშაოთა დოკუმენტაციას ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ 1957 წელს შესრულებული სქემატური ანაზომებისა და ჩანახატების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ იგი ამ დროს ჯერ კიდევ შეკეთებული არ ყოფილა. (აღნიშნული მასალები ინახება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სპეციალურ სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოს არქივში). ძველს შესაძლებლობისდაგვარად დაბრუნებული აქვს თავდაპირველი სახე. იგი მთლიანად გადახურულია კრამიტით. ბევრგან გადაწყობილია კედლები და ამოშენებულია დანგრეული ნაწილები. ქართული აგურით არის აღდგენილი მინაშენების კარნიზები.

IV

უპირველესი საკითხი, რომელიც ბრეთის ეკლესიის კვლევის დროს წამოიჭრება, არის მისი თარიღის განსაზღვრა. თუ პიროსის ეკედერის აგება კონკრეტულ ისტორიულ ფაქტს უკავშირდება, ძველის შემდგომი ისტორია სრულიად უცნობია (ვიცით მხოლოდ რომ XVIII საუკუნეში ბრეთი ავალიშვილებს მიუღიათ საბატონოდ. იხ. ს. მაკალათია, ფრონის ხეობა, გვ. 25—26, მისივე ბორჯომის ხეობა, თბ., 1957, გვ. 10, 31. ეკლესიაში დაკვლია ამ გვარის რამდენიმე წარმომადგენლის საფლავი). საკითხის გასარკვევად გვრჩება ნაგებობის მეტად მწირი ხუროთმოძღვრული მონაცემები.

მიუხედავად იმისა, რომ ძველი სრულიად ორდინალურია და განსაკუთრებულს არაფერს შეიცავს, მიხი ზოგიერთი ნიშან-თვისება მაინც გარკვეულ ეპოქაზე მიგვითითებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს არის VIII—IX საუკუნეები. ძირითადი პარალელური მასალა ბრეთის ეკლესიისათვის სწორედ ამ ხანაში იპოვება.

ზოგადი კონპოზიციური წყობით ბრეთის ეკლესია უკავშირდება ძველების გარკვეულ ჯგუფს, რომელშიაც შედის ქრონოლოგიურად და სტილისტიკურად ერთმანეთი-



ბრეთი. ეკლესია სამხრეთ-დასავლეთიდან

Брети. Церковь с юго-запада

საგან საკმაოდ დაშორებული ნიმუშები, მოყოლებული VI—VII საუკუნეებიდან განვითარებულ შუა საუკუნეებამდე. მხედველობაში გვაქვს ისეთი ცნობილი ძეგლები, როგორცაა ტამალა, ხვილიშა, სარო, ურიათუბანი, შალოშეთი, გარბანი, ხცისი და კიდევ რამდენიმე სხვა. ამ ძეგლების უმეტესობა გამოკვლეულია¹; დადგენილია მათი საერთო ნიშნებიც, და ამიტომ, აქ ტიპის განვითარების ზოგად საკითხებს აღარ შევხებით. მით უფრო, რომ საკვლევი ობიექტი არ იძლევა საკმარის მასალას ვრცელი მსჯელობისათვის. ჩვენ მხოლოდ კიდევ ერთ ნიმუშს დავუმატებთ აღნიშნულ ჯგუფს ბრეთის ეკლესიის სახით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნაგებობის გვეგმისა და მასების ასიმეტრიულობა, რაც გამოწვეულია ჩრდ. მინაშენის სიმოკლით დანარჩენ ნაწილებთან შედარებით. რა თქმა უნდა, ამის მიზეზი სულაც არ არის ის, რომ მინაშენი ერთ დროს დაშოკიდებულ ეკლესიას წარმოადგენდა. მშენებელს მისთვის ნებისმიერი სახე შეეძლო მიეცა. ასე მოიქცა მაგალითად, ზედაზნის ბაზილიკის ხუროთმოძღვარი, რომელმაც იოანეს მარტირიუმი დააგრძელა და ნაგებობის ჩრდ. ნაგად აქცია². ბრეთის ავტორის წინაშე ასეთი ამოცანა არ წდგარა. მან პიროსის ეკლესიას თავდაპირველი მოცულობა შეუნარჩუნა და ამით არც საერთოდ მიღებული წესისათვის უღალატია, რადგანაც დასახელებული ჯგუფის ყველა ძეგლს სწორედ ასეთი კონფიგურაცია აქვს.

არანაკლებ დამაზახათებელი ჩანს დანარჩენი მინაშენები. თუ ხვილიშასა და გარბანში ანალოგიური მონაკვეთები მხოლოდ ეკლესიის სამხრეთის კედელს მიუყვება მთელს სიგრძეზე, საროს ტამალას, ურიათუბანსა და შალოშეთს დასავლეთის მინაშენებიც აქვს. თანაც, ორ უკანასკნელში (VIII—IX სს.) ისინი ისეთსავე უწყვეტ გარშემოსავლელს ქმნიან, როგორც ბრეთშია. აქვე შევნიშნავთ, რომ მიუხედავად ნაგებობათა ამგვარი პრინციპული ხასიათის მსგავსებისა, მათ შორის განსხვავებაც შეინიშნება. ბრეთის სამხრეთის მინაშენს არ გააჩნია მისი წრის ძეგლთა უმეტესობისათვის დამახასიათებელი გახსნილი საზეიმო თაღედი. ალბათ, ასეთი რამ მშენებლის მოკრძალებულ შესაძლებლობებს აღემატებოდა. რაც შეეხება დას. მინაშენს, მას დღეს გა-



რედან შესასვლელი საერთოდ არა აქვს და არც კვალი ჩანს მისი. ეს კი ერთგვარად ნათელია, და მხოლოდ გვიანდელი გადაკეთების შედეგი შეიძლება იყოს.

ნაგებობის გეგმის განხილვის დროს მნიშვნელოვან პარალელურ მასალას იძლევა არადეთის წმ. გიორგის ეკლესია. იგი თავისი სტრუქტურით და სამშენებლო-ტექნიკური მონაცემებით იმდენად ჰგავს ბრეთს, რომ მათი თანადროულობა ეჭვგარეშეა. მკვლევართა ნართებული ვარაუდით ისიც VIII—IX საუკუნეებს განეკუთვნება (ნ. ჩუბინაშვილი). არადეთის ეკლესიაც ერთნაირი ნაგებობაა; მასაც სამ მხარეს მინაშენები აქვს: აქაც ჩრდ. მინაშენს ეკლესიის კედლის ნაწილი უჭირავს, მხოლოდ (დანგრეულია). მართალია, იგი შედარებით გვიანდელი ჩანს, მაგრამ აქ მინაშენი უთუოდ, თავიდანვე არსებობდა. ამაზე მიგვითითებს მთავარი ნაგებობის ჩრდ. კარი, რომელსაც იმათივე ფუნქციური დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ასეთი კარი შედარებით გვიან იქცევა ტრადიციით განპირობებულ რუდინენტად (პატარა ონი, სვანე და სხვ.) ეკლესიის სამხ. მინაშენიდან მხოლოდ გეგმის ზოგადი მონახაზი გაირჩევა. დანგრეულია დას. მინაშენის სამხ. ნაწილიც. გადარჩენილი ფრაგმენტები მაინც გვაძლევს საშუალებას, რომ აქაც ერთიანი გარემოსასვლელი ვივარაუდოთ.

ამ ორი ძეგლის ტერიტორიული სიახლოვე, მათი ხუროთმოძღვრული თავისებურებების ერთობა გვაფიქრებინებს, რომ ისინი ერთი ხუროთმოძღვრის ან მშენებელთა ერთი ჯგუფის მიერ შეიძლება იყოს აგებული.

ბრეთის ეკლესიის შინაგან ორგანიზმში მთავარი ნაგებობა და მინაშენების ურთიერთკავშირი მხოლოდ მათ შორის არსებული ვიწრო გასასვლელებით არის განხორციელებული. ისინი ფაქტიურად ცალკე, ჩაკეტილ, მოცულობით ერთეულებს წარმოადგენენ. ამასთანავე, რაკი გასასვლელები ძირითადი ნაგებობის დარბაზშია მოწყობილი და არა საკურთხეველში, მინაშენებს სამკვეთლოს და სადიაკვნოს როლი არ შეიძლება შეესრულებინათ. ამდენად, ჩრდ. და სამხ. მინაშენები დამოუკიდებელი ჩანს ფუნქციურადაც. მათ საკუთარი საკურთხეველები აქვთ და ისევე, როგორც სამკვეთისანი ბაზილიკების გვერდით ნაგებები, ისინიც გარკვეული ლიტურგიის ჩასატარებლად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. ეს კი თავისთავად ნიშანდობლივია, რადგანაც VIII—IX სს. ეკლესიებში მრავალი საკურთხეველის არსებობა საერთოდ არის დამახასიათებელი.

ამავე ხანაზე მიგვითითებს ბრეთის ეკლესიის ძირითადი ნაგებობის ინტერიერის პროპორციები და მისი მხატვრული გაანწყობა. ადრეულ ნაგებობებში თვით დარბაზის კედლები უმეტესად გლუვია. VIII—IX საუკუნეებიდან ხაყოველთაო წესად არის მიღებული მათი პილასტრებითა და დეკორაციული თაღებით გაფორმება. პილასტრები ხშირად ორსაფეხურიანია, მცირედად არის გამოწვეული კედლის სიბრტყიდან და სივრცის დანაწევრებაც ნაკლებად იგრძნობა. ასეა ბრეთშიც, არადეთშიც და მათი დროის ძეგლების უმეტეს ნაწილში. X საუკუნის ნაგებობებში კი ინტერიერი უფრო გართულებულია. მასიური პილასტრები შემოჭრილია სივრცეში და კედლებზე დეკორაციული თაღების მიერ შექმნილ ღრმა უბებთან ერთად პლასტიკურ ცხოველხატულობას ანიჭებს მას.

ნაგებობის გარეგან მასებში მთავარი ნაწილი დომინირებს. იგი მძლავრად არის ამოზიდული მინაშენებიდან და მონუმენტურ შთაბეჭდილებას ახდენს. აქაც პროპორციებია დამახასიათებელი. მისი დამკდარი, მასიური მოცულობა, ფართოდ გაშლილი ფრონტონები კვლავ VIII—IX საუკუნეთა ძეგლებს შორის ჰპოვებს ანალოგიებს. შემდგომი ხანის ნაგებობათა პროპორციები უფრო აზიდულია.

ყველა ფასადი ფრონტალური აღქმისათვის არის გამოწვეული. მთავარ, აღმოსავლეთის ფასადზე ცხადად ვლინდება მასების ბაზილიკური წყობა, რაც სანტრეცისა



იმდენად, რამდენადაც ამ ტიპის ძეგლებსა და სამეგლესიან ბაზილიკებს შორის გვეხვეტიყურტიკური კავშირი სხვა ნიშნების მიხედვითაც აშკარაა.

ნიშანდობლივია, რომ ნაგებობის ფასადები სრულიად მოკლებულია დეკორაციულ მორთულობას. მარტივ და გლუვ კედლებზე ფანჯრებიც კი არ არის პროფილირებული. ქართლში ამგვარი ძეგლები მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო ხანაში შენდებოდა. მანამდე და მას შემდეგ იშვიათად შევხვდებით ისეთ დაუზღვეველ და მკაფიობას მოკლებულ ხუროთმოძღვრულ ფორმებს, როგორცაც ბრეთის ეკლესიაზე და ამ დროის სხვა ძეგლებზე ვხედავთ (მაჩხაანი, კატაულა და სხვ.). ყოველივე ეს კი ეპოქის არსებით მარჯვენებლებს წარმოადგენს.

ამრიგად, ბრეთის ეკლესიის ისტორიაში ორი სამშენებლო პერიოდის გარჩევა ხერხდება. პირველი—ეს არის VI საუკუნის მეორე ნახევარი, როდესაც აქ ერთ-ერთ სირიელ მამას — პიროსს ან მის მოწაფეებს მცირე ეკვდერი აუგიათ, ხოლო მეორე და ძირითადი VIII—IX საუკუნეებით განისაზღვრება. ამ დროს, ალბათ მონასტრის გაზრდის გამო, აუცილებელი გამხდარა შედარებით დიდი ეკლესიის აშენება, რომელთანაც პიროსის ეკვდერი ჩრდ. მიწაშენის სახით არის დაკავშირებული.

¹ Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, т. I, гл. 70—79, 122, 190—193 და სხვ. (აქვე იხ. ბიბლიოგრაფია); ტ. II, ტაბ. 101—105, 125—128.

2. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ი. აბელაძის გამოცემა, თბ., 1955, გვ. 38.

3. კ. ქველიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1956, გვ. 24

4. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები გვ. 2,80.

5. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 79.


⁶ Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, т. I, Тб., 1959, стр. 103.

7. იქვე, გვ. 261.

8. ნ. ჩუბინაშვილი, წავახეთის დარბაზული ძეგლთა განვითარება VI—VII საუკუნეებიდან X საუკ. II ნახევრამდის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ენციკლოპედიის ისტორიის ინსტიტუტის III სამეცნიერო სესია, 14—15 მაისი, 1948, თეზისები, გვ. 10—11, მისივე: წავახეთის ადრე შესაკუნეების კამაროვანი არქიტექტურის ძეგლები, საქ. სსრ მეც. აკად. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ინსტიტუტის XXV სამეცნიერო სესია, 13—14 მარტი, 1974 წ. თეზისები, გვ. 16—19.

9. დოლიძე, ვარზანი, 1958; Р. Шмерлинг, Древний Цвиностский храм близ с. Хинси, Ars Geographica, ტ. IV, 1955, გვ. 139—168.

9. იოანე ზედაზნელის ეკლესიის შეს. იხ. Н. Чубинашвили, Зедазени. Клики Джвари, Гинара, Ars Geographica, VII A, 1971, გვ. 27—40.



კაცხის სვეტი

Кацхский столп

ვახტანგ ცინცაძე

ზოგირითი საკითხი კაცხის სვეტის ანსამბლის დაცვის შესახებ

ტერმინი „ძეგლი“-ით აღნიშნავენ არქიტექტურულ ნაგებობას, მაგრამ ამავე ჟროს, ამ ტერმინის ქვეშ ხშირად გულისხმობენ ანსამბლს ან მთელ გარემოს. დღეს უკვე მართებული არ იქნება ამ ტერმინით გამოვთქვათ მთელი ანსამბლი—ძეგლების ჯგუფი, რადგან ჩვენ განკარგულებაშია უფრო ახალი ტერმინები: „ისტორიული ანსამბლი“ და „ლანდშაფტი“. სიტყვა „ძეგლი“ დღეს შედარებით კონკრეტული გახდა და აღნიშნავს ცალკეულს, ინდივიდუალს, რომლის სტილი და ფორმები უფრო წინა პლანზეა წამოყენებული, ვიდრე მისი ურბანისტული თუ სხვა ღირსებები.

ნათქვამთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ 1944-46 წწ. კაცხის სვეტის, როგორც არქიტექტურული ძეგლის შეაწავლა უნიკალობისა და ინდივიდუალიზმის კონცეფციით მისი მნიშვნელობის ცალ მხარეს ამუშებდა, იმ დროს, როდესაც ამ „ისტორიული ანსამბლის“ მნიშვნელობა ქართველი ხალხის კულტურის ისტორიაში გაცილებით დიდია. (ვახტანგ ცინცაძე, კაცხის სვეტი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 8, თბ.; 1946, კაცხის სვეტი V-VI სს. სუროთმოძღვრების ძეგლი, „ძეგლის მეგობარი“ № 3, გვ. 52, თბ., 1964 წ.).



ბუნების მოვლენების ერთი მხარეა ტექტონიკური ძვრები, რომლის შედეგად მრავალი თვალწარმატა და საკვირველი ლანდშაფტია შექმნილი. კავკასიაში დარია ასეთი ლანდშაფტებით. რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ჩვენი ხალხისა და საერთოდ, ადამიანის შეგნებისა და მსოფლმხედველობის განვითარება-ჩამოყალიბებაში. ბუნების მოვლენათა ერთი ნაწილი — გამოქვაბულ-მღვიმეები — ადამიანმა ადრინდანვე საცხოვრებლად გამოიყენა (ლეონ მელიქსედ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, თბილისი 1938); მეორეს შიშითა და კრძალვით მოექცა, მათ შესახებ შექმნა მითები, გააღმერთა და ცხოვრების ავ-კარგიც მათ დაუკავშირა. კაცხის სვეტის გარემო სწორედ ასეთ ძველთა — ლანდშაფტების რიცხვს მიეკუთვნება.

კაცხის სვეტზე ექსპედიცია (განმთქმული ალბინისტის ალ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, მწერლების ლ. გოთუას, ა. ბელიაშვილის, ხელოვნებათმცოდნე ვ. ცინცაძის შემადგენლობით), პირველად 1944 წ. მაისში ავიდა.

როგორც მახლობელ სოფლებიდან მოსულ მცხოვრებთა მონათხრობი ლეგენდებიდან შევიტყვეთ კაცხის სვეტს თითქოს ქალი ემსახურება, წელიწადში ერთხელ მის თმებს მოასუფთავებს „ძუძვს“ — უსუფთაობას გადმოყრის. თხემიდანვე ცვივა კომშის, ლელვის და კაკლის ნაყოფი (თხემზე არავითარი ხეხილის ხე არ დგას). სვეტზე ასვლის განმზრახველი ბრმადება, სვეტზე ამსვლელი, ძალის შემატების მიზნით 50 კვერცხს ჭამს, მაგრამ მის შეხებისას უმაღ კვდება. ძალა და ვაჟკაცობა ემატება მას ვინც მასზედ ილოცებს და იწამებს. წესად აქვთ — გარდაცვლილი ბავშვის აკვანს სვეტთან მიიტანენ და დატოვებენ. ყველა ნათქვამი გვაფიქრებინებს, რომ კაცხის სვეტი ჯერ კიდევ ქრისტიანობის მიღებამდე, წარმართული კულტის — ნაყოფიერების ღვთაების დანიშნულებას ასრულებდა და როგორც ყოველთვის, აქაც მართალია ვასუქტი, როდესაც მოგვითხრობს „...ნაკერპთა მათ მათა მალათა და ბორცვთა ზედა ესე ვითარევე იყო განცხრომა — როკვანი; ამისთჳს აღაშენეს მათ ზედა ეკლესიანი და ჯვარობდიან მუნ, ვითარცა აწ. ფერკისა სიმღერითა — გაათენიან“ (ვახუშტი 1941, გვ. 19). მოვლენები ისე განვითარდა, რომ V-VI საუკუნეებში სვეტის თხემზე ეკლესიები აშენდნენ. ეს იყო ახალი გამარჯვება ადამიანისა ბუნებაზე, გარემო სივრცეზე. ეს ის დროა — როდესაც საზოგადოება განვითარების ახალ საფეხურზე — ფეოდალური საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზე — შედგა. იმ დროის პოლიტიკური და სულიერი სტრუქტურა განსაზღვრავდნენ, უკვე „სამეონ მესვეტის“ სვეტად“ წოდებულ სივრცეში ამაყად აღმართულ კლდეს და მის არგველივ ცოცხალ გარემოს. ახალი უღმობლად არღვევდა ძველ სივრცობრივ საზღვრებს და დაეინებით მოუწოდებდა მესვეტს ახალი წარმოდგენების შესაქმნელად სამყაროზე, ადამიანზე, რომელიც ამ სამყაროში აქტიურად მოქმედებდა.

საზოგადოების ურთიერთობის ამგვარი ცვლილებები საგრძობლად მოქმედებდნენ ადამიანის მიერ სივრცის დაუფლებაზე: ამას თავის მხრივ აჩქარებდა მესვეტის ყოველდღიური მოწოდებანი „სვეტის“ თხემიდან. მოგვიანებით სვეტის ძირში, მოედანზე, შენდებდა ეკლესია, ძლიერდება ანსამბლური გადაწყვეტა, საბუთი ახალი ურთიერთობის საბოლოო დამკვიდრებისა.

ამგვარად, კაცხის სვეტად ამართული კლდე და ირგვლივ შექმნილი სივრცე წარმოადგენდა ფაქტორს, რომელიც განუწყვეტლად იძლეოდა სტიმულს და ახალ-ახალ ძალას მატებადა ადამიანს უხსოვარი დროიდან, ყოველდღიური შემოქმედებითი ნოღაწეობისათვის.



ქართული
ენების ენციკლოპედია



Кацхский столп. Общий вид с юго-запада

კატხის სვეტი. სურათი ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან



არქიტექტურული ძეგლის ამგვარი კავშირი **ლანდშაფტურული** თან ხელ შეუხებელი უნდა იყოს (ეს დებულება როგორც ცნობილია ნონით არის განმტკიცებულ¹), იმ შემთხვევაში თუ მას მოვალეობთ ან დავუმატებთ რომელიმე ობიექტს, გაშიშვლდება და შეიქმნება ახალი შემცირებული პოტენციალის შემორჩაღური და ჰუმანური ღირებულების. ამასთან ერთად თვით სივრცე დაკარგავს მხატვრულ თუ ისტორიულ მნიშვნელობას.

დასასრულ დავასკვნით: „საჭიროა კაცხის სხვეტის „ისტორიული ანსამბლის“ — „ლანდშაფტის“ დაცვა, ამ მხრივ კი როგორც ქვევით ვ. ჯაფარიძის მიერ მოყვანილი ფაქტები და დადებენ, მდგომარეობა უკიდურესად არადაამაკმაყოფილებელია.

აქ მოკლედ ჩამოთვლით იმ ღონისძიებებს, რომლის განხორციელებაც აუცილებლად მთავანია კაცხის აღნიშნული ანსამბლის დაცვის მიზნით.

1. საჭიროა დაცვის ზონის დადგენა, ვფიქრობთ, დაცვის ზონა უნდა მოიცავდეს ტერიტორიას, რომელსაც მოთავსებულია მდ. კაცხურაზე გადებულ ხიდიდან ზესტაფონ-ჭიათურის დამაკავშირებელ სამანქანო გზის აღმოსავლეთით მაღალი კლდის თხემამდე, ამ თხემის ნაპირას სასურველია აიკრძალოს ყოველგვარი მშენებლობა-კაცხის „სვეტის“ ჩრდილოეთით საზღვარი დაახლოებით 1 კმ. დაშორებით უნდა გადიოდეს.

2. პირველი პუნქტიდან გამომდინარე არავითარი მშენებლობა (არც ტურისტული ბაზისა) არ შეიძლება ამ დაცვის ზონაში. პირიქით, საჭიროა გაუქმდეს ახლად აგებული რესტორანი და შენობა გადაეცეს რაიონის კულტგანყოფილებას, კაცხის სვეტთან დაკავშირებული მასალების გამოსაფენად. ამ გამოფენის შეთვალყურეს დაევალოს ანსამბლის დაცვა და მოვლა პატრონობა .

3. დაევალოს სათანადო ორგანიზაციას უახლოეს დროში ჩაატაროს ანსამბლის გამოკვლევა და მოამზადოს მასალები ხარესტავრაციო სამუშაოების ჩასატარებლად.

¹ მთელ რიგ ნაშრომებში აკად. ნ. მარსის დებულება აქვს წამოყენებულა, რომ ქართული ტერმინი „გმირი“ იკვივა რაც ოსური „გუმირ“-ი ბერძნული „გომერ“-ი და რუსული „Кумир“ — ხოლო იაფეტურ თეორიაზე დაყრდნობით „გომერ“-ი ბრმა-დან ბრტყალ-აქვს განმარტებული. Н. Марр, К толкованию имени «Гомера» — Доклады Ака. Наук, 1924, გვ. 2-5. ამრიგად თუ „ბრმას“ გმირის მნიშვნელობით გაიგებთ მაშინ ცხადია, რომ ღვთაებრივი ძალის მქონე სვეტთან შემბმულს (ამსელელს) ხალხის წარმოდგენაში უდაოდ გმირული ძალა შეემატებოდა, ან თვით გმირი უნდა გამხდარიყო.

სოფ. პახტანი მივლინების მოკლე ანგარიში

ივ. ჯაფარიძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეთა არქეოლოგიის განყოფილების გამგემ ვახტანგ ჯაფარიძემ 1972 წ. 14 ივნისს ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის აშხ. ნ. ჯაფარიძის წერილი მიიღო. იუწყებოდნენ, რომ 1972 წ. 2 ივნისს ჭიათურის რაიონის სოფელ კაცხში, „კაცხის სვეტის“ სამხრეთ-ღმოსავლეთით, ძლიერი ქარიშხლის დროს წაიქცა სამასწლოვანი ცაცხვის ხე, რამაც გამოაჩინა აკლდამა.

აღმოჩენის ადგილის შესამოწმებლად 21 ივნისს დირექციის დავალებით გავმგზავრეთ ჭიათურის რაიონის სოფელ კაცხში. გავიხსენებ, რომ კერძო, დაინტერესებულ პირებს აღნიშნული გარემოება შეუტყობინებიათ აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის დირექციისათვის. ამ უკანასკნელმა ძველის შემოწმება დაავალა ყვირილის ხეობაში ქვის ხანის ძეგლების შემსწავლელი ექსპედიციის ხელმძღვანელს, ისტ. მეცნიერებათა კანდიდატს დ. თუმბარამიშვილს. 22 ივნისს ჩვენ შევხვდით აშხ. დ. თუმბარამიშვილს და ჭიათურის მუზეუმის დირექტორის აშხ. ნ. ჯაფარიძისა და მეცნიერ თანამშრომლის თენგიზ გუჯაბიძის თანხლებით კაცხს გავმგზავრეთ.

როგორც გამოიჩვენა, წერილში აღნიშნული ფაქტი, ძველის შემთხვევით აღმოჩენის შესახებ, რეალურ ვითარებას შეესაბამებოდა. ძველის აღქმა-შესწავლა გარედან თითქმის შეუძლებელი ხდება. ნაკვობა ღრმად ზის თანამედროვე შედაპირიდან და შემოდან ქვა-ღორღის ფენითაა დაფარული. ნაკვობაში მოხვედრა შესაძლებელი ხდება ხის წაქცევის შედეგად გამოჩენილი ვიწრო ხვრელიდან, რომელიც შემდგომ, როგორც ჩანს, გაუფართოვებიათ. აღნიშნული ხვრელის ახლანდელი განაწოლები დაახლოებით შეესაბამება 90 X 50 სმ. ნაკვობის შიგნით მოხვედრამ საშუალება მოგვცა ძველი აგვეზომა, შეძლებისდაგვარად შეგვესწავლა და აგვეღწერა. სამწუხაროდ ნაკვობის შიდა სივრცის უნაკლო ფოტო-ანაბეჭდის მიღება ვერ მოხერხდა.

ნაკვობა წარმოადგენს წაგრძელებულ უსწორო ოთხკუთხედს თალიანი გადახურვითა და ჩრდილოეთის კედელში გაკეთებული ოთხკუთხა სარკმლით. განაწობები შემდეგ მონაცემებს შეესაბამება: დასავლეთის კედლის სიგრძე 2,90 მ, აღმოსავლეთი კედლისა 2,60 მ, სიგანე 1,90 მ, სიმაღლე 2,20 მ. ჩრდილოეთის კედელში დატანებული სარკმელ-შესასვლელის ზღურბლის დონე ნაკვობის იატაკის დონესთან შეფარდებით 0,75 მ-ია. სიმაღლე 1,20 მ, სიგანე 0,60 მ. ნაკვობის კედლები ადგილობრივი კირქვისაგან არის ნაკები. ქვები დაუღვევრადაა გათლილი. კედლები და ქერი შებათქამებული ყოფილა კირხსნარით, რომელშიც ჭარბადაა შერეული ადგილობრივი მდინარისეული, გაუცრელი სილა.

ნაკვობაში ჩასვლისთანავე გამოიჩვენა, რომ ჩვენამდე აქ საკმაოდ „ნერგიული“ სამუშაო უწარმოებიათ, რის შედეგად გამოვლენილა მიცვალებულთა ჩონჩხები, მოწერილობის თანახმად სამი ჩონჩხი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ადგილზე ამის დადგენა გაძნედა, ვინაიდან თავის ქალები ძალზე დაზიანებული იყო და მათი კრანი-



ოლოგიური შესწავლა ალბათ შედეგს აღარ მოგვეცემდა. ჩვენს მიერ ნაგებობის იატაკის აყრილი ფენის გადასინჯვის დროს, კვლავ აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხის ძვლები, მხოლოდ უფრო ფრაგმენტულად, ასე რომ მიცვალებულთა რაოდენობის დადგენა შეუძლებელი გახდა. უფრო მეტიც, არ ირკვევა მიცვალებულთა დამარხვის, თუ დაკრძალვა-დასვენების ვითარება და მდებარეობა, ეს ერთი მთავარი მომენტი და მეორე ძირითადი მომენტი, რომელიც (სამარხი-დასაკრძალი ნაგებობის დათარიღების საკითხი) ასევე ღიად რჩება. აქაც მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია ჩვენამდე ჩატარებული არასწორი გათხრითი სამუშაოები. მთხრელებს სამარხავი ნაგებობის კირხსნარის იატაკი მთლიანად მოუშლიათ, ნაგებობის ქვემოთ მდებარე კულტურულ ფენაზე დასულან, ხოლო ნიადაგის შემდგომი გადაადგილების შედეგად სხვადასხვა დროის კულტურული ნაშთები, რომელიც ძირითადად თიხის ტურჭლის ნატეხებს წარმოადგენს, ერთმანეთში აურევიათ. ნაგებობის თხრის შედეგად გამოვლენილი თიხის ტურჭლის ნატეხები ზოგადად შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს: I—არქაული, შავად გაპრიალებული, შედარებით სქელკედლიანი თიხის ტურჭელთა გვერდის ორიოდ ნატეხი. ერთი მათგანი ადამოგვცა ადგილობრივმა მოყვარულმა არქეოლოგმა სიმონ ხითარიშვილმა. ხოლო დანარჩენი ჩვენ მოვიპოვეთ ნაგებობის შიგნით მიწის ნაყარი, არეული ფენის გადასინჯვის შედეგად. II—რამდენიმე ნატეხი თიხის ტურჭლისა ძალზე მცირე ფრაგმენტებს წარმოადგენდა და ანტიკურ თუ უფრო ადრე შუა საუკუნეებს მიეკუთვნება. III—ამ ჯგუფს მივაკუთვნებთ პროფილირებული ჯამის გვერდის ნატეხს (იგი ჩვენ ს. ხითარიშვილმა გეჩვენა), რომელიც დამზადების კარგი ტექნიკით ხასიათდება. ჩვენი ვარაუდით იგი უფრო განვითარებულ ფეოდალურ ხანას უნდა ეკუთვნოდეს. პირველი ორი ჯგუფის კერამიკა, ვფიქრობთ, ნაგებობის იატაკის დონის ქვემოთ მდებარე კულტურული ფენიდან მომდინარეობს და ამდენად მიცვალებულთა კუთვნილ ინვენტართა ნატეხებად ვერ მივიჩნევთ. აღნიშნული კერამიკული მასალა ნაგებობის დასათარიღებლად ვერ გამოდგება. მის მიხედვით მხოლოდ იმ ვარაუდის გამოთქმა შეიძლება, რომ ნაგებობა ადრე შუა საუკუნეებისადმი მისაკუთვნილებული კულტურული ფენის ზემოთ მდებარეობს. რაც შეეხება პროფილირებული ჯამის ნატეხს, ჩვენი აზრით იგი, შესაძლოა, მართლაც უკავშირდებოდეს სამარხავი ნაგებობის მოქმედების ხანას, მაგრამ არა როგორც სამარხეული ინვენტარი, არამედ შიგ შემთხვევით მოხვედრილი აღნიშნულ ფრაგმენტს ცეცხლის კვალიც ეტყობა, რაც მის სამოსახლოსადმი კუთვნილებაზე უფრო უნდა მიუთითებდეს.

კაცხის სვეტის, როგორც თხემზე, ასევე ძირთან ცნობილია ადრექრისტიანული ხანისადმი მისაკუთვნილებელი ძეგლები. ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი მიუთითებდა, რომ „რამსა შინა არს კლდე აყვანილი ვითარცა სვეტი, ფრიად მაღალი მის კლდის თხემზედ არს ეკლესია მცირე, არამედ ვერღარა აღვალს კაცი, არცა უწყვიან ხელოვნება აღსვლისა“. (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1941, გვ. 155).

1944 წ. ალ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, აკ. ბელიაშვილის, ლ. გოთუას და ვ. ცინცაძის მონაწილეობით, მოხდა კაცხის „სვეტის“ დალაშქვრა. ამავე დროს იქნა შესწავლილი სვეტის თხემის ორი ეკლესია, რომლებიც ადრექრისტიანული ხანით V-VI თუ V-VII საუკუნეებით იქნა დათარიღებული (იხ. ვ. ცინცაძე, კაცხის „სვეტი“ საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე. ტ. VII, 1946, გვ. 557-564). ადრექრისტიანული ხანის ადრეული ეტაპით თარიღდება სვეტის ძირში მასზევე ამოკვეთილი ბოლ-



ნური ტიპის ჯვარი, რომელიც სანახევროდ მედალიონშია ჩასმული. ვ. ცინცაძის პარალელურ ბოლნისის სამყაროს ძეგლებსა და სირიაში უძებნის და კუნთ ათარიღებს.

სვეტის ძირში არსებული მოედნის აღმოსავლეთ ნაწილში აგებული ეკლესიაც ადრე შუა საუკუნეების მიწურულით თარიღდება (X ს. ვ. ცინცაძის ზეპირი ცნობით). აღნიშნულ მონაკვეთზე რიგი სხვა ნაგებობათა ნაშთებია დარჩენილი. ვ. ცინცაძის მითითებით ადრე ისინი უკეთ შეიმჩნეოდა...

მარტო ქრისტიანული ხანით არ განისაზღვრება კაცხის მიდამოების ისტორიული წარსული. ცნობილია, რომ ქრისტიანული ხანის საკულტო ნაგებობანი უშუალოდ უკავშირდებიან წარმართულ ძეგლებს. წინაქრისტიანული ხანის ამბების ამსახველია კაცხის სვეტთან დაკავშირებული რიგი გადმოცემა და რწმენა და, რაც უფრო სანდოა აკლდამის იატაკის ქვემოთ მდებარე კულტურული ფენიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა. ძველი ფენებისადმი მისაკუთვნებელი მასალა გამოვლინდა ტურბაზის მშენებლობასთან დაკავშირებული გზის გაყვანისა და სასტუმროს მშენებლობისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების დროს, იქვეა ძველი წარმოების ნაშთები.

კაცხი და საერთოდ ჭიათურის რაიონი მდიდარია ისტორიული ძეგლებით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ XX საუკუნის დასაწყისში აქ გამოვლენილი და შესწავლილი იქნა ქვის ხანის ძეგლები (კრუკოვსკი). ამჟამად აქ მუშაობას აგრძელებს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და საქ. სახ. მუზეუმის ექსპედიცია.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ კაცხში აღმოჩენილ აკლდამა-საძვალის შესახებ საჭიროა ეცნობოს საქ. სსრ კულტურის სამინისტროს სახვითი ზელოვნებისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოს, რათა ამ უკანასკნელმა ჩაატაროს აღდგენა გამაგრებითი სამუშაოები. სასურველია ამ სამუშაოების ჩატარების დროს ადგილზე მივლინებულ აქნას სპეციალისტი—არქეოლოგი. საერთოდ კი კაცხი და მისი მიდამოები არქეოლოგიური შესწავლის ობიექტად უნდა იქცეს.

ადრეული შუა საუკუნეების ჯვარცმის გამოსახულებიანი ჯვრები

ქართული ადრექრისტიანული ხელოვნების ნიმუშებს შორის ძველები ჯვარცმის კომპოზიციით იშვიათობას წარმოადგენენ. ამდენად, ჯვარცმის გამოსახულებიანი ორი გულსაკიდი ჯვარი ახმეტის რაიონის ხ. შენაქოდან შეტად საინტერესო და იშვიათ მონაპოვართა რიგს მიეკუთვნება (ჯვრები მოპოვებული იქნა ნ. კიჯურიძის მიერ, 1964 წ.).

ერთი მათგანი ბოლოებმომრგვალებული მკლავებით ხასიათდება. ვერტიკალური მკლავები ოდნავ დაგრძელებული აქვს. ყუნწი მასიურია, მრგვალ-ბრტყელი, ზედაპირდალარული.

ჯვრის კიდე გამოყოფილია მის ირგვლივ შემოხაზული ღარით. ზედაპირზე, დაბალი, მკვეთრი რელიეფით გამოსახულია ჯვარცმა. ქრისტე ჭაბუკის სახითაა მოცემული. მას თავზე რელიეფურად ამბლლებული წრიული შარავანდი ადგას. სახის ოვალი მომრგვალებული აქვს. შუბლზე გადმოვარცხნილი თმა, რომელიც შუა ნაწილში წვეტიანებურადაა ჩამოგრძელებული, უშუალოდ გადადის ქილვაშებსა და მოკლედ დაყენებულ წვერში. ჩაჭრილი ხაზით გამოყვანილი პირი თითქოს ოდნავ ღიაა. მოკლე და თხელი ცხვირის გამოშხატველი ხაზები, მალა აზიდულ, მორკალულ წარბებში გადადის. ჩაჭრილი რკალებით გადმოცემული თვალები ქუთუთობდაშვებულ შთაბეჭდილებას ქმნის. სახე მშვიდი გამომეტყველებისაა. კისერი მალაღია, დისპროპორციული.

ქრისტეს ტანთ აცვია სადა ქსოვილის, ფართოსახელოებიანი, მუხლს ქვემოთ ოდნავ ჩამოშვებული კაბა, რომელზედაც გულისპირი არ არის აღნიშნული. კაბა წელს ზევით, გულმკერდის არეში, გადაჯვარედინებული, ნაკეცებიანი ლენტებითაა შემკული, რომლის ცენტრში ჯვარედინი ნიშანია გამოსახული. ნაკეცებიანი არშია კაბას შემოუყვება აგრეთვე ქობასთან. ფეხის ტერფები მარცხნივაა მიმართული. ფეხსაცმელი უქსლო ჩანს, მალაყვლიანი. ზომა: 5,9 X 4,2 სმ.

მეორე ჯვარი განსხვავებული ფორმისაა. მისი სწორხაზოვანი მკლავები ბოლოებისაკენ ფართოვდებიან, ქვედა მკლავი კი საგრძნობლადაა დაგრძელებული. საკიდი ჩამოტეხილი უნდა ჰქონდეს.

ჯვარს გარშემო ღარი შემოუყვება. ზედაპირზე რელიეფურადაა შესრულებული ჯვარცმის კომპოზიცია. ქრისტე, პირველ ჯვარზე მოცემულ გამოსახულებასთან შედარებით, ხანდაზმულად გამოიყურება. გამოსახულება კონტურული ხაზითაა აღნიშნული. სახე სხეულთან შედარებით მალაღი რელიეფითაა გადმოცემული. ქრისტე გამოსახულია უშარავანდოდ. შუა ნაწილში ოდნავ ჩამოგრძელებული თმა ფართო ულვაშებსა და გრძლად დაყენებულ წვერს უერთდება. ცხვირი განიერი აქვს. მისი გამოშხატველი ხაზები მორკალურ წარბებში გადადის. რელიეფურად ამობურცული მსხვილი თვალები დახუჭულია. სახის გამომეტყველება მშვიდია. ხელის მტევნები, რომლებიც ერთ შემთხვევაში სამი, ხოლო მეორე შემთხვევაში ოთხი თითით ბოლოვდება, დისპროპორციულადაა გადიდებული.

ქრისტეს სამოსი მდიდრულია. გრძელი, კოჭებამდე დაშვებული, ნაკეცებიანი



Кресты с изображением
расплтия из с. Шенако

მოსახლამი მკერდზე შეკრულია დიდი ზომის სამკუთხა მოყვანლობის ბალთით თუ
ლილით. სახელოები ვიწროა, ნაკეცებიანი. ნაკეცები ვერტიკალურად ჩაჭრილი ხაზე-
ბითაა გადმოცემული. ქობა რკალისებურად ჩანს შეჭრილი. ფეხები სხვადასხვა მი-
მართულებითაა განლაგებული. აცვია დაბალყელიანი ჩექმა. ფიგურა განლაგებულია
ჯვრის ზედა მკლავის შუა ნაწილის ქვევით. თავს ზემოთ, კიდევებოხაგან ღარით გამო-
ყოფილი არე თავისუფლადაა დატოვებული. ზომა: 4,3 X 5,8 სმ.

ზემოთ აღწერილი, ერთი შეხედვით თითქოს განსხვავებული ჯვრები მთელი რი-
გი არსებითი ნიშნებით ერთმანეთთან ამკვლავებენ მსგავსებას. ჯვრები შესრულებუ-
ლია ერთი და იგივე ტექნიკური და მხატვრული ხერხების გამოყენებით. ისინი დამ-
ზადებულია ჩამოსხმის წესით. დამოსახულებიანი რელიეფურია, გრაფიკულად დამუ-
შავებული, კერძოდ, სახის ნაკეთები, ტანსაცმლის დეტალები და სხვ. მეტ-ნაკლები
სიღრმის ჩაჭრილი ხაზებითაა გამოყვანილი. კომპოზიციის სქემა ერთნაირია — გა-
მოსახულებები ფრონტალურია. ისინი ხასიათდებიან პრიმიტივიზმით. დარღვეულია
სხეულის პროპორციები, მკვეთრად გამოირჩევა დისპროპორციულად გადიდებული
ცალკეული ნაკეთები — ხელის მტევნები, კისერი, თავი და სხვ. სხეულის ფორმა და



პლასტიკურობა არ იგრძნობა. თმის ვარცხნილობა ორივე გამოსახულებას ერთნაირს აქვს

განსაკუთრებით აღსანიშნავია ორივე შემთხვევაში თავისებური, ინდივიდუალური მიდგომა ოსტატისა, ჯვარცმის კომპოზიციის მიმართ. ქრისტე გამოსახულია დახუჭული თვალებით — მიცვალებული. ამავე დროს, მის სახეზე სულიერი სიმშვიდეა აღბეჭდილი და არა წამებით გამოწვეული ტანჯვა. დიდებულია აგრეთვე მისი პოზა. იგი წარმოდგენილია ფრონტალურად, ერთ შემთხვევაში ჩაცმული შედარებით სადად, მოკლე ტუნიკაში, მეორე შემთხვევაში კი ნაკეცებიან, ძირამდე დაშვებულ კოლობიუმში.

ქართული ჭედური ხელოვნების ნიმუშებში ჯვარცმის თემა საკმაოდ გავრცელებული ჩანს. აღსანიშნავია, რომ მაცხოვრის გამოსახვა ჯვარცმის კომპოზიციაში ორგვარად არის გადაწყვეტილი. ქართული ხელოვნების ნიმუშთა ერთ ჯგუფში მაცხოვარი გამოსახულია ცოცხალი — ღია თვალებით, სახის მშვიდი კომპოზიციებით. მეორე ჯგუფში კი მიცვალებული — დახუჭული თვალებით, მოხრილი სხეულით, სახეზე აღბეჭდილი სულიერი თუ ფიზიკური ტანჯვით.

აკად. შ. ამირანაშვილის აზრით, საქართველოში, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ბიზანტიაში, XI ს. დამლევამდე გავრცელებული იყო V საუკუნეში გამოთქმული ჯვარცმის განმარტება, რომლის მიხედვით მაცხოვარი ჯვარზე მიცვალებულის სახით არ შეიძლება ყოფილიყო გამოსახული, ვინაიდან იგი იყო „სიკვდილისა სიკვდილითა დამთურგუნველი“, გამარჯვებული, ტრიუმფატორი. მხოლოდ XII ს. დასაწყისიდან ძლევამოსილი, ცოცხალი მაცხოვრის მაგივრად, ისახება ქრისტე მიცვალებული — დახუჭული თვალებით, მოხრილი სხეულით¹.

სხვა დასკვნამდე მიდის აკად. გ. ჩუბინაშვილი. იგი დასავლეთ ევროპის მთელ რიგ მკვლევართა მონაცემებით და ქართული ძეგლების ანალოზის შედეგად ასკვნის, რომ ჯვარცმაში მიცვალებული ქრისტეს გამოსახვა იწყება არა XII საუკუნიდან, არამედ VIII—IX საუკუნეებიდან².

შენაქოს ჯვრებზე ჯვარცმის კომპოზიცია თავისებურადაა გადაწყვეტილი. ამდენად, იგი არ მიეკუთვნება ზემოაღნიშნულ არც ერთ ჯგუფს. იგი თითქოს ამ ორი ჯგუფის დამაკავშირებელს წარმოადგენს, ერთგვარ გარდამავალ საფეხურს ქმნის — მაცხოვარი გამოსახულია ფრონტალურად, ჩაცმული, მართალია დახუჭული თვალებით, მაგრამ სრულიად მშვიდი სახით, ყოველგვარი სულიერი თუ ფიზიკური ტანჯვის ასახვის გარეშე. ამდენად, იგი ოსტატის ინდივიდუალური ჩანაფიქრის ნაყოფი ჩანს, რაც შეიძლება ლოკალურ თავისებურებას მიეწეროს.

ამ საკითხთან დაკავშირებით აკად. გ. ჩუბინაშვილის კვლევა, თვით კომპოზიციის და გამოსახულებათა თავისებურებანი, რომელთაც ჩვენ ქვევით უფრო დაწვრილებით შევხვებით, საფუძვლეს გვაძლევს აღნიშნული ჯვრები, ჯვარცმის კომპოზიციაში მიცვალებული ქრისტეს გამოსახვის მიუხედავად, ქართული ქრისტიანული ხელოვნების ადრეულ პერიოდს დაუკავშიროთ. აღსანიშნავია, რომ მაცხოვრის ორივე გამოსახულებას ანალოგები სინქრონულ მასალაში მოეძებნება. ამავე დროს ამ გამოსახულებათა დამახასიათებელი ცალკეული ელემენტები ზოგჯერ ერთ ძეგლშიც გვხვდება. მაგალითად, ჭარმაგი ქრისტეს გამოსახულება აძიკვის რელიეფის დიდებულებს ემსგავსება თმის ვარცხნილობითა და გრძელი წვერით. მათ განსაკუთრებით აახლოებს აგრეთვე თავის დაყენების მანერა. ორივე შემთხვევაში თავი, კისრის გარეშე, გრძელი წვერის საშუალებით, უშუალოდ სხეულთანაა შერწყმული. ჭაბუკ ქრისტეს კი, აძიკვის



რელიეფზე გამოსახული მაღალი საზოგადოების წარმომადგენლების ქიტიცხაფუხსმოსის გულმკერდის არეში გადაჯვარედინებული ლენტებით აქვს შემკული ალნიშნული დეტალი სამოსის შესამკობელს წარმომადგენს, რაც დასტურდება სადა და გოფირებული ქსოვილის მონაცვლეობით. თმის ვარცხნილობაც ორივე შემთხვევაში ერთნაირია.

მაცხოვრის ორივე გამოსახულება შემოაღნიშნული დეტალებით ემსგავსება აგრეთვე X ს. პარსლის რელიეფზე გამოსახულ პირებს⁵.

ჭაბუკი ქრისტეს მსგავსად, გადაჯვარედინებული ლენტებითაა შემკული აგრეთვე X ს. ჯახუნდერის ტრიპტიხის კარებზე გამოსახული ანგელოზების სამოსი. იდენტური ჩანს მათი თმის ვარცხნილობა და თავის ირგვლივ ნახევარწრიულად გამოსახული შარავანდი. ჭარმაგი ქრისტესა და ჯახუნდერის ანგელოზების მსგავსება კი თავის დაყენების მანერაში გამოიხატება⁶.

ჭაბუკი ქრისტე სამის ოვალით, თმის ვარცხნილობითა და მრგვალად დაყენებული წვერით ემსგავსება VIII—IX სს. მიჯნით დათარიღებულ უსანეთის სტელის გამოსახულებებს⁷. ერთგვარი პორტრეტული მსგავსება აღინიშნება აგრეთვე ჭაბუკ ქრისტესა და ატენის სიონის სამხრეთ ფასადზე გამოსახულ ქტიტორთა გამოსახულებებს შორისაც, რომლებიც გ. აბრამიშვილის გამოკვლევით ტაძრის რესტავრაციის პერიოდს, X ს. მიეკუთვნებიან⁸.

ჭარმაგი ქრისტეს გამოსახულება მთელი რიგი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებით, როგორცაა — თავის დაყენების მანერა, თმის ვარცხნილობა და გრძელი წვერი, ნაკვეებიანი სამოსი და დისპროპორციულად გადიდებული ხელის მტევნები — მსგავსია აშოტ კურაპალატის რელიეფის გამოსახულებებისა ოპიზიდან (IX ს. I ნახ.)⁹. თმის ვარცხნილობითა და დისპროპორციულად გადიდებული ხელის მტევნებით, იგი პარალელს პოულობს აგრეთვე IX—X სს. კაიშურის მემორიალური ხასიათის ბაშალტის ჯვარზე გამოსახული ჯვარცმული მაცხოვრის რელიეფთან¹⁰. აღსანიშნავია მისი პორტრეტული მსგავსება IX ს. პირველი მესამედის გველდესის კანკელის გამოსახულებებთანაც¹¹.

შენაქოს ჯვრებს ჩვენს მიერ პარალელუბად მოყვანილ რელიეფურ ქანდაკებებთან აახლოებს აგრეთვე მხატვრულ-სტილისტიკური ერთიანობა. საბოლოო, მხატვრულად ჩამოყალიბებულ სახეს ისინი იღებენ მხოლოდ გრაფიკული ხაზებით დამუშავების შემდეგ.

არქეოლოგიური მასალებიდან შენაქოს ჯვრებს ემსგავსება IX—X სს. ჯვარცმის გამოსახულებიანი ვერცხლის ჯვარი ჩეხეთიდან. მასზე ქრისტე გამოსახულია ფრონტალურად, ტუნიკაში ჩაცმული. თავის დაყენების მანერა და გრძელი წვერი, რომელიც უშუალოდ სამოსს უერთდება, ჯვარზე ფიგურის მდებარეობა, დისპროპორციულად გადიდებული ხელის მტევნები, განსაკუთრებით აახლოებს მას ჭარმაგი ქრისტეს გამოსახულებასთან. შემოდასახელებული ნიშნებით, და ნაკვეებიანი კოლობიუმით. მას აგრეთვე ემსგავსება ბულგარეთში, აბობა-პლისკაში, აღმოჩენილი VIII—IX სს. ენკოლპიაზე მოცემული ჯვარცმული ქრისტეს გამოსახულება.

შემომოყვანილი პარალელური მასალა — ქართული რელიეფური ქანდაკების თუ ჭედური ხელოვნების ნიმუშების და სხვა ქვეყნების ძეგლები, ზოგადად VIII—X სს. ქრონოლოგიურ ჩარჩოში თავსდება. ამასთან, როგორც დავინახეთ, მაცხოვრის გამოსახულებათა პორტრეტული მსგავსება ანალოგიურ მასალასთან გამოიხატება არა მარტო ზოგად ფორმაში, არამედ მთელი რიგი ცალკეული დეტალებითაც. სწორედ ამ ცალკეულ დეტალთა გათვალისწინება გვაძლევს საფუძველს შენაქოს ჯვარცმის გამო-

სახელებიანი ჯვრები უფრო კონკრეტულად — IX—X სს. დასაწყისით რილით.

VIII—IX სს. ქართული ხელოვნების განვითარების გეზი იცვლება. იწყება გარდამავალი ხანა — ახალი, შემოქმედებითი ძიების პერიოდი. საბოლოოდ წყდება კავშირი ძველ, ანტიკურ ტრადიციასთან და ქართული ხელოვნება მკაფიოდ გამოხატულ ეროვნულ ხასიათს იღებს¹⁰.

შენაკოს ჯვარცმის გამოსახულებიანი ჯვრები ქართული ხელოვნების განვითარების გარდამავალი ეპოქის ძეგლებია. მათზე მკაფიოდ აისახა აღნიშნული ეპოქის მონაპოვარი — ქართველი ოსტატის შემოქმედებითი თვითმყოფადობა. გამოსახვის თავისებური სტილი და შესრულების მანერა, სხეულის ზოგიერთი ნაკვთის ექსპრესიულობა და სხვა ნიშნები, მჭიდროდ აკავშირებს მცირე ხელოვნების ამ ნიმუშებს იმდროინდელ ქართულ რელიეფურ ქანდაკებასთან თუ სხვა ძეგლებთან. მხატვრულ-სტილისტიკურ ერთიანობასთან ერთად ამ ძეგლებს ერთმანეთთან განსაკუთრებით აახლოებს კოსტუმის მსგავსება, თმის ვარცხნილობა, წვერის დაყენების წესი და სხვ. ნიშანდობლივია აგრეთვე, რომ წმინდანთა იკონოგრაფია ამ პერიოდში განზოგადოებული სახითაა წარმოდგენილი — მათი ჩაცმულობა თუ თმის ვარცხნილობა უმთავრესად დეტალურად იმეორებს საერო პირთა სამოსსა და სახეებს. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ ამ პერიოდის ქართული ხელოვნება სინამდვილის რეალისტურ ასახვას ისახავდა მიზნად. იგი ქართული ეროვნული შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენდა.

1. შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი, თბ., 1956, გვ. 28.

2. Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Текст, Тб., 1959, გვ. 84—90.

3. ქართული ხელოვნების ძეგლები ორნამენტი, რ. შერლინგის გამოცემა, თბ., 1954, გვ. 34.

4. Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, иллюстрации, Тб., 1959, табл. 48.

5. Т. Барнавели, К датировке стелы Усаети, МАНУ, № 1, თბ., 1969, გვ. 121—202, ტაბ. I, II.

6. Г. Абрамишвили, Два строительных периода Атенского Сиона, МАНУ, № 1, თბ., 1972, გვ. 54, ნახ. 19.

7. ნ. აღაძაშვილი, რელიეფი ოპიზიდან, აშოტ კურაპალატის გამოსახულებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XV, № 7, თბ., 1954, გვ. 555.

8. Н. Чубинашвили, Рельеф «Вознесения креста» на каменном кресте из селения Качагани, ქართული ხელოვნება, 6, თბ., 1963, გვ. 13

9. Р. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962, გვ. 69—70, 80, ტაბ. 4—7.

10. Г. Н. Чубинашвили, Грузинское искусство VIII и IX веков, его характер и историческое место, Н. Чубинашвили, Хандзиси, Тб., 1972, გვ. 32—39, 27—31.

წარმართული ტაძარი დედოფლის მინდორზე

(ქარელის რაიონი)

ერთხელ, დიდი ხნის წინათ, ორშაბათ დღეს გუთნისდედა ხნავდა დედოფლის მინდორს. უცებ გაიპო მიწა, წინა ხარები ნაპარალში ჩაცვივდნენ და გადაითრიეს მთელი გუთნეული: ხარები, მებრეები, გუთანი და გუთნისდედა. მიწამ პირი შეიკრა და ისინი მეტად აღარავის უნახავს. ამის შემდეგ ის დღე, ორშაბათი დაიდო უქმედა — რომელ სოფელსაც ხმა მიუდგებოდა, ასეთი ამბავი მოხდაო, ორშაბათობით გუთანს აღარ აბამდნენ.

აი, ასე ხსნიან ამ უცნაურ წესს — ორშაბათობით ხვნის აკრძალვას — დედოფლის მინდვრის გარშემო მდებარე სოფლების — სალოლაშნის, ბრეთის, არადეთის, წვერის, ფციხ, თამარაშენის, ქვენატკოცის მცხოვრებნი.

ასეთია მრავალთაგან ერთ-ერთი ლეგენდა, რომელიც დედოფლის მინდორს უკავშირდება. რეალობა? რეალობა კიდევ უფრო მეტად საინტერესო და საყურადღებო აღმოჩნდა.

უკვე ორი წელია, რაც აქ აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობს. შედეგებმა, როგორც იტყვიან, ყველაზე თამამ იმედებსაც კი გადააჭარბა.

დედოფლის მინდორი სამკუთხედის მოყვანილობის უზარმაზარი (2000 ჰა) ვაკეა, ბოქცეული ორი მდინარის — ფციხა და დვანის ფრონეებს შორის (დასავლეთის და აღმოსავლეთის ფრონეები), ჩრდილოეთიდან მინდორს საზღვრავს სერი-კვერნაჭი, რომელსაც აქ სისხლის ჯვარი ჰქვია, ბატონიშვილი ვახუშტი კი ცეცხლის ჯვარს უწოდებს.¹ უეჭველია, რომ ერთ-ერთი ამ სახელთაგანია თავდაპირველი, ალბათ, ცეცხლის ჯვარი, თუმცა პარალელური ფორმა — სისხლის ჯვარი — უკვე XVII ს. არსებულა² ასეა თუ ისე, ტოპონიმი უაღრესად საყურადღებოა, თუნდაც მარტო იმის გამო, რომ ამ ჯვრის ძირას წარმართული ტაძარი აღმოჩნდა.

გარდა ცეცხლის (სისხლის) ჯვრისა, დედოფლის მინდორზე კიდევ სამი ნიშია. ერთი, ამჟამად სახელდაკარგული, სოფელ არადეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს (აქ აღმოჩნდა ძვ. წ. I — ახ. წ. I საუკუნის თამაშირის მცირე ქანდაკება, — პართული ტიპის ქალღმერთის გამოსახულება).

მეორე ნიში — ატოცის ნიშია. იგი დგას დედოფლის მინდვრის ჩრდილო-დასავლეთ ბოლოში, სოფელ ლოღეთისაკენ მიმავალ გზაზე.

მესამე და მთავარი სალოცავი კი დედოფლის მინდორზე — სარკის წმ. გიორგის ნიშია, რომელიც მინდვრის ცენტრში მდებარეობს, ორი წყაროს-დედოფლისა და ე. წ. დამპალას წყაროებს შორის (მთელ ტრიალ მინდორზე მხოლოდ ეს ორი წყაროა).

დედოფლის მინდვრის ლეგენდების უმრავლესობა სარკის წმ. გიორგის ნიშთან არის დაკავშირებული. ლეგენდის თანახმად წმ. გიორგი აქედან სასწაულებრივ გადაბრძანებულა თრიალეთის ქედზე, თანანედროვე სარკის მონასტერში, რომელიც შიდა ქართლის ერთ-ერთი უდიდესი სალოცავია.

სარკის ნიშის გარშემო დაახლოებით ოცი ჰექტარი მიწა არასოდეს არ იხვნებო-



და, დასარყული (ნაკრძალი) იყო. რატომ? ისევ ლეგენდა: ოდესღაც, ხენის ქრთსალი ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ხატი ამოპყვაო სახნისს.

ნაკრძალი ზონა მინდვრის ცენტრში, ორშაბათობით ხენის აკრძალვა, ოთხი ნიში, მათ შორის ორი ისეთი ძლიერი სალოცავისა, როგორც სარკე და ატოცია — მეტის-ნეტად ბევრი ხომ არ არის ერთი უდაბური მინდვრისათვის, რომელზედაც ბოლო დრონდე ქერაა და ხორბლის მეტი არაფერი ხარობდა და ორად-ორი წყარო გამო-დიოდა მზით დამწვარი მიწიდან?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემის სურვილმა მიგვიყვანა დედოფლის მინდორზე, რად-განაც ყველაფერი კანონზომიერად უკავშირდებოდა ერთმანეთს; ორშაბათი მთვარის დღე იყო წარმართული კალენდრით, წმინდა გიორგი კი ძველი ქართული წარმართუ-ლი პანთეონის მთვარის ღვთაების შემკვიდრედაა აღიარებული საისტორიო მეცნიე-რებაში¹. მიწათმოქმედების მფარველობა (და აქედან — რეგლამენტაციაც) მთვარის ღვთაებისა და შემდეგ წმინდა გიორგის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია იყო. ამავე დროს დედოფლის მინდვრის ლეგენდები ამ უცნობი წარმართული ღვთაების ქალურ ბუნებაზეც მიუთითებენ (ღვთისმშობლის ხატი).

თითქოს პარადოქსია, სად წმ. გიორგი და სად ქალური ბუნება, მაგრამ როგორც ირკვევა, არც ეს ყოფილა მოულოდნელი — საქართველოს ეთნოგრაფიას გააჩნია ამ „უცნაურობის“ დამადასტურებელი ფაქტები. მთვარე ორბუნებოვანი ღვთაება იყო მრავალი სხვადასხვა ხალხის რწმენა-წარმოდგენებით.

ამრიგად, ექსპედიცია დედოფლის მინდორზე გავიდა „ლეგენდების კვალდა-კვალ“. საინტერესო აღმოჩენების იმედს ისიც აღვივებდა, რომ საქართველოს ხელოვ-ნების სახელმწიფო მუზეუმის სეიფში მრავალი წელია ინახება ანტიკური ხანის ნიე-თები, რომლებიც ჯერ კიდევ 1926 წელს მოიტანა არადელმა ლ. ტიტენიძემ დედოფ-ლის მინდვრიდან. ამ კოლექციის შემადგენლობაში სხვათა შორის არის ბრინჯაოს ორი ბატლუმი — ღვთის მსახურებთან დაკავშირებული საკულტო-სარიტუალო ნიე-თები, რომელთა შესახებ მსჯელობა გვქონდა „ძველის მეგობრის“ 33-ე ნომერში, და ოქროს ფირფიტისაგან დამზადებული ქალღმერთის პორელიეფური გამოსახულება. ქალღმერთს თავზე ნამვალა მთვარე ადგას.

სარკის წმ. გიორგის ნიშის მახლობლად არქეოლოგიური გათხრების დაწყების-თანავე, თითქმის პირველივე ბარისპირზე დამწვარი ალიზის კედელი გამოჩნდა, ხუთი თვის მუშაობის შემდეგ კი მოლიანად მოიხაზა გრანდიოზული სატაძრო ნაგებობის ბეშმა.

ტაძრის სიგრძეა 46 მ, სიგანე 30 მ, საერთო ფართობი 1300 კვ მ აღწევს. კედ-ლები ზოგან 2 მ სიმაღლემდეა შემორჩენილი. ტაძარი აგებულია ალიზით, რიყის ქვის საფუძველზე. ნახარია ორგვარი ალიზი — კვადრატული (50 X 50 X 12 სმ) და მართკუთხა, კვადრატულის ნახევარი (50 X 25 X 12 სმ). კედლებიცა და იატაკიც ალიზის ხსნარით — ბუნებრივი თიხის ხსნარითაა შელესილი. კედლები შედგებილი და, შესაძლებელია, მოხატულიც კი ყოფილა. გათხრების დროს აღმოჩნდა წითელი, შავი, თეთრი და ლურჯსაღებავიანი ბათქაშის ნატეხები.

გვეგვამი ტაძარი მართკუთხაა. ორიენტირებულია მკაცრად ქვეყნის მხარეების მი-მართ. ძირითადი, გრძივი ღერძი მიმართულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. მთა-ვარი შესახვეული სამხრეთიდანაა, სადაც ტაძარს ღია პორტიკი ქონია. პორტიკის ზომებია 11 X 17,3 მ.

ძირითადი ღერძის მიმართ ასიმეტრიულად გაჭრილ კარს პორტიკიდან შევყა-



საქართველოს
საქართველოს



დედოფლის მინდორი. ტაძრის ჩრდილო
სვეტებთან სათავსო

Дедоплис мндори. Северное
двухколонное помещение храма



დედოფლის მინდორი. ტაძრის საკურ-
თხევლიანი დარბაზი

Дедоплис мндори. Алтарный
зал храма



ვართ ცელაში — ტაძრის ცენტრალურ სათავსოში. ცელა ოთხსვეტიანი უკანა კედრატული დარბაზია (300 მ²). მის ცენტრში და ამავე დროს მთელი შემოღობვის ცენტრში აღმართულია თიხაქვიშნისი და ალიზის ხსნარით საგულდაგულოდ მოღებული ოთხკუთხა პლათფორმა — საკურთხეველის ადგილი.

ჩრდილოეთი კედლის შუაში გაჭრილია კარი, რომლითაც საკურთხეველიანი დარბაზი გარსშემოსავლელის ჩრდილო დერეფანს უკავშირდება. ცელას და პორტიკის აღმოსავლეთით, ჩრდილოეთითა და დასავლეთით დერეფნების სისტემა შემოსდევს. ტიხრებით იგი ერთმანეთისაგან იზოლირებულ სამ ნაწილადაა გაყოფილი. ამ სამი ნაწილიდან უძველესად ერთი მაინც — სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი — ცენტრალური დარბაზისა და პორტიკისაგანაც იზოლირებულია და დამოუკიდებელი შესასვლელუბი აქვს გარედან. ეს მის განსაკუთრებულ ფუნქციაზე უნდა ნიუთთებდეს. მართლაც, სამხრეთ-აღმოსავლეთ დერეფანში მსხვერპლად მიტანილი რამდენიმე ათეული თუ ასეული ირმის დატოტილი რქებიანი თავის ქალა აღმოჩნდა. აქვე ეწყობი ნიაპორისა და ველური ტახის თავის ქალებიც.

ჩრდილოეთი დერეფნიდან გრძივი ღერძის მიმართ სიმეტრიულად განლაგებული ორი კარი გადის გარეთ. ამ კარებს შორის ტაძრის შენობის ძირითად მართკუთხედზე მიდგმულია ლოჯია-ორსვეტიანი ღია სათავსო.

ლოჯიის სვეტები იატაკში ამოღებულ კვადრატულ ფოსოებში იდგა, მაშინ როცა ცელას და პორტიკის სვეტებს ფოსოები მართკუთხა ჰქონდათ. მანძილიც სვეტებს შორის ლოჯიაში ნაკლებია (3 მ), ვიდრე ცელასა და პორტიკაში (5 მ-ზე მეტი). ეს იმის მანიშნებელია, რომ ცელა და პორტიკი უფრო მაღალი იყო, ვიდრე ლოჯია. ამაზევე მეტყველებს ლოჯიას კედლების ნაკლები სისქე.

სვეტები ხისა იყო. ლოჯიაში — მრგვალტანიანი. ცელაში და პორტიკაში კი ხის მართკუთხა ბაზებზე, როგორც ჩანს, აღმართული ყოფილა ორმაგი სვეტები — ორი, შეწყვილებული მრგვალი ბოძი. სვეტები თიხით იყო შეღესილი.

ლოჯიის სვეტებს აგვირგვინებდა თლილი ქვის კაპიტელები. კაპიტელი ლოტოსის გაშლილ ყვავილს გამოხატავს. მისი ტანი ყვავილის წვეტიანი რელიეფური ფურცლებით (ენებით) არის დაფარული, აბაკს კი ორმაგი წნულით გარშემორტყმული ექვსფურცლიანი ვარდულების რიგი ამკობს. ფაქიზი, ოსტატური კვეთა კაპიტელებს მაღალი ხელოვნების ნიმუშად აქცევს. კაპიტელის სიმაღლეა 40 სმ; დიამეტრი ზეით — 90 სმ; სვეტის ზედა დიამეტრი — 40 სმ.

ცელა, პორტიკი და ლოჯია სვეტებზე დაყრდნობილი ხის კონსტრუქციებით იყო გადახურული და ბრტყელი, ბანური სახურავი უნდა ჰქონოდათ. დიდი დარბაზის ცენტრში, საკურთხეველის თავზე ოთხ სვეტზე დაყრდნობილი გვირგვინი იდგა.

გადახურვის მთელი სისტემა — დანახშირებული ძელები — ტაძრის იატაკზე დაფიქსირდა გათხრების პროცესში. კოჭები ოთხკუთხად იყო გათლილი და 60 სანტიმეტრამდე სიგრძის ოთხწახნაგა რკინის ლურსმნებით იყო გადაბმული, კარებსა და სარკმლებში ხის ჩარჩოები იყო ჩასმული.

დერეფნებს ცალფერდა სახურავი ჰქონდათ და წითლად შეღებილი დიდი ზომის კრამიტით იყო დახურული. კრამიტი ორგვარია — ბრტყელი, გვერდებაკეცილი და ღარისებრი, ანტიკური ხანის საქართველოსათვის ჩვეულებრივი ტიპისა.

ტაძრის გვერდზე პირველივე შესვლისას თვალში საცემია მისი საოცარი თანაზომიერება და სიმეტრიულობა. ყოველი დეტალი სანტიმეტრებამდე სიზუსტით მეორდება გრძივი ღერძის ორივე მხარეს. ერთადერთი გამონაკლისია მთავარი კარის ასი-



დედოფლის მინდორი. ტაძრის ჩრდილოეთის
დერეფანი



დედოფლის მინდორი. Северный
коридор храма



დედოფლის მინდორი. ტაძრის ჩრდილოეთის
სათავსოს სვეტისთავი

დედოფლის მინდორი. Каменная
капитель из северного помеще-
ния храма



მეტრიულობა, მაგრამ ამას თავისი ახსნა გააჩნია: საკურთხეველი, ტაძრის წინადათაწინდა არ შეიძლება გამოჩენილიყო გარედან, რაც გარდუვალი იქნებოდა კარი რომ მთავარ ღერძზე გაეჭრა. ამ გარემოებას ეძებნება ანალოგიები ძველ აღმოსავლეთში — აქემენიდური და ელინისტური ხანის ტაძრებში. სუზის ტაძარში პორტიკიდან შესასვლელი კარი ყრუ კედელს უყურებს, პერსეპოლისში პორტიკი მთლიანად გვერდზეა გაწეული, პატრას სასახლის ტაძარში კი გარშემოსავლელში შესასვლელი კარია ღერძიდან გადაწეული. ასე რომ სუზაში, პერსეპოლისში, დედოფლის მინდორზე და პატრასში (ტაძრებს ვასახელებ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით) ერთი და იგივე ამოცანის გადაწყვეტის ოთხი განსხვავებული ხერხია მოძებნილი.

გეგმის განზომილებათა განხილვა ერთ საყურადღებო გარემოებასაც აჩენს. ირკვევა, რომ ტაძრის მშენებელი იყენებდა ღვთაებრივ ანუ ოქროს კვეთის პრინციპს. ოქროს კვეთის მართკუთხედშია მოქცეული, როგორც მთლიანად სატაძრო შენობა, ისე საკუთრივ ტაძარიც (ცელა-პორტიკი), რომელიც თავისთავად კვადრატად და ოქროს კვეთის მართკუთხედად იყოფა. ასეთივე მართკუთხედიან ლოჯიაც. ოქროს კვეთაშია გადაწყვეტილი კაპიტლებიც. დინამიკური პროპორციის გამოყენების ფაქტი დედოფლის მინდორზე აღმოჩენილ ტაძრის ხუროთმოძღვრებაში ნეტყველებს იმაზე, რომ ძველი საქართველო მჭიდროდ იყო დაკავშირებული ანტიკური კულტურის მოწინავე ქვეყნებთან.

ტაძრის გეგმას, სამშენებლო ხერხებს და ხუროთმოძღვრულ დეტალებს, როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლიობაში მოგპოვება უამრავი ანალოგია ახლო აღმოსავლეთსა და შუა აზიაში.


უპირველეს ყოვლისა გეგმა. ესაა ტიპური აღმოსავლური ტაძრის გეგმა — ცენტრალური დარბაზის კვადრატი და „გარსშემოსაველი“. ასეთი ტაძრები გვხვდება სპარსეთში, შუა აზიაში, ინდოეთში, მესოპოტამიაში, სირია-პალესტინაში...⁴

სვეტებიანი დარბაზი — მთავარი არქიტექტურული თემაა აღმოსავლეთში ურარტული ხანიდან მოყოლებული. აქემენიდურ ხუროთმოძღვრებაში მიეცა საბოლოოდ ჩანოყალიბებული სახე სვეტებიანი დარბაზს — აბადანას, და მიუხედავად ელინიზმის ძლიერი ნაკადისა, შემორჩა პართულ ხანამდე (პერსეპოლისის და ნაბატეველთა ტაძრები), როდესაც საკუთრივ სპარსეთში სვეტებიანი დარბაზი შეცვალა ქვის კამარიანმა აივანმა.⁵

განსაკუთრებულ მსგავსებას იჩენს ჩვენი ტაძარი სუზას აქემენიდური ხანის (ძვ. წ. IV ს) ცეცხლის ტაძართან (გეგმის მკაცრი სიმეტრიულობა, სვეტებიანი ღია პორტიკი, ოთხსვეტიანი ცელა ცენტრალური საკურთხეველით, სამშრივი გარსშემოსაველი, თუმცა ეს უკანასკნელი დედოფლის მინდორზე სამ დამოუკიდებელ ნაწილადაა გაყოფილი).

ჩვენი ტაძრისაგან განსხვავებით სუზის ტაძარში პორტიკსა და ცელას შორის პრონაოსის მაგვარი სათავსოა მოქცეული, ხოლო პორტიკის ორივე მხარეს გარშემოსავლელთან დაკავშირებული ოთხკუთხა ოთახებია.

გეგმით სუზის ტაძარს ჩვენსაზე უფრო მეტად დაშორებულია პერსეპოლისის პლათფორმის ძირას სელევიდურ ხანაში (ძვ. წ. III ს.) აგებული ცეცხლის ტაძარი, რომელსაც, მართალია შემორჩა ოთხსვეტიანი ცელა, მაგრამ საკურთხეველი უკანა კედელთან აქვს მიწეული. გარსშემოსაველი კი ოთხ, ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელ დერეფნად იქცა, დარღვეულია გეგმის სიმეტრიულობაც, აღარ არის ღია პორტიკი. რიგი ნიშნებით ჩვენს ტაძართან მსგავსებას იჩენს ნაბატეველთა



1. ცცხლის ტაძარი, სუზა, აქემენიდური ხანა (ფ. წ. IV ს.)
 2. ცცხლის ტაძარი, პერსეპოლისი, სელევკიდური ხანა (ფ. წ. III ს.)
 3. წარმართული ტაძარი, დეჰლოლის მონღოლი (ფ. წ. I ს.)
 4. შუის კულტის ტაძარი სხსხუტესთან, პატრა (ახ. წ. II ს.)
 5. ცცხლის ტაძარი სურხ-კოტალი, ავღანეთი (ახ. წ. I-II სს.)
 6. ნაბატეისკო ტაძარი, სირია (I ა. წ. I ს.)

Храм огня, Сузы, Ахеменидская эпоха (III в. до н. э.)
 Храм огня, Персеполь, Селевкидская эпоха (III в. до н. э.)
 Языческий храм, Деодоллис мнвидори
 Храм солища у дворян, Хатра (II в.)
 Храм огня Сурх-котала, Афганистан (I—II вв.)
 Набатейский храм, Сирия (I в. до н. э. — I в.)



ტაძრები (სირია, ძვ. წ. I-ახ. წ. I სს.) - უფრო დამორბეულია ავღანეთის ~~და ქვეყნის~~ ტამისის (პატრა, აშური, ურუკი, დურა-ვეროპოსი და სხვ.) ტაძრები, რომლებიც წყველთაღრიცხვის პირველი საუკუნეებით თარიღდება.

თავისი აბსოლუტური ზომებითაც დედოფლის მინდვრის ტაძარი, არა თუ ჩამორჩება წინა აზიურ ნიმუშებს, არამედ შემორჩენილთაგან ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიდ სატაძრო ნაგებობად უნდა ჩაითვალოს.

მშენებლობის ტექნიკაც, უპირველეს ყოვლისა, ალიზის გამოყენება და ხის სვეტებზე დაყრდნობილი ბანური გადახურვა, ტაძრებში აღმოსავლეთისათვის (მესოპოტამია, ირანი, შუა აზია) რომლის ხუროთმოძღვრება არსებითად ალიზის ხუროთმოძღვრებაა. ეძებნება ანალოგიები ცალკეულ დეტალებსაც მაგალითად, თიხით შეღესილი ხის სვეტები ჰქონდა პერსეპოლისში ე. წ. საგანძურის დარბაზს (ძვ. წ. V ს.), ხოლო თავისუფლად მდგარ ოთხ სვეტზე დაყრდნობილი გვირგვინი ჰქონია კვადრატულ დარბაზს პართულ ნისაში (ძვ. წ. III-II სს.)

ამავე დროს ჩვენს ტაძარს მთელი რიგი თავისებურებანიც გააჩნია. ზოგიერთ მათგანზე ზემოთაც გვქონდა საუბარი, აღვნიშნავთ კიდევ ერთ ნიშანს, რომელიც დედოფლის მინდვრის ტაძარს განასხვავებს ჩემთვის ცნობილი ყველა ძველ აღმოსავლურ ნა სატაძრო შენობისაგან. ესაა ჩრდილოეთის ლოჯია — ღია სათავსო, რომელიც იზოლირებულია საკუთრივ ტაძრისაგან და ცელას საწინააღმდეგო მხრიდან აქვს დანოჟიანი შესასვლელი. მაგრამ სწორედ ეს თავისებურება, რომელიც განასხვავებს ჩვენს ტაძარს აღმოსავლური ტაძრებისაგან, ტაძრობრივ მსგავსებას იქნენ ძველი ბერძნული ტაძრების ოპისტოდომოსებთან — ესაა ნაოსისაგან (ცელა) იზოლირებული და დამოუკიდებელი შესასვლელის მქონე სათავსო, რომელიც ყოველთვის ნაოსის უკან, პორტიკისა ან პრონაოსის საწინააღმდეგო მხარესაა მიქცეული და რომელიც ბერძნული ტაძრის თითქმის აუცილებელი ელემენტია. მიუხედავად იმისა, რომ არქიტექტურულ ფორმებში თითქმის არავითარი მსგავსება არა ჩანს, ცელას მიმართ ანალოგიური განლაგება გვაფიქრებინებს, რომ ფუნქციურადაც ჩვენი ტაძრის ლოჯია შესაძლებელია ბერძნული ოპისტოდომოსის ანალოგიური ყოფილიყო. თუ კი ეს ასე იქნებოდა, მაშინ, ალბათ, მოგვიხდებოდა საუბარი ბერძნულ-ელინისტური გავლენების ასახვის შესახებ დედოფლის მინდორზე აღმოჩენილ ტაძარში, რომელიც სხვა მხრივ მთლიანად აღმოსავლური სამყაროს საკუთრებად რჩება.

ზემოთ, როდესაც აღვნიშნავდით ჩვენი ტაძრის მსგავსებას ძველი და ელინისტური აღმოსავლეთის საკულტო ნაგებობებთან, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს აქ საქმე გვქონდეს ქართული კულტურისათვის უცხო სხეულთან, საქართველოს მიწაზე აშენებულ უცხოური ხუროთმოძღვრების ძეგლთან. სრულებითაც არა. ჩვენ ამით მხოლოდ იმის ხაზგასმა გვინდოდა, რომ თვითონ ძველი საქართველო შეადგენდა იმ დიდი კულტურული სამყაროს ორგანულ ნაწილს, რომელსაც ძველი აღმოსავლეთი ეწოდება.

კიდევ მეტი, არქეოლოგიური მონაცემებით დედოფლის მინდვრის ტაძარი წინასწარულად ძვ. წ. I საუკუნით თარიღდება და იგი თავის თანადროულ უცხოურ ნაგებობათაგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ ყველაზე უკეთ და შეურყვნელად შემონახა ძველ აღმოსავლური ტრადიციები (გეგმა, კაპიტელის ფორმა და ორნამენტის დეტალები და სხვ.)

ამისთანა მასშტაბების წარმართული ტაძრის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენის მეცნიერული მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება ძნელია.



საქმე ისაა რომ, აქამდე ჭეშმარიტებად ითვლებოდა, თითქოს ქრისტიანობამდე საქართველო არ იცნობდა სპეციალურ საკულტო ნაგებობებს, და რომ მათი შექმნის მნიშვნელობა ქართული არქიტექტურის წინაშე მხოლოდ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ დააყენა. ითვლებოდა, რომ წარმართული კულტები ანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქართველოში ორგანიზაციულად დაახლოებით იმ დონეზე იდგნენ, როგორც ეთნოგრაფიულ საქართველოს მთაში და ამდენად ტაძრებს არ იყენებდნენ.

როგორც ვხედავთ, ეს შეხედულება კორექტივს საჭიროებს. ასეთი ტაძარი თავისთავად გულისხმობს რთული საკულტო რიტუალისა და განვითარებული სატაძრო მეურნეობის არსებობას.

წარმართული ტაძარი დედოფლის მინდორზე კენტად მდგარი ნაგებობა არა ყოფილა. მის გარშემო არქეოლოგიური გათხრების გარეშე კი შეიმჩნევა ბევრი სხვა შენობის ნაშთი, გათხრები მხოლოდ იწყება. იწინაა, რომ მომავალი საველე სეზონები მოგვეცემენ საკმაო მასალას, რათა შევეძლოთ დარწმუნებით ვიმსჯელოთ სატაძრო მეურნეობის ორგანიზაციისა და საკულტო რიტუალის დეტალების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, თუ სახელდობრ რომელ ღვთაებას ეკუთვნოდა ტაძარი დედოფლის მინდორზე.

ამჟამად კი ამ საკითხების ირგვლივ მხოლოდ მეტ-ნაკლებად დასაბუთებული ვარაუდების გამოთქმა შეიძლება.

1. ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ. 1973, გვ. 374, 15.
2. ქართლის ცხოვრება, II, ბერი ევნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება თბ., 1959, გვ. 347, 7.
3. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 48.
4. В. Л. Воронина, Доисламские культовые сооружения Средней Азии, Советская археология, 2, 1960.
5. R. Ghirshman, Iran, Parthes et Sassanides, Callimard, 1962, გვ. 36.
Г. А. Кошелевко, Культура Парфии, Москва, 1966, гв. 116.

ბედენის ხის აკლდამის კონსტრუქცია


არქეოლოგ გერმანე გობეჯიშვილის მიერ გამოკვლეული „გადატრიალი გორის“ ყორღანი, თეთრი წყაროს რაიონის ბედენის ზეგანზე, განეკუთვნება ძვ. წ. III და II ათასწლეულთა მიჯნას და შეიცავს მიწაში მოთავსებულ ხის აკლდამას. მშენებლად შენახულმა ხის ნაწილებმა შესაძლებლობა მოგვცა საკმაოდ ზედმიწევნით აღგვედგინა აკლდამის კონსტრუქცია და მშენებლების მიერ ჩაფიქრებული ტექნიკური აზრი.

თავდაპირველად საჭირო იყო დაპირქვაებული მოკვეთილი პირამიდის მსგავსი ქვაბული ამოჭრათ გრუნტში (1), რომლის მცირე ფუძე 8X4,3 მ, ხოლო დიდი — 11X6 მ უნდა ყოფილიყო. ქვაბულის გვერდობით მიმართულების გრძივ ღერძზე მიწაში თავდაღმა ჩაბმული იყო ორი ბოძი (5), რომელთაგან ერთი უშუალოდ დასავლეთ კედელთან. მეორე კი აღმოსავლეთ კედლიდან 1,5 მ დაშორებით იყო მოთავსებული. სიმტკიცისათვის საჭირო იყო 20 სმ სიგანის ამონაჭრის გაკეთება, რამაც გამოიწვია ბოძების თავდაღმა დაყენება, 32 სმ დიამეტრის ძირში ამონაჭრების გაკეთება და თავსებების (6) ჩამაგრება. ეს, ხის კონსტრუქციის საზრიაინი გამოყენება საქართველოში პირველად ბედენის აკლდამაშია მიგნებული და ჩანს, რომ ბოძის თავდაღმა დასმა „დედაბოძის“ გვერდებისა და მრავალფეროვანი მხატვრული შემკობის საფუძველი გახდა ფეოდალურ საქართველოს გლეხის დარბაზების მშენებლობაში.

კონსტრუქციული კვანძების ასე განხორციელების შემდეგ ბოძები მიწაში ჩასვეს და ხის სოლებით ჩაამაგრეს (5), ხოლო თავსებების (6) ბოლოები პირდაპირ მიწის ზედაპირზე მოათავსეს. ქვაბულის ძირის მოსწორების შემდეგ დააგეს მორების ზღვე (2), მათ კედლებზე კი — სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან დაწოლილი ორი მორი (3) დაამაგრეს, რომელთა დიამეტრი 32 სმ აღწევდა, ზედაპირიდან 0,5 მ სიღრმეზე ჩაამაგრეს გრძივი მორები (4), რომელთა სიგრძე თუ მერიდიანული მიმართულებისა იყო 7, 5 მ. გვერდობით — 12 მ შეადგენდა. უფრო მეტი სიგრძისა იყო კეხის წვეილი (7), რომლის დიამეტრი 30 სმ და 35 სმ შეადგენდა; ეს ორი მორი ერთმანეთთან თავშეკვეთით იყო მოთავსებული. იატაკის ზღვეზე ლაფნისაგან მოწული ტილოფი (12) გადააფარეს, შესაძლებელია ზემოდანაც.

ამ სამუშაოთა შესრულების შემდეგ სამხრეთ გვერდიდან ჩაუშვეს ოთხთვალა საბრძოლო ეტლი (ა); შემდეგ მოათავსეს ხის ხელძარი (ბ); რომლითაც მიცვალეული გადააყავდათ. დაალაგეს ყოფის საგნები (ც); შავკრიალა კერამიკისა და ხის ჭურჭელი, ხის თევზადაკრული ფარი, ოქროს საკინძი, სარდიონის მძივი და გაურკვეველი დანიშნულების ხის საგანი. სპილენძის ნივთებიდან (ე) ყურადღებას იპყრობდა საჭრეთელი, საფხეკი და დისკოსებრი სამკაული. აღსანიშნავია ადამიანთა ჩონჩხების ნაშთებიც (დ).

ნივთების განლაგების შემდეგ უნდა შესდგომოდნენ აკლდამის კედლების განართვას რისთვისაც ჯერ ტილოფი (12) უნდა ჩამოფინათ გრძივზე (4), შემდეგ კი — მათზე მიეყრდნოთ დგარები (8), რომელნიც 3 მ სიგრძის და 12-20 სმ



ბედენის აკლდამა

Беденская гробница

დიამეტრის მორებს წარმოადგენდნენ. გრუნტსა (1) და დგარებს (8) შორის მოთავსებული სივრცე ივსებოდა ხის ნარჩენებით, ქვით და მიწით (9). კედლების გაშართვის შემდეგ ჭერის გადახურვა ხორციელდებოდა 3,6 მ სიგრძისა და 10-20 სმ დიამეტრის მორებით, რომლის საყრდენს შუაზე კეხის წყვილი (7) და გვერდებზე გრუნტი (1) წარმოადგენდა. ბოლოს ზემოდან ეყრებოდა ხის ნარჩენები, ქვა და მიწა (11).

ყურადღებას იპყრობს ხის მასალის უხვი გამოყენება და მისი დამუშავება: მორების ნაწილის შვეული მთლიანი ჩამოჭრა (თითქოს ზერხით იყოს გადაჭრილი), აგრეთვე „ნაცხვირების“ და ყელის ჩაკვეთა ნალოების ღვედებით ან წნელებით შესაკრავად და საზიდად. აღსანიშნავია მიწის სამუშაოების დიდი მოცულობა, რომელიც 11.000 კუბ. მ აღემატება. თანდართული ნახაზი წარმოადგენს აღდგენის ცდას, სადაც მოპოვებული ნივთების მხოლოდ ნაწილია წარმოდგენილი.



ბედენის აკლდამა

Беденская гробница

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ აკლდამისათვის გამოყენებული ხე-ტყე დაახლოებით 40 კუბ. მეტრს აღწევდა და მთელი ეს მასალა ტყიდან ნალოებით ე. ი. თრევით მოქონდათ აკლდამის ადგილამდე. გადაზიდვის ეს მანძილი ზევნის განვრცობის გათვალისწინებით ერთი-ორი კილომეტრი უნდა ყოფილიყო. სამშენებლო სამუშაოების ხასიათი ძალიან ჰგავდა მშენებლობის შესაკრები მეთოდით წარმოებას და ამიტომ ზემომოყვანილი სამუშაოების თანმიმდევრობა უფრო სხვაგვარიც შეიძლება ყოფილიყო. მაგალითად, შეეძლოთ ყველა კედელი ერთდროულად კი არ გაემართათ, არამედ ჯერ ჩრდილოეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლები ამოყვანათ, მერე აკლდამაში ჩაეშვათ ეტლი და სხვა ინვენტარი და მხოლოდ ამის შემდეგ გაემართათ სამხრეთის კედელი. ერთი რამ ცხადია, რომ გრუნტში ქვაბულის ამოჭრის პარალელურად წარმოებდა ხე-ტყის მოპოვება-დამუშავება და მიწის მოჭრა-დახორაგება. თვით აკლდამა ყორღანის კონუსის ცენტრში კი არ იყო მოთავსებული, არამედ სამხრეთის კედელთან, რის გამოც აკლდამის ქვაბულის ამოჭრასთან ერთად შესაძლებელი იყო შეუფერხებლად მიწის დაყრა ყორღანის უშველებელი კონუსის შესაქმნელად.

რაც შეეხება ხე-ტყის მასალის მოჭრას, იგი ითვალისწინებდა უბრალო მორები-სა და საგანგებო დანიშნულების მსხვილი და გრძელი ხეების დამზადებასაც, მაგალითად, დედაბოძებისთვის, თავბეებისთვის, წოლქელებისთვის. თავდაპირველად დედაბოძებისთვის უნდა მოეჭრათ და გადაეტანათ აკლდამასთან ორი — 32, 35 სმ და



3,5 მ სიგრძის დიამეტრის მორი, რომლებშიაც 20 სმ სიგანის ამონაჭრები უნდა გაეკეთებინათ; შემდეგ მსხვილი და 8 მ სიგრძის ორი თავზე უნდა შეემზადებინათ და მათი შუაწელები დედაბოძების ამონაჭრებში ჩაემაგრებინათ. ამის გარდა უნდა დაემზადებინათ 6,5 მ სიგრძისა და 32 სმ დიამეტრის ორი წოლძელი და 7,5 და 12 მ სიგრძის ორ-ორი გრძივების მორები, აგრეთვე კეხისთვის წყვილი მორი 13 მ სიგრძისა და 35 სმ დიამეტრისა, ცალკე უნდა ემზადებინათ 16-22 სმ დიამეტრის 3 და 3,8 მ სიგრძის დაახლოებით 300 ცალი მორი ზღვეს, კედლების და ჭერის გასამართავად.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ჭილოფი, რომლითაც დაფარული იყო ზღვე, კედლები და ჭერი. მისი საერთო ფართობი 120 კვმ აღწევდა. ჭილოფი ლაფნის ვიწრო ზოლებისაგან იყო დაწნული (ყოვლად შესაძლებელია, რომ ლაფანი თელისაგან იყო დამზადებული). აშკარად ჩანს რომ თემმა თავისი ბელადის დაკრძალვას უზარმაზარი შრომა მოახმარა, რომელშიც წილი ედო როგორც მამაკაცის, ისე დედაკაცის ხელსაც. საგულისხმოა ისიც, რომ მთელ ამ ამბავს შეეწირა ორი ადამიანის სიცოცხლე.

პარგი თაონსობა

(ექსპედიცია წითელწყაროს რაიონში)

ცნობილია, რომ წითელწყაროს რაიონის კულტურის ძეგლები ნაკლებად იყო შესწავლილი; ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ კულტურის სამინისტროს მიერ გამოცემული „საქ. სსრ კულტურის ძეგლების სიაში“ მხოლოდ სამი ძეგლი იყო შეტანილი: ოზაანის ამაღლება, სოფ. ცლუნკაანის ეკლესია „სამება“ და ზორნაბუჯის ციხე. ამიტომ სწორი და დროული იყო საქ. სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული ძეგლთა დაცვის სამეცნიერო მეთოდსაბჭოს გადაწყვეტილება ამ რაიონში ექსპედიციის მოწყობის შესახებ.

1973 წლის 10 მაისს ექსპედიცია გავიდა თბილისიდან შემდეგი შემადგენლობით: დავით გამისაშვილი — მეთოდსაბჭოს თავმჯდომარე (ექსპედიციის ხელმძღვანელი — მეთოდ საბჭოს თანამშრომლები, ისტორიკოსები ბაადურ კუბრეიშვილი, მურთაზ მეს-სი, ლეილა მჭედლიშვილი; ხელოვნებათმცოდნე ლაურა ალაიძე. არქიტექტორი ლა-ლი მენტეშაშვილი და ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის საქ. ისტორიისა და კულ-ტურის ძეგლთა აღწერილობის რედაქციის უფროსი სამეცნიერო რედაქტორი ზაირა სტურუა.

ექსპედიციის მიზანი იყო ამ რაიონში არსებული კულტურის ძეგლების სრული აღწერა, მეცნიერული ინვენტარიზაცია, ფოტოფიქსაცია, ძეგლთა მდგომარეობის გაე-ნობა და სიის დაზუსტება ადგილებზე.

ექსპედიციამ შოიარა სოფლები — არბოშიკი, დილიჩა, მაჩხაანი, მირზაანი, ცლუნკაანი, გამარჯვება, ჯაფარიძე, ზემო ქედი, ქვემო ქედი და წითელწყარო. გარდა ამისა ექსპედიციამ დაზვერა ივრის მარცხენა ნაპირი და შირაქის ველი.

სოფელი არბოშიკი, ბოსტანთ ციხე, მიშმიშის ხეობის გზაზე ეკლესია „დამ-ბადებელი“, ეკლესიები „დიდი კვირიკე“, „მცირე კვირიკე“, ხომხელის ხეობის თავზე ეკლესია „ხომხელის წმიდა გიორგი“.

სოფელი დილიჩა, დილიჩის ეკლესია.

სოფელი გამარჯვება, „ყოფილი უზუნდარა“, ეკლესია „ზღმურდლი“.

სოფელი მირზაანი, ეკლესიები: „კვირაცხოველი“, „ალავერდი“, „ყოვ-ლადწმიდა“, „ნინოწმიდა“, და ეკლესია „კავთისა“.

სოფელი ზემო მაჩხაანი, ეკლესია „წმიდა გიორგი“, „არმათიომი“, მთავარანგელოზის ეკლესია, „ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი“, იაკობიანთ უბანში — „ეკლესია ყველაწმიდა“ „ბენანთ სათვალთვალ კოშკი“.

ზემო მაჩხაანის მინდვრები: „ქვედაწყალი“, ეკლესია „პატარა ელია“. სოფელი ცლუნკაანი, ეკლესია „ყველაწმიდა“, ორსაყდარი „წმიდა მარიამი“, „წმიდა კვი-რიკე“.

სოფელი ოზაანი, IX-X საუკუნეების გუმბათიანი ეკლესია „ამაღლება“, XII-XIII საუკუნეების მოხატულობით. არის ფრესკული წარწერა და კანკელი.



„ხუციანთ სამება“ — არის მოხატულობის ნაშთები; „წმიდა სტეფანეს ოზაანის ყველაწმიდა“ არის კანკელი; ეკლესია „უსენათი“ (დანგრეულია), ოზაანის მიდამოებში „ჭრელი ეკლესია“.

წითელწყარო, „წმიდა ელიას ეკლესია“ და „ხორნაბუჯის ციხე“.

სოფელი ჯაფარიძე, „სერაფიმას“ ეკლესია (გუმბათიანი)

ბევრი ძველი კარგადაა შემონახული, დაცულია მათი ზონების ხელშეუხებლობა. სოფელ ოზაანში „ყველაწმიდას“ ეკლესიას ახალი კარები აქვს, ზემო მარჩხაანში „მთავარანგელოზი“ ახალი კრამიტითაა გადახურული. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ საქმის ენთუზიასტს, ძველების ქომაგს, ამ რაიონის მკვიდრს, ვიქტორ ბაცაცაშვილს.

მართალია, ზოგიერთი ძველი არაკვალიფიცირადაა შეკეთებული, ეტყობა მხოლოდ მოყვარულის ხელი, მაგრამ თვითონ ფაქტი, რომ ეს კაცი ასეთ დიდ სიყვარულს იჩენს ჩვენი წინაპრების ნახელავისადმი, სათანადო დაფასების ღირსია.

საჭირო იქნება სპეციალისტის თვალთ, იგივე მასალით შეკეთებული ამ ძველების ნახვა და შესაბამისი შესწორება. მას ნამდვილად გვერდში უნდა ამოუდგინოს სპეციალისტები და მაშინ ძველებსაც ეშველება.

უნდა ითქვას, რომ ამ ექსპედიციით „ყინული უკვე დაიძრა“ და ძველთა მოვლისა და დაცვის საქმე ამ რაიონში მაღალ დონეზე დადგება. დღეს, მით უფრო შეგვიძლია ეს ვთქვათ, რადგან ამ საქმისადმი დიდი ინტერესს იჩენენ რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები, კერძოდ, რაიკომის პირველი მდივანი გურამ ივანეს ძე ლოლაძე, რომლის დახმარებით (ექსპედიციის ტრანსპორტირება მიუვალ ადგილებში და სხვა სახის დახმარება) ექსპედიციამ შეძლო მდიდარი და საინტერესო მასალის შეგროვება.

ექსპედიციის წარმატებით ჩატარებას ხელი შეუწყო აგრეთვე რაიონის მთელი რიგი მუშაკების გულისხმიერებამ, საქმის ცოდნამ და სიყვარულმა. ესენი არიან: თენგიზ იაკობაშვილი, იოსებ მენთეშაშვილი, ვიქტორ ბაცაცაშვილი, ალექსი პაპინაშვილი, დავით სინჯიკაშვილი, მურთაზ ნატროშვილი, იროდიონ ბოსტოლანაშვილი. მათმა მეგზურობამ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ექსპედიციას.

ამ კარგის გვერდით არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბევრი ძველი კოლმეურნეობას უნებართვოდ აქვს საწყობად გამოყენებული. მაგ., მირზაანის „კვირაცხოველი“ — ამოლესილია სარკმლები, სამხრეთის კედლებზე მიშენებულია საშუალო ზომის კაპიტალური სათავსო; სოფ. მირზაანი — „წმიდა სტეფანე“ დაზიანებულია. დას. კედელზე მიმაგრებულია სახანძრო დაცვის დაფა, აღმოსავლეთიდან სარკმელი ამოვსებულია, კედელი გამოზრეულია და გაკეთებულია კარები. ამავე კედლის მარჯვენა მხარეს მიშენებულია აგურის შენობა, ჩრდილოეთით კი ფიცრული საკუჭნაო, აფსიდა მთლიანად დაზიანებულია, გაკეთებულია ყველის შესანახი ბეტონის ორ-აუზი. ანალოგიურ მდგომარეობაშია სოფ. ზემო მარჩხაანში ეკლესია „არმათიონი“. ამავე სოფლის ეკლესია „წმ. გიორგი“ გამოყენებულია საწყობად. სარკმლები ამოლესილია; ასევე საწყობადაა გამოყენებული „ყველაწმიდას“ ეკლესია.

ექსპედიციის წევრებმა ადგილზე ნახეს მთელი რიგი არქეოლოგიური ძეგლები: წითელწყაროდან ათი-თორმეტი კილომეტრის მანძილზე, თავწყაროში ანტიკური ხანის „ტახტის ფერდა“, ქ. წითელწყაროში „დინოზავრის ანაბეჭდები“, იქვე ინტერნატის მაღლა საქარავნო გზის ნაკვალევი, რომელიც ნიკორციხეზე გადიოდა; ივრის მარცხენა მხარეზე — ნახარელების ტერიტორიაზე ყორღანული სამარხები, ში-



რაქის ველზე — ნასახლარები, „სადიანთ სერი“ და სხვ. სულ 30 არქეოლოგიური ძეგლი.

გარდა ამ ძეგლებისა აღწუსულ იქნა ისტორიული ადგილები: „არხილოსკალო“ — გადმოცემით აქ შაჰ-აბასის შემოსევების დროს სპარსელებმა კალოზე ბავშვები და ქალები გალევს.

ნ. ნეჩვოლოდიევის მამული — წითელწყაროში, სადაც თავს იყრიდნენ რუსი დეკაბრისტები და პოლონეთის 1830 წლის აჯანყების მონაწილენი. ამ სახლში ნამყოფია ლერმონტოვი. ბევრი ისტორიული ფაქტია დაკავშირებული ამ სახლთან. სახლის ნაწილი დანგრეულია. სასურველია მისი აღდგენა პირვანდელი სახით და შემორჩენილი ფოტოების მიხედვით შეიქმნას ხალხთა მეგობრობის მუზეუმი.

წყაროები: დედოფლის წყარო, ცრემლის წყარო (თამარის წყარო), თანარის წყარო სოფ. მიშმიში — წანწყარა წყარო, რომელიც დედათა მონასტერს ამარაგებდა წყლით.

წიქვილი — გედიქის ხევისა და ტიბაანს შუა, წითელწყაროსა და სიღნაღის საზღვარზე — აღდგენილია ძველი ჩარხის წიქვილი, გაკეთებულია საექსპოზიციოდ. მსურველები ფქვავენ.

ამ რაიონში ბევრია შინმოუსვლელთა ობელისკი. გზაზე, ს. გამარჯვებაში, გაშენებულია პარკი, სადაც შინმოუსვლელთა სახელზე კედრის ნარგავებია. ეს თავისებური სახის კომპლექსია წყაროთი და მარმარილოს მემორიალური დაფით. შიგნით კი დიდი ობელისკია აღმართული.

პარკის ტერიტორიაზევეა ადმინისტრაციული შენობა, სადაც ცალკე ოთახებია გამოფენისათვის, დასასვენებლად, სასადილოსათვის.

შინმოუსვლელთა სტენდს ამშვენებს ილიას სიტყვები: „დაე, თუნდ მოგვკვდეს, არ მეშინია, მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი ნახონ მათ, ვინცა ჩემს შემდეგ ვლიან, თქვან, აღასრულა მან თვისი ვალი“.

შინმოუსვლელთა ობელისკებია აგრეთვე სოფლებში არბოშიკში, ზემო მაჩხაანში, ზემო და ქვემო ქედში.

ექსპედიციამ ჩაიწერა ბევრი თქმულება და გადმოცემა ძეგლებზე. ამ კარგად დაწყებულ თაოსნობას კულტურის სამინისტროსთან არსებული ძეგლთა დაცვის მეთოდსაბჭო კვლავაც გააგრძელებს, რაც ძეგლთა დაცვის საქმეში უდაოდ მომავალი წარმატებების საწინდარი იქნება.

ზღუდერი

1973 წელს გაზ. „სახალხო განათლების“ 12 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი — „დავიცვათ, გავუფრთხილდეთ!“ წერილში საუბარია მეტად საყურადღებო და დამაფიქრებელ საკითხზე და ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია „ძველის მეგობრის“ მკითხველებსაც გაეაცნოთ აღნიშნული მასალა. დავუმატებთ მხოლოდ ფოტო-სურათებს, რომლებიც გაზეთში არ დაბეჭდილა (გადაიღო ნ. ჩუბინაშვილმა).

ქართული კულტურის ძეგლების დაცვასა და მოვლა-პატრონობას დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ასეულობით სახელმწიფო მცველი ჰყავს ამ დიდ ეროვნულ საგანძურს, მაგრამ ძეგლთა სიმრავლის გამო (ხუთი ათასამდე ძეგლია აღრიცხული) ყველა მათგანისათვის სპეციალური მცველის მიჩენა პრაქტიკულად შეუძლებელია და არც არის გამართლებული. თითოეული ჩვენგანი ვალდებულია დავიცვათ ის, რაც ხალხს საუკუნეთა ქარცეცხლში გამოუტარებია.



ზღუდერი. მცირე ეკლესია სამხრეთის მხრიდან Згудери. Малая церковь с юга



ზღუდერი. მცირე ეკლესიის სამხრეთის ფასადი ზგუდერი. Южный фасад малой церкви

საკუთარი მემკვიდრეობისადმი პატივისცემა და ინტერესი უაღრესად ქმედითი ფაქტორია მომავალი თაობის მოქალაქეობრივი სახის ჩამოყალიბებისათვის, მათი პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის. ვინაეც წარსულის დაფასება შეუძლია, ის უკეთ შეიცნობს დღევანდლობასა და მომავალს. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ სამწუხაროდ, ბევრს ჯერ კიდევ არა აქვს შეგნებული ეს ელემენტარული ჭეშმარიტება. ცნობილია ისეთი ფაქტებიც, როდესაც მოსწავლეები აზიანებენ ძეგლებს, ხოლო მათი აღმზრდელები სრულიად გაუმართლებელ გულგრილობას იჩენენ ამ საქმისადმი. აქ ერთ ასეთ ფაქტზე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ.

1973 წლის სექტემბერში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ მდ. ძამას ხეობის (ქარელის რაიონი) კულტურის ძეგლები მოიხილა. აქ ყოველ სოფელში თუ ნასოფლარში ეკლესია, ციხე, კოშკი დგას. აქ არის ზღუდერი, ძამას ციხე, ყინცვისი. უფრო მეტია სულ უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ძეგლები. უმეტესობას აშკარად აკლია მზრუნველი ხელი, მაგრამ განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში ზღუდრის ეკლესიები დაგვხვდა.

სოფ. ზღუდრის ცენტრში, საშუალო სკოლის ეზოში, ორი ეკლესია დგას. მართალია, ამ ძეგლებმა ჩვენამდე ძლიერ დაზიანებული სახით მოაღწია, მაგრამ მათი თავდაპირველი სახით წარმოდგენა თავისუფლად ხერხდება. კარგა ხანია ისინი მკვლევართა ყურადღებას იქცევენ.



ზღუდერი. მცირე ეკლესია ჩრდ. მხრიდან **Згудери. Малая церковь с севера**

მცირე ეკლესია ერთნავიან ნაგებობას წარმოადგენს. იგი VI საუკუნით თარიღდება. ამავე ხანას განეკუთვნება მეორე ძეგლის — მოზრდილი ზომის სამეკლესიანი ზაზილიკის თავდაპირველი სამშენებლო ფენა, რომელიც შემდეგ ორჯერ გადაუკეთებიათ (X—XI და XIII—XIV საუკუნეებში). ძეგლებს თავიანთი მაღალმხატვრული ღირსებებით — ფაქიზად დამუშავებული კვადრების წყობით, დახვეწილი პროპორციებით, შესანიშნავი ორნამენტული მორთულობით თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში.

სწორედ ამიტომ ზღუდრის ეკლესიები სახელმწიფო აღრიცხვაზე აყვანილ ძეგლთა სიაშია შეტანილი, თუმცა სპეციალური მცველი არა ჰყავს მიჩენილი. განსაზღვრულია ე. წ. „დაცვის ზონა“, რომლის ფარგლებში ყოველგვარი მშენებლობა აკრძალულია. ყოველივე ეს იცის სოფელმა და უნდა იცოდეს რაიონის სათანადო ორგანიზაციებმაც, მაგრამ ამას არავენ ანგარიშს არ უწევს. ფაქტიურად მდგომარეობა ასეთია: მცირე ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადთან, მისგან სულ 1,50 სმ მანძილზე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლია აღმართული. ნაგებობებს შორის დარჩენილი სივრცე მაცხოვრებელს სათავსოდ უქცევია, შიგ სამეურნეო ნივთები დაულაგებია, ხოლო ეკლესიის აღმოსავლეთი ფანჯრის ჭრილში თაროები გაუკეთებია. ამითაც არ დაკმაყოფილებულა და სამხრეთის კედელზე კიდევ ერთი ნაგებობა მიუშენებია, თვით ეკლესია კი საკუთარ საწყობად აქვს დაჩემებული. ეკლესიის დასავლეთის ფასადზე მიდგმულია სკოლის



სასწავლო საბელოსნოს ხის შენობა. საბელოსნო და ეკლესია ერთი საერთო საბურთა-
 ვით არის გადახურული, ისე, რომ ამ უშნო და ულაზათო მინაშენებით შემოვარდნილი
 ძეგლი თითქმის აღარ ჩანს.

მახლობლად, რამდენიმე წლის წინ, კოშკის ნანგრევები იყო. იგი დღეს საერ-
 თოდ აღარ არსებობს — მთლიანად მიწასთან არის გასწორებული.

არც დიდი ეკლესიაა სახარბიელო მდგომარეობაში. ისედაც დაქცეულ და კედ-
 ლებშემოდარცულ ნაგებობას მცენარეულობა მორევია. ძეგლი სავსეა ნაგვით. ზედ სკო-
 ლის დამტვრეული მერხებია მიყრილი. სკოლის დირექტორი ჯ. სანებლიძე აცხადებს,
 რომ მას არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრება ძეგლების არადანიშნულებისამებრ
 გამოყენების გამო, რომ მინაშენები მისი პირადი ინიციატივით არ აუგიათ და, თუ
 „დაავალბენ“ უსათუოდ გაიტანს ნაგავს დიდი ეკლესიიდან. პატივცემულ დირექტორს
 უნდა შევახსენოთ, რომ ყველა ჩვენგანს, გარდა იურიდიული ვალდებულებებისა, მო-
 რალური და მოქალაქეობრივი მოვალეობა გვაკისრია, რომლის უგულვებელყოფა დიდი
 დანაშაულია საზოგადოების წინაშე.

ვიმეორებთ: ძეგლები სკოლის ეზოში დგას; იმ კეთილმოწყობილი შენობის წინ,
 სადაც ბავშვებს პროგრამით გათვალისწინებულ საგნებთან ერთად, ადამიანის ნაამაგა-
 რისადმი კრძალვასა და პატივისცემასაც უნდა ასწავლიდნენ.



გამოჩენილი მუხრანის ხსოვნის მიეძღვნა

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც წავიდა ჩვენგან უბაღლო მემატიანე მრავალსაუცუროვანი ქართული კულტურის, დაუცხრომელი მკვლევარი და შექმნილი მეცნიერი გიორგი ჩუბინაშვილი. ამ დიდი მამულიშვილის ხსოვნას მიეძღვნა სამეცნიერო სესია, რომელიც გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა გამართა 1974 წლის 13 და 14 მარტს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტუმართა დარბაზში.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ვახტანგ ბერიძემ, რომელმაც მოკლედ დაახასიათა გიორგი ჩუბინაშვილის დიდი ქართული ხელოვნების შესწავლისა და განვითარების საქმეში, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქართული ხელოვნებათმეცნიერება, რომლისაც გ. ჩუბინაშვილმა ჩაუყარა საფუძველი, დღეს არა მარტო არსებობს. არამედ მძლავრი, სამეცნიერო სკოლაა, რომელიც სწრაფად ვითარდება. აკადემიოს გ. ჩუბინაშვილის მიერ აღზრდილი კვალიფიციური სპეციალისტები წარმატებით აწარმოებენ კვლევით-ძიებას ქართული ხელოვნების ისტორიის სხვადასხვა დარგში.

სესიაზე მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები:

1. თ. ვირსალაძე. ქართული სახვითი ხელოვნების შესწავლა გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში.

2. კ. შარაბელი. უძველესი ქართული ლითონის პლასტიკის ზოგიერთი საკითხი.

3. ნ. აღადაშვილი. ადრეფეოდალური ხანის ქართული სველბუთების ზოგიერთი საკითხი.

4. ს. ბარნაველი შუა საუკუნეების ქართული რელიეფების ერთი ჯგუფი.

5. რ. უენია X-XI საუკუნეების რამდენიმე ქედური ხატვის აღდგენის საკითხისათვის.

6. ვ. ცინცაძე. ძველთა მეცნიერული დაკვა საქართველოში და ქართული ხელოვნებათმცოდნეობა.

7. ი. გომელაური. საზოგადოებრივი დანიშნულების შენობათა ინტერიერის გადმოწვევის საკითხისათვის თანამედროვე ქართულ არქიტექტურაში.

8. ლ. რჩეველიშვილი. შუა საუკუნეების არქიტექტურულ ძეგლთა ერთი ჯგუფი აფხაზეთში.

9. ე. პრივალოვა. ტიმოთესუნის ტაძრის ახლად გახსნილი მოხატულობა.

10. ნ. ჩუბინაშვილი. ჩაახუთის ადრე შუა საუკუნეების კამაროვანი არქიტექტურის ძეგლები.

მოხსენებების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს აკად. ა. ჩიქობავამ, აკად. შ. ამირანაშვილმა, პროფ. გ. გოზალიშვილმა, პროფ. ვ. ზაქარაიამ და სხვ., რომლებმაც აღნიშნეს მოხსენებების მაღალი მეცნიერული დონე, რაც ქართული ხელოვნებათმცოდნეობის უდავო წინსვლის მარწმუნებელია.

საბოლოო სიტყვით გამოვიდა პროფ. ვ. ბუჩიძე, რომელმაც შეაქამა სესიის მუშაობა.

ნუგზარ ანდლუღაძე



СЕРИЯ «ПАМЯТНИКИ МАТЕРИАЛЬНОЙ КУЛЬТУРЫ»

А Н Н О Т А Ц И И:

ИР. ЗАКАРНАШВИЛИ

**С УСПЕХАМИ ВСТРЕТИМ V СЪЕЗД
ОБЩЕСТВА ОХРАНЫ
ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ ГРУЗИИ**

В статье автор касается вопроса проведения отчетных выборов в областных, городских и районных первичных организациях, и отмечает, что, Общество охраны памятников культуры Грузии в текущем 1974 году празднует свое 15-летие. Он также указывает на тот факт, что общество — это было первой ласточкой в Советском Союзе.

За время своего существования Общество охраны памятников Грузии выполнило значительную работу по выявлению, охране, восстановлению, и изучению памятников материальной культуры и их пропаганде.

В статье говорится о том, что вышеуказанное мероприятие проводится в четвертом определяющем году пятилетки и совпадает с великим народным делом — борьбой за успешное выполнение намеченных планов.

Трудящиеся нашей Республики отвечают все новыми трудовыми успехами на Обращение Центрального Комитета Коммунистической партии, к

партии, советскому народу. Это обстоятельство обязывает Общество охраны памятников культуры Грузии принять активное участие в воспитании нашей молодежи в патриотическом и интернациональном духе. С этой целью Общество должно пользоваться памятниками материальной и духовной культуры — историко-революционными местами, реликвиями боевой и трудовой славы, которые не только должны охраняться, но и превращаться в очаги пропаганды.

В период отчетных выборов Общество должно выявить существующие недостатки в его работе и наметить конкретные мероприятия для их устранения.

Общество часто должно обращаться к таким испытанным средствам пропаганды, как пресса, телевидение, радиопередачи. Вовлекать широкие массы населения в свои ряды, прикреплять к памятникам первичные организации для шефства, чтобы ни один из них не оставался без присмотра и внимания.

И. ЦИЦИШВИЛИ

**О РЕКОНСТРУКЦИИ СТАРЫХ КВАРТАЛОВ
г. ТБИЛИСИ**

В 1970 г. был утвержден генеральный план развития г. Тбилиси на 1970—2000 гг. В настоящее время ведутся работы по реализации проек-

та — уже заканчивается проект реконструкции центра города.

Реконструкция города или старых районов и их приспособление к новым



საქართველოს
სტრუქტურული
ინჟინერების
საერთაშორისო
საზოგადოებრივი
საზღვრო
საზოგადოებრივი
საზოგადოებრივი

жизненным условиям — это один из важнейших проблем градостроительства. Под термином — реконструкция — по существующим ныне понятиям подразумевается нескончаемый процесс обновления городов, которое связано с социальными, гигиеническими, техническими, транспортными и административными проблемами. Поэтому нужно учесть как благоустроенность квартир и кварталов, так и их связь с местами работы, зонами отдыха, для удовлетворения потребностей духовной и культурной жизни людей, коммуникационные и транспортные системы и др. Вместе с тем эта концепция градостроительства должна быть перспективной и учитывать ожидаемые изменения в жизни города. Градостроители должны сохранить не только самые значительные произведения искусства города, его характеризующие черты, но и достичь гармо-

ничного единства всех сторон реконструкции.

Естественно вышеназванные вопросы трудно решаемы в таких городах, как Тбилиси, где находятся старые исторические кварталы, которые требуют реконструкции.

Автор статьи предлагает свои взгляды и предложения насчет реконструкции г. Тбилиси. Предложения эти весьма интересны. По его мнению, для решения этого трудного вопроса, при «ТВИЛГОРПРО-ЕКТ»-е нужно создать специальную мастерскую, которая возьмет на себя роль предводителя в этом деле. Горсовет и союз архитекторов должны вынести на всеобщее обсуждение проводимые ими мероприятия связанные с проблемами градостроительства, так как эти вопросы касаются не только специалистов, но и всего общества, поэтому обмен мнениями может принести большую пользу.

Л. ХИМШАШВИЛИ

ПОДГОТОВКА АРХИТЕКТОРОВ-РЕСТАВРАТОРОВ

В 1969 году, с целью улучшения дела охраны и реставрации памятников материальной культуры в нашей республике Решением вышестоящих органов в Тбилисской Государственной Академии художеств на факультете архитектуры открылся отдел реставрации.

Таким образом, перед факультетом архитектуры поставлена весьма почетная и ответственная задача: подготовить высококвалифицированных архитекторов - реставраторов с профессиональной культурой, которые будут проводить работы по укреплению и восстановлению памятников архитектуры на научном уровне.

В статье говорится о том, что период обучения длится 5 лет и 6 месяцев. За указанное время студент приобретает инженерно-технические знания формируются его социальное мировоззрение, вырабатываются привычки профессионального знания, опыта и художественно-композиционных навыков.

Далее автор говорит о методах и программах обучения и их преимуществах и недостатках.

В 1975 году архитектурный факультет Тбилисской Государственной Академии художеств выпускает первый поток архитекторов-реставраторов, которые будут работать в специальных мастерских.

Н. АНДУЛАДЗЕ

АРХИТЕКТУРНЫЙ ПАМЯТНИК В СЕЛЕ ГУДАЛЕТИ

Предмет статьи — памятник древнегрузинской архитектуры центрально-купольная церковь, расположенная в с. Гудалети (Каспский район).

Храм дошел до нас в сильно поврежденном виде — обвалились купол, своды, северная и южная стены. Однако сохранившиеся части здания дают



возможность представить первоначальные формы его внутреннего пространства и композицию убора фасадов. Восстановление памятника дополняется отдельными фрагментами декора восточного и западного фасадов, обнаруженными в храме и в его ограде.

Художественный анализ архитектурных форм и декора церкви Богоматери в с. Гудалети, с привлечением большого параллельного материала дают

основание датировать постройку к рубежу XIII—XIV веков.

Крепость — ограда церкви, в плане прямоугольная, имеет по углам цилиндрической формы башни, снабженные бойницами, нишами и каминными. Гудалетская крепость-ограда, на основании аналогов, датируется второй половиной XVIII века и является типичным образцом фортификационных сооружений этого периода.

Н. АЛХАЗАШВИЛИ

ЧУЛЕ

С целью изучения памятников Грузинского зодчества работники института Истории Грузинского искусства были откомандированы в Самцхе.

Автор статьи — участник экспедиции описывает храм — Чуле — один из значительных памятников, принадлежавших XIII веку, который неоднократно упоминается в научных работах известных историков: Г. Гордеева, Тол-

мачевской, В. Беридзе и др. Он с большой болью говорит о нынешнем состоянии памятника, вписанного в радующей глаз живописной местности. Недоброкачественный ремонт проведенный в тридцатых годах довел его почти до полного разрушения. Автор указывает, что надо провести работы по восстановлению этого примечательного памятника грузинского зодчества.

Н. КВЕЗЕРЕЛИ-КОПАДЗЕ

ИЗОБРАЖЕНИЕ ДРЕВНЕГО КАМЕННОГО АРТВИНСКОГО МОСТА

В вышедшей в 1972 году, на грузинском языке, монографии «Древние мосты Грузии» среди многих других, приводится также описание древнего каменного артинского моста через р. Чорохи, разрушенного в 1893 г. при уширении полотна дороги. К выходу книги это изображение не

было

найдено. Теперь в «Институте древних рукописей при Академии наук Груз. ССР, имени К. Кекелидзе, было обнаружено изображение этого уникального сооружения, выполненного известным кавказоведом — Евгением Вейденбаумом.

Т. КИПАРОНДЗЕ

УЛУМБА

Улумбская церковь является строением зального типа. По имеющимся письменным данным это — интересный памятник грузинской духовной культуры.

По предположениям историков основателем церкви является один из тринадцати «Сирийских отцов» Микаел Улумбский.

Возникновение монастырской жизни в Улумба предполагается в VI веке.

У цоколя восточного фасада обнаружена надпись «асомтаврული» датированная XI веком, в которой упоминается имя царя Георгия. Предполагается, что церковь строилась в этом же периоде.

Памятник неоднократно повреждал-

ся. Монастырь основательно был разрушен ордой Темурленга.

В 1400—1415 гг. Уллуба была восстановлена видными общественными деятелями того времени Куцна и Русо Амiredжиби.

Во время реставраций, церковь как видно потерпела значительные переделки. В разрушенных стенах можно различить несколько строительных слоев.

Церковь была действующей при царе Георгии Бахушти и царе Георгии XIII. Вслед за этим она вновь была разрушена и перестроена в 1871 г.

Таким образом, на памятнике можно различить архитектурные детали XI—XV—XIX вв., имеются и фрагменты росписи.

При последующем изучении ожидается выявление остатков архитектуры раннефеодального времени.

Т. САНИКИДЗЕ

ЦЕРКОВЬ «ОТЕЦ ПИРОС» В СЕЛЕ БРЕТИ

В середине VI в., в Картли одним из «тринадцати сирийских отцов», учеником Иоанна Зедазенского — Пиром (пирос) был основан монастырь, который по преданию и историческим источникам локализуется в центре с. Брети Карельского района. Из монастырских построек осталась только главная — однонефная церковь с пристройками с трех сторон.

Исследованием устанавливается, что первоначально здесь существовала маленькая церковь, внутри которой, вероятно, похоронен сам ее строитель — отец Пир, возведенный в сан святого. Позже был построен основной корпус здания, в организм которого ц. Пира вошла в виду северной пристройки.

По строительным приемам и стилистическим особенностям этот второй этап строительства определяется VIII—IX вв. И хотя здесь представлены постройки двух разных эпох, второй архитектор сумел их объединить

в единое целое.

Основным ядром постройки является прямоугольный широкий зал с глубокой полукруглой абсидой в восточной части. Южная и западная пристройки представляют собой единый обход, тогда как северная пристройка соединена только с залом, имеет самостоятельный алтарь и фактически является обособленным помещением.

Внешние массы и фасады здания решены предельно лаконично, не имеют орнаментального украшения, но отличаются определенной монументальностью.

Памятник построен в основном из рваного камня. В отдельных частях применены кирпич и булыжник.

В течение веков церковь не раз была повреждена и отстроена. В позднее средневековье на ее юго-западном углу была воздвигнута колокольня. Ныне памятник отремонтирован и находится в удовлетворительном состоянии

В. ЦИЦАДЗЕ

О НЕКОТОРЫХ ВОПРОСАХ ОХРАНЫ АНСАМБЛЯ КАЦХСКОГО СТОЛПА

Статья касается уникального памятника — Кацхского столпа, возвышающегося близ г. Чиатура, в ущелье р. Кацхура. Характерные особенности ландшафта, окружающего столпа, и дошедшие до нас легенды дают основание считать, что столп — естествен-

ная скала, высотой в 40 м, до использования его в эпоху христианства как «Столп Симеона Столпника» (см. «Дзеглис мегобари» № 3, 1964 г.), является объектом языческого культа, а именно «богом плодородия».

Этот интереснейший памятник и



весь ландшафт требует к себе самого пристального внимания, как со стороны органов охраны, так и со стороны руководителей района, чего сегодня он совершенно лишен.

Приведенные в статье мероприятия, учитывающие сохранение этого

в художественно-историческом отношении важного памятника, будут эффективны лишь в том случае, если дело будет втянуто все население района, обязательно, в первую очередь, бережно хранить его.

В. ДЖАПАРИДЗЕ

КРАТКИЙ ОТЧЕТ О КОМАНДИРОВКЕ В СЕЛЕ КАЦХИ

В отчете, представленном в Институте истории, археологии и этнографии Академии Наук Грузинской ССР, рассказывается о совершенно недопустимых фактах, наносщих непоправимый ущерб Кацхскому столпу и всему окружающему его ландшафту, а именно — самовольные раскопки,

производимые местными «любителями старины» у подножия столпа; строительство ресторана недалеко от столпа, повреждение большой площади культурного слоя при подведении к нему асфальтированной дороги и др.

Р. ДОЛАБЕРИДЗЕ

РАННЕСРЕДНЕВЕКОВЫЕ КРЕСТЫ С ИЗОБРАЖЕНИЕМ РАСПЯТИЯ

Нагрудные кресты с изображением распятия, из села Шенако (Тушетия), относятся к ряду интересных и редких памятников раннехристианского искусства Грузии. Рельефные, графически обработанные изображения Христа характеризуются примитивизмом — нарушены пропорции, резко увеличены отдельные части тела и др. Особо следует отметить индивидуальный подход мастера к композиции распятия — Христос изображен фронтально, в одеянии, с закрытыми глазами — мертвый, но со спокойным

выражением лица, без каких-либо признаков душевного или физического страдания.

Своеобразный стиль и манера изображения, экспрессивность некоторых частей тела, характер одежды и другие признаки выявляют, в общем, большое сходство с изображениями грузинской рельефной скульптуры и чеканного искусства VIII—X вв., а особенно с памятниками IX — нач. X вв., что и позволяет их более конкретную датировку IX — нач. X вв.

Ю. ГАГОШИДЗЕ

ЯЗЫЧЕСКИЙ ХРАМ

Археологической экспедицией Государственного музея Грузии в 1972—73 гг. открыты и раскопаны остатки грандиозного языческого храма в Ка-

рельском районе, в 3 км западнее с. Арадети, в центре равнины Дедоплис Миндори («Поле царицы»). В плане храм представлял собой прямоуголь-



ное здание (46×30 м), возведенное из сырцовых кирпичей и ориентированное строго по сторонам света. Основная длинная ось направлена с юга на север. С южной стороны находился открытый портик, откуда дверь, расположенная ассиметрично по отношению к главной оси, вела в целлу — четырехколонный квадратный зал (300 м. кв.), в центре которого возвышался алтарь. С трех сторон храм имел обходные галлерей. С севера к основному прямоугольнику храма примыкало открытое с одной стороны помещение типа айвана, с двумя колоннами, которые были увенчаны величественными резными белокаменными капителями. Стены храма были

штукатурены и изнутри расписаны. «Айван», целла и портик имели плоскую кровлю, с ложным куполом над алтарем, галлерей же — односкатную крышу, покрытую крашеной черепицей.

Храм был возведен в I в. до н. э. и имеет много общих черт с целым рядом храмовых зданий древнего и эллинистического Востока (храмы в Сузах, Персеполе, Парфянской Нисе, Сирии и др.). Открытие в Грузии храма древневосточного типа бесспорное свидетельство наличия высокоорганизованных языческих культов, сложного культового ритуала и развитого храмового хозяйства в древней Иверии.

К. МЕЛИТАУРИ

КОНСТРУКЦИЯ БЕДЕНСКОЙ ДЕРЕВЯННОЙ ГРОБНИЦЫ

Гробница большого беденского кургана в Тетрицаройском районе относится к концу III и началу II тысячелетия до н. э. На чертеже обозначены:

1. Котлован вырытый в грунте, 2 бревенчатый настил пола, 3) лежни, 4) прогоны, 5) вкопанные с заклиненными вершинами столбы, 6) поперечины, 7) пара коньковых бревен, 8) стойки, создающие стены гробницы, 9) забивка камнем, землей и отходами леса, 10) накат потолка, 11) навал кургана отходами леса, камня и земли, 12) плетенная из лубьев рогожа: а) четырехколесная колесница, б) носилки, с) предметы быта, д) останки скелетов, е) предметы из меди.

Д. МАМИСАШВИЛИ, З. СТУРУА

ХОРОШАЯ ИНИЦИАТИВА

В статье говорится об итогах экспедиции, проводимой методсоветом охраны памятников при Министерстве культуры СССР. Эту хорошую

инициативу продолжит методсовет, что послужит залогом успеха в дальнейшей работе.

ЗГУДЕРИ

В статье рассказывается о крайне неудовлетворительном состоянии памятников в с. Згудери Карельского района. Маленькая церковь (VI в) превращена в подсобное хозяйственное помещение, а большая церковь

является мусорной свалкой. Надо принять срочные меры для сохранения этих значительных памятников грузинской средневековой архитектуры.

Н. АНДГУЛАДЗЕ

СЕССИЯ, ПОСВЯЩЕННАЯ ПАМЯТИ ВЫДАЮЩЕГОСЯ УЧЕНОГО

13 и 14 марта 1974 года, в зале заседаний АН ГССР, проводилась научная сессия, посвященная годовщине смерти выдающегося ученого, летописца многовековой грузинской культуры, неутомимого исследователя — Георгия Николаевича Чубинашвили.

Сессию открыл директор института истории искусств Грузии В. В. Беридзе, который кратко охарактеризовал деятельность Г. Н. Чубинашвили,

имя, которого носит вышеозначенный институт. Было прослушано ряд докладов.

В прениях вокруг докладов приняли участие крупные ученые акад. А. Чикобава, акад. Ш. Амиранашвили и др.

С заключительной речью выступил В. В. Беридзе, который суммировал работу, проведенную на сессии.

ირ. ზაპარიაშვილი — წარმატებით შევხვდეთ საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების V კრილობას	5
Ир. Закариашвили — С успехами встретим V съезд общества охраны памятников культуры Грузии.	
ი. ბინიშვილი — თბილისის ძველი უბნების რეკონსტრუქციის საკითხისათვის	9
И. Цинцишвили — О реконструкции старых кварталов г. Тбилиси	
ლ. ხინჭიაშვილი — არქიტექტორ-რესტავრატორთა მომზადება	17
Л. Хинчиашвили — Подготовка архитекторов-реставраторов	
გ. ბნდელუაძე — გუდალეთის ტაძარი	19
Н. Андгуладзе — Архитектурный памятник в селе Гудалети	
გ ა ლ ხ ა შ ვ ი ლ ი — ქულე	29
Н. Алхазашвили — Чуле	
გ. კვეზერიძე — ართვინის ძველი ქვის ხიდის გამოსახულება	34
Н. Квезерели-Ковадзе — Изображение древнего каменного Артинского моста	
ბ. კიპარიძე — ულუმბის ძეგლის შესწავლისათვის	36
T. Kiparidze — Улумба	
მ. სანიკიძე — ბრეთის „მამა პიროსი“	48
T. Sanikidze — Церковь «отец пирос» в селе Брети	
ვ. ბინცაძე — ზოგიერთი საკითხი კაცხის სვეტის ანსამბლის დაცვის შესახებ	58
В. Цинцадзе — О некоторых вопросах охраны ансамбля Кацхского столпа	
ვ. ჯაფარიძე — სოფელ კაცხში მივიღინების მოკლე ანგარიში	62
В. Джапаридзе — Краткий отчет о командировке в селе Кацхи	
რ. დოლაბერიძე — ადრეული შუა საუკუნეების ქვარცმის გამოსახულებიანი ქვრები	65
P. Долаберидзе — Раннесредневековые кресты с изображением распятия	
ი. ბაბოშვილი — წარმართული ტაძარი დედოფლის მიწდორზე	70
Ю. Гагошидзе — Языческий храм.	
კ. მელითაშვილი — ბედენის ხის აკლდამის კონსტრუქცია	79
K. Melitaurn — Конструкция беденской деревянной гробницы	
დ. მამისაშვილი, ზ. სტურა — კარგი თაოსნობა	83
Д. Мамисашвили, З. Стура -- Хорошая инициатива	
მ. სანიკიძე — ზღუდერი	86
T. Sanikidze — Згудери	
ქ რ მ ე ბ ა	
გ. ბნდელუაძე — გამოჩენილი მეცნიერის ხსოვნას მიეძღვნა	90
Н. Андгуладзе — Сессия посвященная памяти выдающегося ученого	
ანოტაციები რუსულ ენაზე	91
Аннотации	91—97

გარეკანზე — იშხანი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, VII საუკუნის თაღედი
კონტრტიტული — კაცხი, „სვეტი“, ხედი აღმოსავლეთიდან

ფოტო ვახტანგ ცინცაძეს

НА ОБЛОЖКЕ — Ишхани. Памятник грузинской архитектуры.
Аркатура VII века
КОНТРТИТУЛ — Кацхи. «Столи». Вид с востока,
фото Вахтанга Цинцадзе

2/22



ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ

Серия: «Памятники материальной культуры»

Выходит на общественных началах
«ДЗЕГЛИС МЕГОБАРИ»

(Друзья памятников культуры)

Сборник тридцать пятый

(На грузинском языке)

გადაეცა წარმოებას 3/IV-74 წ., ხელმოწერილია დასაბუქდად 7/VIII-74 წ.,
ფიზიკურ ფორმათა რაოდ. 6,25. სააღრ.-საგამომ. თაბ. 8.
ანაწყოების ზომა 7x11,5 ქაღალდის ზომა 70x108¹/₁₆

ფასი 72 კპ.

Цена 72 коп.

ბედაქციის მისამართი: ძე რ ტ ი ნ ს კ ი ს ქ. 19, ტელ. 99-84-47.

შეკვეთა № 1291.

ფე 05027.

ტარტი 3 000.

საქართველოს კ. ც. -ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.

